

652
1999

76.6



ISSN 0134-3459

საქართველოს დედა

1
1999



შობამან შენმა, ღვთისმშობელო ქალწულო, სიზარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევსა, და მოგვმადლა კურთხევა, და განაქარვა სიკვდილი, და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

ტროპარი, სმა 4.

ოცნებების აქტა

652/1
გვ. 1
1999
n1,2

50

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშაობის წესი გვაქვს, აქტა,
რა მომავალი, კვირის ბედით...
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის უანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



ბათუმი

იანვარი, №-1

1999

საქართველოს მფრავთა კავშირისა და აქტის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
უზრუნავი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

გურაბ გორგილაძე

ანდრო კულბა

გენრიეტა ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხათუნა შუშანიძე
(მხატვრული რედაქტორი)

ტასო ცხიშიძე
(ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო:

ვახტანგ ახვლედიანი

ნური პერძაძე

შოთა გოიძე

ლავით თელორაძე

ოტია იოსელიანი

ლავით გუგუშვილი

ალექსანდრე სამსონია

რამაზ სურმანიძე

თამაზ წიგნიშვილი

ამირან ხაბაში

ფრიდონ ხალვაში

ჯემალ ჯაყელი

რედაქციის მისამართი: შელიქიშვილის ქ. №21

ტელ: 7-03-64

პოეზია, პროზა

ზურაბ გორგილაძე

მავთულზე გაგებული წვეთები



აქედან მინდა...

უცხო კუნძულს, წყნარს და მარადისს,

შემოვრჩე მარტო, —

და არ მდევდეს ფიქრში არავინ.

აღარ ვუსმენდე —

მაღალ ანძებს, მაღალ ანტენებს,

არავინ მკითხოს, —

სად ვალაგებ, ან სად ვათენებ.

ვჭყლიბავდე ჭყამბოს,

ფენშიშველი და ჩაფლეთილი,

კეთილი, —

როგორც მყუდროება, ძლიერ კეთილი.

ბალახის მტვერმა ამიოხროს

ყბების მშვიდობა,

ოღონდ ეს მკაცრი სისადავე

და ფერდილობა.

რომ დროს წავართვა მნიშვნელობა

ზარის, ხმაურის,

ვიცხოვრო ასე, —

ამ კაცური დანაშაულით,

მიყვარდეს ვიღაც, —

ვით სახიერს, ან ვით ქმნილებას

და ჩემს სიყვარულს არ ეწეროს დაგვირგვინება.

მიყვარდეს რაღაც, —

წარმავალის წმინდა ზრახვებით,

ამ კუნძულს შერჩეს, —

თუ შერჩება ჩემი სახელი.

ამ კუნძულს დარჩეს, —

თუ დარჩება იგი დიდებაც,

რომელიც უკვე არ მაწუხებს და არც მჭირდება.

21.282

* * *

ო, ისე მესმის ეს სიწმინდე
 სანდო და სადა,
 ჩვენ ალბათ მალე დავაჩოქებთ
 უდაბნოს ადათს.
 დავამხოთ კერპებს, ცრუწყალობებს
 რომელთა სწამდათ,
 რომელთა სწამდათ, აღვლენილებს
 ძილგამკრთალ ცადა,
 რომელიც სწავდა ჩვენს სიყვარულს,
 შანთებით სწავდა..
 მე ისე მესმის ეს სიწმინდე, სანდო და სადა.
 სიცოცხლეს მხოლოდ, სანუკვარო,
 მაშინ აქვს აზრი,
 როცა შენი დრო გახვევია
 კეთილიც, მკაცრიც,
 როცა მავანთა უსახური
 ლანდებიც დაძრწის,
 როცა ფხიზლად ხარ,
 ვისთვის ნივთი და ვისთვის კაცი,
 როცა მუდამ გწამს შენეული
 ფერფლის თუ ნაცრის,
 გაწამეს? —
 ვაშა!..
 მომავალი მოგიზღავს ნაწილს...

* * *

ლამაზ ქალს გვერდით მოვისვამ და
 შევუკვეთ ყავას...
 წავალ ფიქრებში, ოცნებებში,
 ბურანში წავალ.
 ნესტოებს უცებ ამითრთოლებს
 უცნაურ ნებით,
 ყავის და ქალის თმების სუნი,
 ყავის და თმების.
 გამიკეთდება ხასიათი, —
 შევიტეხ ღიმილს,
 სუფრას სინაზე დაადგება
 ფოთლის და ჩრდილის.

ასე გრძელდება უსაშველოდ,
 დღეცა და ღამეც,
 შენ შეეჩვიე?..
 რატომ დუმხარ, მითხარი რამე.
 ასე გრძელდება...
 ერთი,
 ორი,
 ასი და მეტი,
 ნუთუ, —
 სულ ცოტაც აღარ დარჩა ალერსი შენთვის?..
 როგორ დაბლდება სიყვარულო
 საწუთროს ჭერი...
 გვერდით მოვისვამ ვიღაც ქალს და...
 შემრცხვება შენი.

* * *

და რაღა დარჩა?.. ეს კორტოხი
 და ის ფერდობი,
 ასე...
 მივერჩი თავადმართს და
 ჩემთვის ვერთობი,
 ფიქრიც ისეთი კეთილი მაქვს,
 შენაც ენდობი,
 შენი ქალური უმწეობით
 თუ გულდებობით,
 მაგრამ როდესაც გათავდება
 ა, ეს კორტოხი?..
 მაგრამ როდესაც გათავდება
 ა, ის ფერდობი?..
 რატომ ერთობი ჩემო თავო, რატომ ერთობი...

* * *

ვინ შეაზავა ეს ჰაერი,
 საკმევლით, იით?..
 ან გრილი მტევნის ბინდბუნდებით,
 ან კვამლის ხვით?
 ან შეღამების შეღონებით,
 ან მელოდით?..
 სისულელეა, აქ მომხდომი

განაგდო ტყვიით,
 ან ხანჯლის დარში ჩაგუბებულ
 ჭავრებით მღვრიით...
 არამედ ღვითი!..
 ღვითი, ვაჟა-ფშაველას ღვითი.

* * *

რატომ დიდდება ჩამავალი მზე,
 რატომ დიდდება?..
 წითელ ღრუბლებით რატომ ირთვება
 და იტვირთება?..
 რატომ იმსხვრევა ღვთისმშობელის
 შემკრთალ თითებთან?..
 რა მიაქვს ქვეყნით, დიდება თუ
 იგივე კირთება?..
 ო, რა მძაფრია მეწამული
 ეს გაფითრება,
 რატომ დიდდება ჩამავალი მზე,
 რატომ დიდდება?!
 უკანასკნელი, კვდომის შუქი
 ცოცავს კარავთან..
 დაბატარავდა ჩემი გული, დაბატარავდა...

* * *

ტყე ხომ არა ხარ?..
 ციაგთა და ჩრდილთა გროვებით,
 რომ მთლიანმყავი,
 რომ აღმავსე ამ მყუდროებით?
 რომ ნათელმყავი,
 ამ სიწმინდით, მზით და ქაფურით,
 ტყე ხომ არა ხარ? —
 ფერულრანი და უდაბური?!
 დავანდა რაღაც ჩემს ყოფაში,
 მეფურ დავანდა.
 და ველარ მწვდება ბუზლუნი თუ
 შური მავანთა.
 ვარ უარესი შეცხადება
 და გაცხადება,
 წყნარდება ყველა ღდინგაცლილი

უკვე წყნარდება.
 არ ვარ ის ბავშვი...
 და არავინ აღარც მპირდება
 ვეცემი მუხლზე რომ წარმოვთქვა
 შენი დიდება.
 და ესმის ახალ საუკუნეს
 ჩემი ძახილი,
 რომელიც დგას და იღრინება
 ერთგულ ძალღივით.

* * *

საქართველოს პატრონი,
 საქართველოს, — ყოველთვის,
 იყო მუდამ ბღვიალა
 მხიარული პოეტი?!
 სადაც კენჭიც განძია
 და წარსულის უღრანში
 მძიმე ძვლები აწყვია
 მხოლოდ ხმლით ნაბუღრალი?!
 სადაც ძველთა დედათა
 ძაძები თუ ძონძები,
 სისხლით გაჟღენთილია
 სისხლითა და ლოცვებით?!
 სადაც ოხრავს მთაწმინდა
 ლაქვარდების აკლებით,
 ჩაგსისინებს მავანი
 დარჩები თუ გაქრები?!
 საქართველოს პატრონი,
 საქართველოს, — ყოველთვის,
 იყო მუდამ ბღვიალა
 მხიარული პოეტი?!

* * *

წვიმაგადავლილ ცრიატის შუქში
 ღვთაებრივ ბინდად,
 მორცხვი, კეთილი და ლამაზი
 თეთრი ხე იდგა.
 სიჩუმეც იდგა...
 მერე ქალმა რაღაცა მკითხა,
 რაღაცა მკითხა...
 და მე დიდხანს ვფიქრობდი, დიდხანს.
 ბოლოს შუქივით გამელიმა,—

შუქივით ღიმილს,
 ახლდა პაწია სიხარულიც,
 იმედის სხივიც.
 და სიჩუმეში შენიჰნული
 ეზო თუ ბაღი,
 საკუთარ ნაღველს იოხებდა
 ჩემივე ნაღვლით.
 იყო სამყარო,
 იყო სივრცე,
 კვამლი და ქალი,
 და ოცნებები მიწიერი, შორს გადამქრალი.
 ხმაგაკმენდილი, —
 ზღვის ზვაშიადს ვუსმენდი დიდხანს,
 წვიმაგადავლილ ცრიატის შუქში, —
 თეთრი ხე იდგა.

* * *

ჩვენ გვიხარია,
 გვიხარია აი, ის კაცი,
 რომელიც დგას და თავს უყადრებს
 ბურძგალა ყმაწვილს.
 ჩვენ გვიხარია, —
 და გვიზიდავს ის უცხო ქალი,
 რომელიც ზის და, —
 მოკრძალებით არიგებს მარილს.
 ჩვენ გვიხარია ა, ის ბიჭი,
 რომელიც ყავას, —
 ხვრეპს და არ იცის საით წავა,
 ან ვისთან წავა.
 ჩვენ გვიხარია ა, ის გოგო,
 რომელიც ახლა,
 არ ვიცით, უკვდავ სიყვარულს თუ
 სინანულს ახლავს.
 ჩვენ გვიხარია, —
 და ვუღიმით ველურის თვალით
 იაფფასიან ლარნაკებში
 ჩაწყობილ ყვავილს.

ამდენ სიხარულს ვისი გული
 გაუძლებს ნეტა,
 წამოდი!—
 სადმე ჩამოვჯდეთ და ვიტყვირთ ერთად.

* * *

შენა ხარ ბილწი, —
 მაგრამ წმინდა, როგორც მოკვდავი,
 შენა ხარ დაბლა ყველა ქალზე
 ერთი ოქტავით,
 შენა ხარ ყოვლად სასაცილოც
 და საცოდავიც,
 შენა ხარ გლოვაც და გართობაც
 უნდილ ბრბოსათვის,
 შენა ხარ ურჩიც და დამყოლიც
 თვალსველ ხბოსავით,
 შენა ხარ ჩუმად საწყევარიც
 და სალოცავიც..
 და მაინც ყალბი, მაინც ფუჭი მოკლულ დროსავით
 ნუ მიწყენ ამ მკაცრ აღსარებას
 ღიმით ცბიერით,
 რადგან შენ მაინც ქალი ხარ და...
 ხარ ბედნიერი.

* * *

ყრუ ქვითინი და ეჭვის ღეზები
 ჩემს სამუდამო დამხობას ლამობს,
 ნუ გეწყინება, თუ კი მბეზრდები
 კარტივით გაშლილ ქალობის გამო.

გულგრილი ზაფრა დღეებს ატყვია...
 ოჰ, უცაბედო ფოთლების ჩქამო...
 რაღაც დამალე და მომატყუე
 და გამახარე არაფრის გამო.

* * *

სიშორე ისევ...
 ქალი ისევ...
 ისევ თამაში,
 რა არის ახლა ამ წვიმაზე უფრო ლამაზი?
 ხატიც შემოდის სალოცავად
 წვიმის კარავში,
 ავევ ცოდვილთა?..

ცოდვილთაგან ერთი გადავჩი?...
 არა!..
 კისერში ჩაპარებულ წვეთის დიდებას
 ჩემი უბადლო მწუხარება
 რად ეტვირთება?...
 ჩემი შეშლილი მწუხარება
 რად ენივთება,
 ცით და ქუხილი წამოწყებულ
 წვიმის კირთებას?

სიშორე ისევ...
 ქალი ისევ...
 ისევ თამაში,
 რა არის ახლა ამ წვიმაზე უფრო ლამაზი?

* * *

თქვენი თითების უმწეო ცეცხლი
 და მაქმანივით ძველი სურვილი
 არ ვიცი ახლა რომელს ახელებს..
 შობენს თუ მოცარტს.

ჰანგები მღვრიე და არეული
 თვითმკვლელობამდე მისულ ქალივით
 ცახცახებს როცა.

ინატრეთ ჩემთან და დამიზავდით...
 მსუბუქ ფლირტებით არ მსურს დაგღალოთ,
 არც დაგავიწყოთ, არც გაგახსენოთ
 თავიც და დროცა...

მოვა ვიღაცა უფრო ქალური
 ან ფერიული, ან სატანური
 და თქვენს მაგივრად — ო, აპატიეთ,
 დაუკრავს მოცარტს,—

თქვენ კი დაემხეთ საკუთარ ჩრდილზე
 და წყევლასავით წარმოთქვით ლოცვა.

* * *

უბრალოება აზრია და...
 სულ სილამაზე,
 ჩუქურთმასავით აქ ჩურჩულიც
 ამკობს დარბაზებს,
 დღისა და ღამის ვკრეტავ ჭიდილს
 მაღალ კარბაზე,
 სურო და ხავსი იზმორება
 ღმერთის კაბაზე,
 და ძუნწ ხაზებში გენიოსის
 წვეს სიზარმაცე,
 სძინავთ მშვენიერს, მარადიულს
 ქვათა ავაზებს..
 ამ სისადავით თუ ამავსებ, ცაო, ამავსე!..

* * *

სიჩუმე მაღალ ვარსკვლავებს კენკავს,
 და ქრება მთვარე, ყვითელი ჭალი,
 და ბუნებაში გადადის ჩემგან,
 სინათლის შიგნით შობილი ჯანდი.

რა ვქნა, სანაცვლოდ არაფერს ვიღებ
 აღმოსავლეთით, მზის ყეფის გარდა
 და ნაცნობ ფერებს ვანებებ ბრიყვებს
 დედაბუნების იდუმალ კართან.

* * *

ცეკვავს იელი სიოზე ნელზე,
 ზუჭუჭყაყრილი ტყეების ბოლოს,
 თვალგახელილი დავდივარ ველზე
 და შენზე სიზმრებს ვნახულობ მხოლოდ.

ვინ მიმომანჯღრევს მსახვრალი ხელით
 და ჭროლა თვალებს მომაბჯენს
 არიან ქვეყნად...
 მე იმათ ველი,
 გამაღვიძებენ ბოლოს და ბოლოს.

* * *

კენჭი იდო თუ სხივების ხვინჭი,
 ლეშნი თრთოდა თუ შხიოდა ღელე,
 მე დავინახე, პატარა ბიჭი
 მიმავალ ღრუბლებს უქნევდა ხელებს.

ღლე იდგა ისე მყუდრო და ნაზი
 იზადებოდა მეგონა, — ღმერთი
 და მომეჩვენა, მიმავალ ცაზე
 შედგა და დარჩა ღრუბელი ერთი.

* * *

აღფრთოვანება შერჩათ ტრიბუნებს..
 და მე გიყურებ,
 როგორ გაოცდი და მოიწყინე
 ამ წუთიერი ღრიანცის გამო,

შენ ბრბოს სიხარულს ვერ შეეჩვევი
 ადექი, წამო...

* * *

განთიადებზე მომიგონეთ,
 განთიადებზე...
 იმ ვარდისფერი მყუდროების
 წმინდა კალთებზე,
 როცა მზის შუქი გაიბნევა
 ჩიტის გუნდივით,
 როცა მოკვდება და გაჩნდება
 რაღაც მუდმივი...
 განთიადებზე მომიგონეთ, განთიადებზე!



ზ. ხაბაძე

ქალის პორტრეტი



ლ. ტუჩაშვილი

ნატურმორტი

რეზო ჭეიშვილი

უკვდავი კაზრეი*

(შესავალი)

... ასეთნაირად, ძმებო, ჩვენ ღმერთთანაც მივდგებით. ღმერთი განსხეულებული კაცია. ღმერთაც არ განიკითხავენ. მან ყველაფერი იცოდა. ის ყველაფერი იყო. და რაც იყო, საჭირო იყო.

კიდევ მოვა ეგ საჭიროება. ტირანი ნეხვზე აღზევდება და ამღვებებელნი სუნს იკრავენ ყველაზე ადრე. მეხოტბენი დაისჯებიან უპირველესად.

თუ გჭირდებოდათ, კიდევ დაგჭირდებათ!

და ისიც არ დააყოვნებს!

კვლავ ჩამოდგება!

თავმჯდომარე — ბრალდებულო, გოგლიძე, თქვენ იყავით სამების თავმჯდომარე საქართველოში?

გოგლიძე — ვიყავი, ჩვენ საბჭოთა კავშირის НКВД-დან ვიღებდით დირექტივებს; უნდა განგვეხორციელებინა მასიური, მაშტაბური ოპერაციები ანტისაბჭოთა ელემენტების აღმოსაფხვრელად... უფრო მეტი, მე უნდა განვუცხადო სასამართლოს, რომ საქართველოს НКВД-მ ეჭოვისაგან მიიღო ლიმიტი 1500 კაცის დახვრეტაზე...

თავმჯდომარე — სასამართლოს წევრი ვინმე ზეიდინის თხოვნით აქვეყნებს სამეულისა და არა სამაიის ან სამების მდივნის ვინმე მოროზოვის ჩვენებას:

1937-38 წლებში საგანგებო სამეულს (ტროიკას) პირველ თვეებში საქართველოში, ვიდრე ლიკვიდაციამდე თავმჯდომარეობდნენ: მინისტრის მოადგილე რაფაე და თავად შინაგანი სამინისტროს მინისტრი გოგლიძე. ამ ხნის განმავლობაში „გაარჩიეს“ სამიათასამდე საქმე და გადაწყვიტეს სამიათასი ადამიანის ბედი, აქედან მესამედი, დაახლოებით ათიათასი (10000) კაცი დახვრიტეს.

გოგლიძე — ეგ ეგრე იყო, მაგრამ რამდენად შეესაბამება ციფრები სინამდვილეს — არ ვიცი, აღრიცხვას არ ვაწარმოებდით...

თავმჯდომარე (პათეტიკურად) — და თქვენ გულგრილად ანადგურებდით საბჭოთა ადამიანებს საქართველოში?!!

გოგლიძე — ღუმს.

სამაგიეროდ ადასტურებს, რომ ბერიას ბრძანებით პატიმრებს სცემდნენ (?) დახვრეტის წინ.

მოწმე ვასილიევის ჩვენება:

მე შევედი გამომძიებელ სერებრიაკოვის კაბინეტში, დამნაშავე უზის სკამზე საგამომძიებო მაგიდასთან. ვეკითხები: როგორ არის საქმე, ამხანაგო სერებრიაკოვ?

განვარძობ პატიმარ ა—ძეს დამუშავებას. ახლა იგი ღუმს და ჩემს შეკითხვაზე

* ნაწყვეტი ახალი წიგნიდან "პოლიტიკური დეკაპრონი"

პასუხებს არ იძლევა. სამწუხაროდ, პატიმარმა — ა—ძე არც მე გამცა ხმა. მოვკიდე ხელი და სახელმწიფო დანაშაულში ეჭვმიტანილი ა—ძე გადავარდა სკამიდან. იგი მკვდარი აღმოჩნდა. ვეკითხები სერებრიაკოვს, რა მოუვიდა. წარმოდგენა არა მაქვსო, კაცო, რა უქენი?! მხრები აიჩჩია და მაჩვენა თითისსიმსხო მავთულისაგან დაწნული მათრახი, ეგრეთწოდებული მავთულწნული. მე მგონიო, დაუმატა, გულმა უმტყუნა.

კოვლიძე — იყო მაგდაგვარი შემთხვევებიც, არამარტო ჩვენთან...

თაყაიშვილი — ადასტურებთ თუ არა, რომ საქართველოს კომკავშირის მდივანი ასლამაზოვი დაკითხვის დროს გადმოხტა ფანჯრიდან?

კოვლიძე — ვადასტურებ. გადმოხტა და დაიშალა სასიკვდილედ. გამომძიებელმა კოვალჩუკმა აიძულა; გადმოგდებით არ გადმოუგდია, რადგან კოვალჩუკს საყვედური არ შეხვედრია. იყო ასეთი შემთხვევები, არამარტო ჩვენთან. ექოვის მოსვლისთანავე დაიწყო პატიმრების ცვენა ფანჯრებიდან, არამარტო ჩვენთან...

თაყაიშვილი — დაანებეთ ამ თქვენთან და ჩვენთან თავი, გეკრძალებათ!

საჩვენებელი სასამართლო პროცესების მონაწილეთა გვარ-სახელები დაპატიმრებამდე ყოფილა ცნობილი; ყველას რანგისა და ცენზის მიხედვით მიჩენილი ჰქონდა კუთვნილი ადგილები სასამართლოში. ექოვის მიერ შედგენილ სიებს კორექტირებას უკეთებდა ვილაც და არგაცხადებული ბრალდებული ერთი გრიფიდან მეორეში გადადიოდა და პირიქით. სიების ამოარქივების შემდეგ ზემოთნახსენებმა შატუნოვსკაიამ სტალინის კალიგრაფია ამოიცნო, რაიც კრიმინალური განყოფილების ექსპერტმაც დაადასტურაო.

ჩვენი წარმოდგენით, სტალინი დიწი, აუჩქარებელი, აუღელვებელი პიროვნება გახლდათ; ცხრაჯერ ზომადა და ერთხელ ჭრიდა. სხვათა თვალსაზრისით ნელა, დუნედ აზროვნებდა, რაიც მოაზროვნის ტენიანობას მიაწვდებოდა. ხელწერის მიხედვით კი არც ერთი დასტურდება და არც მეორე: სტალინის კალიგრაფია სწრაფი და ნერვიულია, მისი ხელნაწერები აბრევიატურებით, ქარაგმებით, შემოკლებული სიტყვებითა და მრავალწერტილებით არის გავსებული და შეუძლებელია, იგი ექოვის მიკროსკოპულ ასოებში არეოდა ვინმეს.

ნაზარი პასილი

(ლიბრეკული ინტერმეცო)

კომუნისტური პარტიის ყრილობამ ნეტარების (თანხმობისა და გულითადობის) ატმოსფეროში ჩაიარა. სადავო და საკამათო აღარაფერი დარჩა, „... მაშასადამე, გამოძღვანდა ჩვენი პარტიის რიგების არაჩვეულებრივი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შემჭიდროება“, განაცხადა სტალინმა და საბოლოო სიტყვაზე უარი თქვა. ყრილობა ნაყოფიერი, შედეგები სავალალო აღმოჩნდა.

1934 წელიც მშვიდობიანად იწურებოდა, მაგრამ წლის ბოლოს შინაპოლიტიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდა: პირველ დეკემბერს პეტროგრადში, სმოლნში მოკლეს სერგო კიროვი. ზუსტად ორი თვის თავზე პირველ თებერვალს ცეკას მდივანად, მოგვიანებით შინაგან საქმეთა კურატორად, უფრო გვიან ამავე უწყების სახალხო კომისრად დაინიშნა ნიკოლოზ ივანეს ძე ექოვი. იგი

პირველ მისს იყო დაბადებული და ამ რიცხვით, დაბადების დღით, დასაწყევრად რომ გაუხდებოდა მალე, ნამეტანი ამაცობდა, წარმოშობით პროლეტარმა, პროლეტარის ნაშვირმა მარქსისტულ-კომუნისტურად — არც არაფერი მოყოლია, ვერც ვერაფერი გაიყოლა — გაასწორა ანგარიში სააქაოსთან: დახვრიტეს 1940 წელს 45 წლისა.

უნჭო არ ჩანს. უსწავლელმა, განათლება და ზრდადღაუშთავრებელმა შესაძლებლობის ზღვარს მიღწეა; დაწერა და ბროშურად გამოსცა სტალინის მიერ ნასწორებ-ნარედაქტორალი წერილი „ფრაქციონერობიდან აშკარა კონტრევოლუციამდე“, რითაც ერთი მუგუზალი შეუზრა პერმანენტული პარტიული რწმენის აუცილებლობას, კლასთა განადგურების მარქსისტულ თეორიას.

დაიბადა პეტროგრადში, იმპერიის მაშინდელ დედაქალაქში. ქარხანაში ზეინკლის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა და არყის სმა. წაჭერილი იყო ქურდობაზე, დააბატირეს კიდევ, მაგრამ რევოლუციამ მოუსწრო და ბაცაცებისათვის ველარავინ მოიკალა. რადგან მისი წონა-ზომის ადამიანს რეგულარულ სამთავრობო არმიაში, საკაცეთიც რომ ამოწყვეტილიყო, არავინ მიიღებდა. წითელ ჯვარში შევიდა. მისი სიმალე ოფიციალური მონაცემით, 154 სანტიმეტრზე ზევით არ აღიოდა. სტალინი მალეღეს ვერ იტანდაო, პოლიტიურის წევრებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკუთარ თარგზე ჰყავდა გადართბული, მაგრამ რევოლუციის ნაკელაფუებულ ნიადაგზე აღმოცენებულის გადიკაცება მარტო სიპატარავის გამო არ იქნებოდა გაპირობებული. ბატირს (ბოგატირ) ეძახდნენ და სანამ უკეთესებს შეურჩევდნენ, პარტიულ წრეებშიც ბოგატირობით იცნობდნენ. იგი სტალინის ყველაზე დიდი, დაუფასებელი საკადრო აღმოჩენა იყო. ბელადის სიხლოვეს პირველად ციმბირში გაილანდა პურის დამზადების საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით 1928 წელს. სერგო ორჯონიკიძის ავადმყოფობის გამო თავად სტალინი გაემგზავრა ციმბირსა და ალტაიში, სადაც ხორბლის ჩაბარების სახელმწიფო მონოპოლიას საფრთხე დაემუქრა. გეგმის რიტმისა და ტემპის დაგდება საბოტაჟად ჩაითვალა და ცეკა რისხვად დაატყდა თავს ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას; საგანგებო კომისიის ჯუჯა წარმომადგენელი, რომელსაც იმხანად არავინ იცნობდა, სტალინის გარშემო დასუხსულებდა, თითქმის საკბენად ედებოდა ფეხებში აქტივის მონაწილეთ და პატრონის გარდა ყველას მტრულად უყურებდა. ძალღური ერთგულება მაშინაც არ დარჩებოდა შეუმჩნეველი და მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის პატარა კაცი, თუნდაც რვა წლის შემდეგ, იავოდას შეცვლიდა. სტალინს ყვავები არ უყვარდა, ნამეტანი ჭკვიანები არიანო. ყვავები არ იყო საჭირო.

ჰენრიხ იავოდას ცოლი იდა როიალთან იჯდა და უზორცო, გრძელი თითებით აგრიალებდა ბეთჰოვენის „ეგმონტის“ უვერტიურას. მიწისფერ კაცს ვარსკვლავსამხრეებიანი ხაკის ხალათი ეცვა, მკლავყაწიმებიანი იდაყვებით დაყრდნობოდა როიალის სახურავს და უსმენდა ეგმონტს, ფიქრით სხვაგან იყო, მაგრამ ესმოდა; მისი როკაპი თანამეცხედრის ოსტატობაც აოცებდა; მოსწონდა როიალში და არა საწოლში ძველებისა და ზამბარების უსიამო ჭრიალში. დიდი მწერლის მაქსიმ გორკის რძალს ჰყვარებოდა. მოტოციკლისტ მაქსიმ პეშკოვის

ცოლი საკუთარ აგარაკზე ჰყავდა გადანახული. ბაღერინა ღიალია მიუყვანა მეორე დილით მაქსიმემ. ჩემ ცოლს დაანებე თავი და ეს გყავდესო. შენი ცოლი, ჩემო მაქსიმე, მართალია, დასავით შემეთვისა, მაგრამ ახლა აქ არ გახლავს, ეს ბაღერინა, რომელსაც კარგად ვიცნობ, შინ წავა მუსიკის გაკვეთილების გასამეორებლად. რაღა მიპგვარა, უკან წავვრა აღარ ინდომა, მინამ მასპინძელმა, მცირე სერობის შემდეგ, ბაღერინას ხურდასავით სხვაც არ გააყოლა და ჩამოწერილი მთვრალი მოტომბოლი ხუთი ნახევრადშიშველი ქალით არ ჩაბრუნდა მოსკოვს. ტიმოშა (ნატალია ალექსეენა) კი შინ დაუხვდა ახალი გაღვიძებულივით. მაქსიმე ბეშკოვმა გაიფიქრა, გალუცინაციები ხომ არ დამეწყოო და შინ აღარ შევიდა, ბაღში დარჩა და ცოტა ხანში გულისრევა იგრძნო. გამობრუებულმა მხლებელმა, НКВД-ს საიდუმლო აგენტმა ურჩია, კიდევ დალიე და გაგივლისო. არ დაუჭერა, ბაღში დაიძინა, დილითგამწვანებული ნახეს. ოქროსკულულებიანი მისი მეუღლე ჰაეროვანი ყოფაცქევისა გახლდათ და იაგოდას გარდა (ამბობდნენ მამამთილთანაც ცოდავდაო) სხვაც არ დაუტოვებია გულნაკლული. იაგოდას კი დიდი მწერლის ოჯახთან სიახლოვე მართო ინტიმურ-სექსუალური მოთხოვნილებებით კი არა, საგანგებო სამსახურებრივი მისიითაც იყო გაპირობებული, და მაქსიმეს გარდაცვალების შემდეგაც არ შეუწყვეტია იმ ოჯახში სიარული. მოუწამლა თუ არა ტიმოშას საყვარელი ქმარი, მაქსიმე გორკის შვილი, არავინ იცით. თავად მწერალი კი, ოფიციალური ვერსიით, ორი წლის შემდეგ გამოასალმა სიცოცხლეს წელი მოქმედების საწამლავებით. ორ ადამიანს სატრფოს გულისათვის, ტიმოშას ისედაც არავინ უკავებდა, არ მოკლავდა, სახელმწიფო ინტერესების გარეშე. ისე კი არც საწამლავები უჭირდა, არც ხელების კანკალი აწუხებდა. უშიშროების სამსახურის სპეცბლოკის ბოქსებში წელი მოქმედების, ჩქარი მოქმედების, ყოველნაირი მოქმედების, ჯურისა და დანიშნულების შხამები ენახებოდა. წამლები, რომელთა დამზადებაზე და ტექნოლოგიაზე მთელი ლაბორატორია მუშაობდა, მხოლოდდამხოლოდ გენესკის მითითებითა და საკუთარი კოლექციის შევსების მიზნით გაიცემოდა. მაინც გადიოდა გარეთ ხმა, საწამლავები მსხვილი კედლის რომელიმე კაპელარში მიჟონავდა. ამიტომ ხომ არ შემოუტყურეს ის დაფხვნილი ცრუმარქსისტი ეყოფი? ჯერ ვერ გაწირავდნენ. მან ბევრი იცოდა. სწორედ ამიტომ, სწორედ ამიტომ...

ბევრის ცოდნას არ პატიობენ ერთმანეთს ამ სისტემაში. წასვლა ჯობდა, წასასვლელი რომ ყოფილიყო. ჯერ კიდევ ეშინიათ იაგოდასი, შიში შეიქმს სიყვარულს კი არა, სიხარულს. გული ნეტარებით ევსება კიდევ საკუთარი უფლების შემგრძნებელს და... მაინც წარმოუდგენელი შეცდომა იყო მისი ჯიშის ჰკულისათვის აქამდე ამოსვლა.

„ეგმონტის“ უფერტიურა დასასრულს უახლოვდებოდა, ასრულებდა იაგოდას ძვალთანამეცხედრე, იყვნენ სტუმრები, სინათლე, მუსიკა. მაინც ის დრო ჯობდა, როცა იაშა სვერდლოვის მამას, ამ ქალბატონის ბაბუას ფულსა და ინსტრუმენტებს ჰპარავდა საგრაფიურო სახელოსნოში. თავადაც გრაფიორი იყო არა აფთიაქარი, როგორც ზოგიერთებს ეგონა. საწამლავების გამგებელს ფარმაცევტობა დააბრალებს. არ იყო? გვარშიდაც ხომ ჰყავდა ამ ხელობის მეწამლეოთხუცესები. აქ იყო მითი და

რეალობაც. თავისად მოსახმარს, როგორც ირკვევა, სხვისად იყენებდა?

შენმა თავმა ქვა გკრა!

ვერ გაბედა, თუმცა აღსასრულს სხვაზე ღირსეულად შეხვდა. შავი ღიმილით მოაწერა ხელი ეჟოვის ნათითხნ-ნასორსოლაფებს, ყველა მოგონილ (ვითომ ნამდვილი არ კმაროდა) ბრალდებას.

— გარეწარო იაგოდა, არ ნანობთ, არ ინანიებთ თქვენს დანაშაულს?! — ეკითხებოდა სახელმწიფო ბრალმდებელი ვიშინსკი განაჩენის გამოტანის წინ.

— ვნანობ, როგორ არ ვნანობ, ძლიერ ვნანობ, რომ არ მიგახვრიტეთ თქვენ და ბატონი ულრიხი, როცა თქვენი მიხვრეტის სურვილიც მქონდა და საშუალებაც!

მეორე დღეს სახეზე შეყინული სინანულით მიწად იქცა მიწისფერი კაცი, არაფრისაგან აღზევებული ერთი არაფერთაგანი.

ეჟოვი კი ახალ წეს-წყობილებას ამყარებდა სამიცვალებულეთში; მისადმი რწმუნებულ უწყებას ანადგურებდა, არ ინდობდა შინაურს და გარეულს. უსიტყვოდ ესმოდა პატრონის. ხვდებოდა. იცოდა. ასრულებდა; აჭარბებდა და არ აკლებდა. სიზმარ-ძილგატეხილს დღე დღედ, ღამე ღამედ არ მიაჩნდა კაცთა კვალის გარეშე. კენესა. ყვირილი. ღმუილი. ტირილი შედიოდა კაბინეტში, რომელსაც იქ დაბერებული თანამშრომლებიც ძლივს აგნებდნენ. გადაიკეტა პირდაპირ მისასვლელი გზები და ადგილსამყოფელი მიუსაგნისი გახდა. გამოძახებული ჯერ ჭურღმლებში ჩაჰყავდათ, დერეფან-ლაბირინთებს გაატარებდნენ და აღიოდნენ ხვეული კიბით ზევით. ვერტიკალურ ტექნიკას, რომელსაც ეჟოვის ლიფტს ეძახდნენ, შიშით ვერ ეკარებოდნენ იქაურებიც. ხანდახან წყნარად იჯდა, ფხიზლობდა. ბოლოს ისტერიკა დარევდა ხელს და პირზე დუქმორეული ეძებდა მტრებს, დივერსანტებს, უცხოეთის აგენტებს; ეძებდა იქ, სადაც არ იყვნენ და მაინც პოულობდა; გამოყავდათ და გამოყავდათ ბუნაგებიდან ერთეულები, გამოყავდათ ჯგუფად, კოლექტიურად, ეგ არაფერი, კიდევ მეტს ამოვიყვანთო, იმუქრებოდა. ხალხის მტრები (იმ საწყალ ხალხს მაინც რამდენი მტერი ჰყავდა!) არ ილეოდნენ, მტრებს მტრები ემატებოდნენ. უკვდავი კაშჩეი სიფხიზლეს არ აღუწებდა, და დაძაბულობისაგან კბილები ცვიოდა, თმა ჩამოუდიოდა ძირს ნერვებგადაწყობილს. ფეხსადგილში რომ არ ჩავარდნილიყო, თავზე ხელისმოსაკიდებელს ვერ იბოვიდი; მშველელს მუჭში ბლუჯად შერჩებოდა ავადმყოფი თმა.

დავასვენოთო, თხოვდნენ სტალინს ზაფრამორეული, ვითომ ეჟოვის ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეწუხებული პოლიტიბუროს წევრები; სტალინი არ ჩქარობდა. ხალხთა დიდი მარგვლის სეზონი ჩამთავრებული არ იყო. სწორედ შუა სეზონში გამოქვეყნდა ბრძანებულება საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით — ეჟოვის დაჯილდოების შესახებ. პარტიის დავალებათა შესრულებულ საქმეთა განსაკუთრებული წარმატებისათვის ეჟოვი ნიკოლაი ივანოვიჩი დაჯილდოვდესო ლენინის ორდენით.

მოსკოვი. კრემლი. 1937 წელი. 17 ივლისი.

ორდენს მილოცვები მოაყოლეს და გამოუგზავნეს კაცი მოადგილედ პენსნეთი და ჩეკისტური გამოცდილებით. მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს. ჯერ მისი მოვალეობანი შემცირდა, შემდეგ უფლებანი შეიზღუდა. ახალი მოადგილის გარეშე

სასიკვდილე განაჩენების მოთხოვნასაც ველარ აწერდა ხელს.

ეჟოვი. ბერია.

მოკლედ. ლაკონურად, ტანდემურად მიდიოდა საქმე, სანამ ბერია წინ არ გადავიდა, ეჟოვი უკან არ დაჯდა. ეჟიკ, ახლა როგორა ხარო, ეკითხებოდა უბებზესიებულს მოადგილე. ახლა თითქო არა მიშავს, წირპლს იწმენდდა ღარაიით.

ეჟიკ!

ჭლეჭიანი კაშჩეი და ვასილი ნეტარი არ კმაროდა!!

თანდათან ემანჭებოდა სახე, უბებზესი უსკდებოდა, ღვიძლი უდიდდებოდა, თავი უპატარავდებოდა და გადასავარდნამდე მისული ვასილი ნეტარი უიმედოდ იმზირებოდა. მოვიდა, როგორც იქნა, ახალი დანიშნულება: საწყლო ტრანსპორტის კომისრად ამტკიცებდნენ. არც კი იცოდა ამნაირი კომისარიატი თუ არსებობდა, მაგრამ წყალზე დაწერილი ბრძანება წყალობასავით მიიღო. უიმედობა ტანჯავდა მაინც. სად იყო, ვინ იყო და და ვინ იყვნენ, ველარ არკვევდა; შიშით გადი-გამოდინდნენ მაინც ახალი კაბინეტის მისადგომებთან; ფეხის ფაჩუნე, ხელში დაკავებული საბუთების შრიალი ესმოდა. ეშინოდათ. აშინებდნენ. ცოლს ნერვებმა უმტყუნა. სახლიდან წყლის კომისარიატში უგზავნიდა წერილებს, ტელეფონით აღარ რეკავდა; აღიარეო, თხოვდა, ინგლისის აგენტი ხომ ხარო. ნერვულ სნეულებათა სტაციონარში გადაიყვანა, მოისვენა და ცოლიც ჩააწყნარა. დააძინა და აღარ გაუღვიძებია. მოწამლა თუ თავი მოაწამლვინა ესეც ვერ დაუდგენიათ. ქალი სულეირად იყო მოწამლული და ლუმიწალის დიდი ღოზა ყოველდღიური რეალობიდან მარადიულ ირეალურში გადასასვლელად ჭირდებოდა. ძილში ჰპოვებდა შვებას და სამუდამო ძილს მისცა თავი. დატოვა ნაშვილები გოგონა და ქმარი, რომელიც აღარც მტერს ჭირდებოდა, აღარც მოყვარეს.

მალენკოვის კაბინეტში გაძაგრეს. დასახვრეტად რომ მიჰყავდათ, ინტერნაციონალს მღეროდა.

ჩვენიანის სიმტკიცით ვამაყობთ და სხვისას ვერ ვხედავთ. დასახვრეტად გამზადებული ბერია მიწურ-ბუნკერიდან, თითქო მიწიდან დედას აგინებდა სამხედრო პატრულს: გინდათ არ გინდათ ქალი შემომიგზავნეთო. თუ მართალი არაა, თავი ვერაფრით გვისახელებია, პირველ-ორს უჯობნია და ეგაა!

ეჟოვს პატრონი არ დაურჩა. პარტიამაც გაწირა, ხალხმაც. რეაბილიტაცია გვინდაო, წამოიკნავლა გადაბერებულმა ციმბირ-ციმბირ ნამკურნალეგმა ნაშვილებმა ქალიშვილმა.

ყური ვინ ათხოვა!

არადა არ იყო დასაკარგავი კაცი. ბალადა დაიწერება პატარა მკვლელზე, რომელიც მიწამ ვერ დაიტია.

ეჟოვ, ბედდამწვარი ულან-ბატორო, სადაა შენი რკინის სამკლავები!

დავით მჭედლური

ღამის რეჟულიდავ

* * *



მაღე ატყდება გაზაფხულის ქარების ქროლვა,
მარტის განლევა, — მეჩვენება, — თოვლსაც უხარის,
აპრილი იგრძნო ყინულების არტახში მწოლმა
არაგვის წყალმა და ყვეს მღვრიედ გადმოქუხარი.

თრთის ცა და ხმელი შარშანდელ ბალახის ფესვთან
მილოლავს წვეთი, ჭიაფერი, უფრთო მწერივით,
მაგრამ ნაზამთრალ სულთა ურდულს გერავინ შეწვდა,
— არსად ჩიტები გალიიდან გამოფრენილი.

კვლავ მოგონება: გაზაფხულო, წახვიდ-მოხვიდი,
და ბალახივით ვცოცხლდებოდი, როცა გნახოდი,
ახლაც მოგელი დავრდომილი და ქედმოხრილი,
ანთუ უაზროდ მოტივტივე, როგორც ნაფოტი.

ო, რა ხანია, თვალებილული ვიღამ-ვითენებ
და წრეზე მბრუნავ წელიწადის დროებს დავყვები,
გავიდა ღამის ნახევარი, მთვარის ყვითელზე
მორიელივით მიხიხავენ მთვარის ლაქები...

* * *

წლებმა გაგვრიყეს წამლეკავი ამ სიმღვრივიდან,
მზეზე ჩამოლდა სანატრელი თოვლის ზღაპარი,
უსახო ჩრდილი დღეს არყოფნის კართან მივიდა,
რომ საბოლოო მოიბოგოს თავმესაფარი.

ახლოს მოჯარდნენ სივრცეების ცივი მკერდები,
და სიშორეში ფრინველივით უხმოდ შეხვედი,
და ცისქვეშელთა მოსაწყენი ცრემლით სველდები,
სანამდის ხომლის ნისლეულებს გაეხეხები.

სანამ დაცხრება ამღვრეული გონის ზრახვები,
ანთუ კერპები იქცევიან უკვდავ ღმერთებად,
და მარტოსულთა შხამისფერი, მწარე ნალველით
ქვეყნად სათქმელი ყველა სიტყვა გაიჟღენთება.

სანამდის გიხმობს, ვინც შენამდე გაქრა, წავიდა,
 ვინც კვარად ენთო და გაჩენის დღეს იწყველიდა,
 და შენც გამოხვალ ყველა დღიდან, ყველა ღამიდან,
 ყველა ხსოვნიდან და ცოცხალთა ყველა ცრემლიდან.

* * *

სამყაროს ქართა მუსიკაა შენი შემშლელი
 და ათრთოლებულ ზეცის მკერდზე თვალი გელევა,
 მალე სანატრელ სინათლეში გადაეშვები,
 მიღვა, მიჯარდა ამ სიცოცხლის ციებ-ცხელება.

მოგვდევს წყვდიადი, უსასრულო, განუქარვები,
 მეზით გახლეჩილ ხეზე ფოთლებს ფერი ეცვლება,
 თითქოს ცთომილმა გაიელვა შენმა მფარველმა,
 გაიწკრიალეს მდედროვანზე ძველმა ვერცხლებმა.

ვინ დაგიაძებს ქვეყნად შობის მტანჯველ სიმძიმეს,
 ანუ ვინ დაჩხვლეთს ამ კუნაპეტს ცეცხლის ეკლებით,
 სიშორავეში ახალ ვარსკვლავს ააციმციმებს,
 და მიწის მკერდზეც მწვანე ფოთოლს გადაეყრები.

სხვა რაღა დარჩა ოთხივ დროის ამ ნანგრევიდან,
 ყველამ გაზიდა თავთავისი ცრემლის თასები,
 და კვლავ ბუნების წმინდა საშოს წიაღ შევიდა,
 და ფერნაცვალი, შენც ბალახებს დაემსგავსები.



დასაბამიდან ღრუბლის ქვეყნად შეღწევა გასურდა,
და ახალ ტანჯვებს დაეძებდი მუდამ ქურდივით,
მაშ არ მომკვდარა გარდასული დროების სუნთქვა
და რომანტიკაც მთვარესავით არის მუღმივი.

* * *

მოგენატრება სიყრმის წლები და ტკივილები,
ყინულის ხორკლით გათანგული წყლების ხავილი,
ტყეთა მხარ-მკლავზე გაფენილი თოვლის ყვავილი
და ბუკიოტის დამეული წამოკივლება.

როცა ღამდება, არე-მარეს მთვარე ცალთვალი
დააშტერდება და ბინდებში ცდილობს შეღწევას,
ანდა მზირივით ოთხივ მხარეს მიმოექცევა,
მაშინ გწყურია უსასრულო გზებზე წანწალი.

ვერვინ წაშლა ის სახება, და ურუანტელი
კვლავაც ჩაუმქრალ ღადარივით ხორცზე გედება,
მტანჯველი იყო სულის ყველა შემოქმედება
და ავბედითი, როგორც ყორნის ნავსი ყრანტალი.

დაბრმა ქვეყანა, არავინ დარჩა სინათლის მჭვრეტი,
ვერც საბოლოო ამოხზვრას ვერვინ გაიგებს,
კვლავ ძველებური შავ-ფიქალის კოშკი აიგე
და წინაპართა გამოქარულ ძვლებთან შედი.

ან სამუდამოდ დაადექი იმათ ნაკვალევს,
იქ აღარ ისმის დარბაზების ყალბი გრიალი,
ბევრი შეგხვდება ხთისშვილივით პიროფლიანი
და შენც დიადი რამე ქარი აგაკანკალებს.

* * *

ვერ მოეფინე დედამიწას, როგორც ნაყოფი,
ვერ აღმოცენდი უსასრულო დროის ფსკერიდან
და შეშლილივით მარტოდმარტო ლაპარაკობდი
სიტყვებს, რომელიც არასოდეს არ დაწერილა.

დაფერფლილია აღტკინების მწველი შეგრძნება,
ფასი არ აღევს აღარც სიბრძნეს, აღარც სიგიჟეს,
სულ მალე მიწას მწვანე გარსი შემოეცლება
და ისიც თავის გაციებულ გულთან მიგიშვებს.

ყველა ნადიმზე გამასპინძლობენ მწარე ფიალით,
 სულში გელვრება ნაღველის და შხამის ნაზავი,
 ვნების ამშლელი აღარ გხიბლავს ფარჩის შრიალი
 და ამ ქალაქში უაზრო ხარ პეპელასავით.

— ჩამოდექ! — უხმობ, არ ჩამოდგა ნათლის სვეტები,
 დღემილი... ყველგან უარყოფის მწარე შეგრძნება,
 და ქარიც, ფოთლის უზრუნველი მიმომხვეტელი,
 აღარ გაჰყმუის და მწვერვალებს არ ეძენძება.

* * *

წვებოდა თოვლი, იწყებოდა შტოთა მორკალვა,
 რჩებოდა თოვლი და ქრებოდა მიწის ნაშთები,
 ახლა ყოველი წარიტაცა ხსოვნის გორგალმა
 და მზერის მისწვრივ რაღაც შავი აყაშყაშდება.

ფერები გალღვა და ლელმაში მიწყვიტ განქარდა,
 თოვლმაც ამღვრეულ დინებებში ჰპოვა სასრული,
 სამყარო გარყვნეს ცრუ მგოსნებმა, ენალაქარდმა,
 შენც ქვე აგდიხარ გათელილი და გაბასრული.

ექებ, ეძახი: ხორციელნო! — ყველა სკნელიდან
 ისევ და ისევ უხორცოთა ისმის ხარხარი,
 იქ არის ყველა, ვინც სიღრმეთა წიად შევიდა,
 ან ველზე დარჩა ხორციელად დაუმარხავი.

ცათა და ცათა გაიდება კვლავაც კარები,
 გული რომ ისევ საგანგაშოდ გახლიჩოს მეხმა,
 შენც ახლა, მალე, ხორციელად აღეკარვები
 და უხილავთა მორიალე დასებში შეხვალ.

* * *

ნეტავ რა ფასობს, თავი რისთვის უნდა გასწირო,
 ააფრიალო შერიგების თეთრი ალმები,
 დილის თოვლივით ნუთუ მზეზე კიდევ გალღვები,
 ანთუ გაბედავ — ვინმეს ფიქრი გაუნაწილო.

გადაბიჯე რაღაც დიდს და რაღაცა უძრავს,
 ალბათ, სულ მალე, შეუცნობლის მიხვალ კარებთან,
 დიდი ხანია აღარავინ არ გეკარება,
 თითქოს მისჯილი საჯალათო — დაგამხეს — კუნძთან.

აღარ გიხმობენ, არ უკრავენ მწუხრის დაფდაფებს,
აღარ მიჰქრიან საზეიმო გზებით ეტლები,
ნეტავ ამ ღამეს თუ გაუძლებ ყოვლის შემძლები,
ანთუ გრიგალი ზეცის თაღებს მოაკამკამებს.

მღუღარე ქაფი და დიდროა ისევ წალეკავს
მწვანე ნაპირებს და აღარსად არის ნაპირი,
წამით იელვებს და ჩაქრება ხსოვნაც ქაფივით
და მარადიულ ნისლეულში ჩაიმალება.

მიაჩრდები მარტოსული დემონის სახეს
და აღგიტაცებს, რაც ოდესმე ასე გზარავდა,
ჩაქრა ცარგვალი და სამყარო დაპატარავდა,
აჰა, ზესკნელის ბინადარი ქვესკნელში ჩახვედ!

* * *

გამოდი! — ხმობდნენ გაზაფხულის ლორთქო კვირტები,
კოსმოსის ქარიც მოგძახოდა: გამო, გამოდი!
ჯერაც შორს იყო წყალთა მღვრევა და აზვირთება,
ყმაწვილი იყავ და იისფერი მოკამკამობდი.

იისფერია ახლაც, ალბათ, ქვეყნის ხედები,
და გაზაფხულის ბორჯნეული ჟამის ძახილით
თავბრუდასხმული სულიერი მიეხეტება,
მზერაუმტარი, განლეული და თავდახრილი.

ვისაც ნიადაგ აწამებდა დაუსაზღვრელი,
ვინც ყინულებთ ხეობებში სიმწრით ხაოდა,
ვინც სამზეოში ჩამოვარდა, როგორც ნამსხვრევი
და შეემატა გაზაფხულის სანახაობას.

ვინაც ათასჯერ აღმოცენდა ქვესკნელს ჩასული,
ვისაც ჯერ კიდევ შეათრთოლებს წყლების ფეხება,
და იისფერი სივრცეებით თავბრუდასხმული
მარადიული წყვდიადისკენ მიეხეტება.

მიაქვს ლტოლვები, უმიზნობის განცდა-განლევა,
ოხვრა დასხდება ყველა ჯავრის ერთად შემყრელი,
თითქოს იცოდეს ქარი როდის მოიწამლება,
ანდა მიწამყარს დაემხოზა ღრუბლის ქვეყნები.

* * *

თოვლი გიყვარდა, აღარ მოდის თოვლის ფანტელი,
 დამსხვრეულია სისპეტაკის ყველა ბროლები,
 მოედო ქვეყნად სიმღვრივეთა კორიანტელი,
 მოჰქრის ყომრალი, ოთხივ მხრიდან მონაქროლები.

— ზამთარო! — უთხარ, — მომიტანე რამე საშველი, —
 ღამის ფრინველი აგიყვდა, სხვა რა გაღირსა,
 მინდვრის მთრთოლვარე მანანებით ველარ დასველდი,
 მღვრიე ლაქებად ყვავილები ჩანს ოთახისა.

აღარ გესმოდა, გამოტოვე ბევრი ხმაური,
 ბევრი სხეულის მიმომტვრევა, ელდის დამცემი,
 ცოცხალთა ქალაქს დევნილივით ჩუმად ჩაუვლი
 და უკაცრიელ მღვიმის კედლებს მიენარცხები.

როგორ გაძნელდა ასაფრენად მხრების აწევა,
 რასაც ელოდი აღესრულა, აჰა, ესერა...
 ქარი-არავში გალღვებიან თოვლის კაცები
 და შენც უძლები მიწის მატლი შემოგესევა.

* * *

ზვირთების თრთოლვით არ იძვრიან კვლავაც მკერდები,
 ცივი სარკმლები, ქალაქები, ზღვები, გულები...
 აღარც ვნებები უცაბედი არ აძგერდება
 და ამ სიყრუეს სულ ამაოდ ეჩურჩულები.

ამაოდ დაშვრა ცა და ხმელი, როცა გიხმობდა,
 როცა გტანჯავდა მშობლიური ნგრევების ხსოვნით,
 მარად ობოლი, დედამიწის უბეს მიჰკვროდი
 და ველურივით ნამდაცემულ ბალახებს წოვდი.

კვლავ მერამდენედ დაიწყება ახალფოთლობა,
 და მერამდენედ წამოსკდება კვირტებს ეკალი,
 ვერ შეურიგდი ცრუ ბატონთა მიდგომ-მოდგომას,
 ცრუ ძმობილობით და ცრუ ზავით ვერ შეეკარი.

ღვარძლის მდინარე ეხეთქება სულთა კლდოვანებს,
 გელაციცება ბაგეებთან ენა ორკაბი,
 ყველა ტკივილი ყრუ ოხვრაში გაახმოვანე
 და ღამლამობით ნადირივით სისხლს ილოკავდი.

რატომ, რატომ?!



რატომ, რატომ?!

კი, ბატონო, ლტოლვილი ვარ. რად უნდა მაგას კითხვა.

ლტოლვილის მეტი ვინ დგას ახლა ქუჩაში.

სამი ლარია ჩემი აქედან, მეტი კი არა.

სამ ლარად ვდგავარ დღეში და ვყიდი „კოკა-კოლას“ ამ წვიმა-ალბათობაში. ამით ვმოულობ ლუკმა-პურს. ესაა ჩემი

სამსახური.

მეტს ვინ მოგცემს.

ამაზეც ერთი ამბავია დღეს.

თუ არ გინდა, წადი და იმათხოვრე ქუჩაში.

მთლად მათხოვრობას კიდევ ეს საქმე ვარჩიე.

მოვწყინდით ყველას, თუ სიმართლე გინდა, ეს არის, ბატონო. ღმერთსაც მოვწყინდით და კაცსაც.

პირში არ გვეუბნებიან, მარა ხომ უნდა მიხვდე ბოლოსდაბოლოს.

ვერც გაამტყუნებ ვერავის. სტუმარი გამიგია ერთი დღე, ერთი თვე, ერთი წელი თუ გინდა, მერე ამოუხვალ ყელში მასპინძელს, აბა, რა იქნება.

ყველას თავისი თავი უჭირს დღეს.

არ გვექონია, არა, არაფრის თავი არ გვექონია ჩვენ. სხვას რას ვერჩი.

შევატოვეთ უცხო ტომს ჩვენი სარჩო-საბადებელი და მატყუარა მთავრობას შევჩერებდით, როდის აგვინებებს მწვანე შუქს და დაგვაბრუნებს აფხაზეთში.

კი, აბა, მაგ ჰკუთხე არძინბა.

კეტით აგყარა შენი კერიიდან და მოლაპარაკებით მოგაბრუნებს უკან.

ღმერთიც აღარ მწამს ამ ბოლო დროს.

არც ღმერთი ყოფილა ჩვენთვის და აღარც ხატი.

ქრისტიან ქართველებს რომ გამოყრის თავისი მიწიდან და გადამთიელ აფსუსებს რომ გაამარჯვებინებს, ის ღმერთი ღმერთია?

დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს.

სოხუმი კარგად გეცოდინებათ. ბარათაშვილის ბაქანთან ახლოს ვცხოვრობდი, იქვე, ქვევით, შრომის ქუჩაზე. საკუთარი სახლი მქონდა.

საერთოდ, სოხუმში უმეტესობას საკუთარი სახლი უდგას.

ერთადერთი გოგო მყავდა. საექიმო დაამთავრა თბილისში. სოხუმის პირველ საავადმყოფოში მუშაობდა, თერაპევტი იყო. იმ წელს უნდა გამეთხოვებია. საქმრო ჰყავდა. მშვენიერი ბიჭი, ცაავა, ბაბუშერადან...

ექიმი იყო ისიც.

გადარჩა ცოცხალი. ერთი-ორჯერ იყო ჩვენთან, გვინახულა. სენაკში ვარო.

პოლიკლინიკაში ნახევარი შტატი მომცესო.

ეს ოთხი წელია აღარ გამოჩენილა.

ცოლი ითხოვა, ალბათ.

ითხოვდა, აბა რას იზამდა.

ამ ჩემი გოგოს ამბავი ასე იყო:

საავადმყოფო რომ აიღეს აფსუებმა, ვისაც საღ მიასწრეს, დახვრიტეს, მოგესხნება. მთავარი ექიმიც მაშინ მოკლეს, მარლანია, საწყალი. იმ დღეს, ოცდახუთი სექტემბერი იყო დასაქცევი, ჩემს გოგოს და ერთ ქირურგს — კობა შერვაშიძეს, სხვათა შორის თბილისელი ბიჭი იყო, ბედდამწვარი მისი მშობლები სოლოლაკში ცხოვრობენ, უმარჯვიათ და სამი დაჭრილი ჯარისკაცი ღვინის ქარხნის სარდაფში გადაუყვანიათ.

იქ უვლიდნენ მთელი ორი დღე.

ოცდახუთში მთელი სოხუმი გაიქცა, მარა ჩვენ საღ წავიდოდით, გოგო არ იყო სახლში და მე და ჩემ ცოლს უმისოდ რად გვინდოდა ეს გასახმობი თავები. მეორე დღეს არაფერი და ოცდაშვიდში ჩვენ, სახლში შეყუყულებს, მეზობელმა აფხაზმა ამბავი მოგვითხანა, „ვინზავოდში“ ჩაუხოციათ ვილაცეები და, მგონი, თქვენი ქალიშვილიც უნდა იყოს იქო.

რანაირად, საღ, ჩემს გოგოს ღვინის ქარხანაში რა უნდოდა, შევიცხადეთ.

მერე გავიგეთ ყველაფერი.

დარაჯმა გვიამბო თვითონ, ვინც შეესწრო ამ ამბავს.

რომ შევიდნენ თურმე ღვინის ქარხნის ეზოში, დიდი ჩხრეკა არ დაუწყიათ, პირდაპირ სარდაფს მიაშურეს. რვა კაცი ყოფილა. რუსის მაიორი ახლდათ თურმე და ის უფროსობდა. სამ-სამი „ბანკა“ ღვინო დაუღევიათ და დარაჯისათვის დაუბარებიათ, საწყობი დალუქე, აქ ჩვენს გარდა არავინ შეუშვა, თორემ დახვრეტა არ აგცდებო. წასვლისას ერთი ავტომატიანი აფხაზი გამოხვანცალდა, თურმე მარნიდან, მოსაფსამად ჩამორჩა თურმე სხვებს, ის ღმერთგამწყურალი.

ტამ გრუზინიო! დააწია თურმე ჭიშკრისკენ მიმავალთ.

კაკ გრუზინიო, ანუ იხ ესეხო, დაუძახნია მაიორს, კ სტენკუ ზახვატჩიკოვ, კჩორტოვოი მატერიო.

გამოუყვანიათ ხუთივე.

გადაფარებია ჩემი გოგო დაჭრილებს.

არა გაქვთ ამათი დახვრეტის უფლება საერთაშორისო ომის კანონით, მოვარჩენთ და მერე გაასამართლეთო.

დაჭრილები ფეხზე ძლივს დგანან თურმე.

მოშორდით მაგ ძაღლებსო, ყვირის თურმე რუსის მაიორი.

მოშორდით, თორემ არ დაგინდობთ ექიმებსაცო.

მეო, აფხაზი ვარო, ეუბნება თურმე შერვაშიძე.

საერთოდ, ექიმები ავადმყოფებს არ ვირჩევთ, ჩვენ ყველას გმკურნალობთო.

სამჯერ დავითელი, თუ არ მოშორდებით, მიგახვრეტთ თქვენცო. ცოფს-ჰყრის თურმე მაიორი.

ხუთივეს ხელი ჩაუჭიდა ერთმანეთისთვის.

ხუთივე ერთმანეთს ჩაფსკვნი აციკდილის წინ.

ჩემს გოგოს და შერვაშიძეს უფიქრიათ, გვაშინებენ, ალბათ, თორემ ექიმებს და მითუმეტეს შერვაშიძეს, არ გვესვრიანო. ხუთივე ერთად მიუხვრეტია იმ გარეწარ რუსს.

რას დაეძებდა. მისთვის რაღა ქართველი და რაღა აფხაზი. ფეხებზე ჰკიდა.

ორივე ერთნაირად სძულს.

ოცდაშვიდში, შუალაძეზე დავსაფლავეთ ჩემი გოგო მამაჩემის გვერდით.

სული მწარე ყოფილა.

ვერ მოვიკალით თავი.

თავის მოკვლა კი არა და დიდი ამბით გამოვიქცეთ ოცდარვაში ალიონზე სოხუმიდან.

ჭუბერზე წამოვედით. მეტი გზა სად იყო აბა.

„პოტიკი“ ყოფილა ყველაფერი.

ჩემი თავი მეზიზღება ახლა, რომ გამახსენდება, რა მონდომებით ვარჩევდით მე და ჩემი ცოლი ხაბაკ-ხუბაკს, რას ვთბილწინდაობდით და წელმხარზე რა გულმოდგინედ ვიკრავდით შალის დარაიებს, რანაირად ვეხმარებოდით ერთმანეთს ჭყანტალმართში, რა სერიოზული სახეებით ვინაწილებდით სხვებისაგან დამალულად თითო ლუკმა ყველ-ჭადს, შიმშილს რომ არ მივესვავთებინეთ.

მგელი ყოფილა, მგელი, ადამიანი.

შვილი აგერ, ა, ორი საათის წინ დამარხე და სად მიიზუზები, შე გამჩენძალო.

ასე ძვირად გიღირს შენი ბეხრეკი თავი?

ამ წვალება-დამიცირებას არ ჯობდა, დაგველია ორივეს იქვე, სასაფლაოზე, ქერძაფი და მივწოლოდით ჩვენს გოგოს გვერდით?

არ მონაკვდომა, არა, თავის დრომდე ადამიანიშვილი.

გაუძელით ყველაფერს, ძარღვ-თბილი გაგვიძელქვდა, ვიხანხალებ და ჩამოვლტოლვილ-ჩამოვმათხოვრდით თბილისში.

მე არ გეჩქარება, ერთს გეტყვი კიდევ.

მოგეხსენება, ჩვენ ლტოლვილები, მიმკვდარი ვართ ტელევიზორს; იქნება რამეს მოვკრათ თვალი. რანაირია სოხუმი ახლა. რა შეიცვალა, რაც ჩვენ გამოგვყარა რუსმა და მომთბარე უცხო ტომი-აფსუა გააბატონა. იქნება სადმე თვალის წარბენაზე მაინც გამოჩნდეს ჩვენი ქუჩა, ჩვენი სახლი...

გაგიგონია? არაფერი მსგავსი.

გვიჩვენებენ არძინბას კაბინეტს და აფხაზეთის თვალწვრილა ყაჩაღ ლიდერთან კნუტებივით მიმჯდარ ჩვენი დელეგაციის წევრებს.

ესაა სულ.

მეტი დაცინვა შეიძლება?

ექვსი წელი გავიდა, შე კაი კაცო. რა იქნება, გადაიღე და ტელევიზორში მაინც მაჩვენე ჩემი სახლი. ამას მაინც რა უდგას წინ.

დავიჯერო ახლა, ექვს წელიწადში ვერ მოახერხე ამხელა ტელევიზიამ გაგრის, სოხუმის, ოჩამჩირის გადაღება?

რალაცაშია საქმე.

ამ გაზაფხულზე, სანამ გალის ამბები დაიწყებოდა, ზუსტად გეტყვი, ოცდაექვსი აპრილი იყო, გალიდან ზუგდიდში ჩამოსულ ჩემს ბიძაშვილს პასპორტი ვენათხოვრე, ჩემი სურათი ჩავაწეპე შიგ, ვიყიდე ერთი ყუთი სიგარეტი „პრიმა“, გავიდე მხარზე და, ვითომ, ჩემს სახლში მიმაქვს, ოტობაიაში.

რუსის ჯარისკაცს, კანონიერად გადიხარ თუ უკანონოდ, სულერთია, ფული უნდა მისცე. ჩავუკუჭე ხუთდოლარიანი ხელში და პასპორტისთვის არც დაუხედავს. გალში, სოხუმის ავტობუსში მოვეყუჩდი.

„ტი კულა?!“ — მეკითხება აფსუა პოლიციელი.

სოხუმში მივდივარ, ოტობაიელი ვარ, ეს „პრიმა“ მიმაქვს გასაყიდად-მეთქი.

არა, აქ გაყიდე, გალში. სოხუმში ჩასვლის ნება არ გაქვსო, წაკრა ფეხი სიგარეტს. ლაპარაკი რომ გამეება, უარესი იყო. ამ ხალხთან, მოგესხენება, თხოვნა-ლრეჯა არ ქრის. მივეცი ათი „პრიმა“ და გამანება თავი.

რომ არ დაგღალო, თორმეტ საათზე სოხუმის ბაზართან მიჭრაჭუნდა ჩვენი ავტობუსი.

გულს ბრაგა-ბრუგი გააქვს, ყურმა შეილი დამიწყო. ჩემი სოხუმი. როგორი საქმეა შენს მიწაზე, შენს ქალაქში, სხვისი პასპორტით, ქურდივით ხარ შემოპარული.

მოსაჩვენებლად დავადექი ყუთს იქვე, ბაზრის შესასვლელთან, ვინმე არ მითვალთვალებდეს-მეთქი. ქუდი მაქვს თვალებზე ჩამოფხატული და ულვაში ჩამოპარსული, მაგრამ მაინც ხომ შეიძლება გიცნოს ვინმემ ბაზარში.

ნახევარი საათის მერე შევატოვე ჩემი „პრიმა“ მინვოლდელ თათარს, რომელიც იქვე, ჩემს გვერდით, დარჩეულ კაკალს ჰყიდდა. კუჭმა შემაწუხა, შევჭამ რამეს და ნახევარ საათში მოვბრუნდები-მეთქი, დავუბარე.

დავკარი ფეხი და მივძუნძულე ჩემი ქუჩისაკენ.

სადაა ის ცოცხალი და ჭრელი სოხუმი.

ჩამკვდარია აქაურობა. გამვლელი იშვიათად თუ შეგხვდება. არსად ქართული წარწერა. ასე მგონია, სადღაც ზღვისპირა, უცხო, რუსულ ქალაქში ვარ.

ვიცი, რომ ჩემი სახლი დამწვარი არ არის. შარშან სამურზაყანოელმა ბერაიამ ჩამოგვიტანა ამბავი.

მეტი არაფერი ვიცი.

აჰა, აგერ არის ჩემი დარგული მაგნოლია, ლეღვი, ჩემი კიბე. ომის წინა წელს ჩემი ხელით მიშენებული სამზარეულო.

კარი ორმოციოდე წლის ქერა, თაფლისფერთვალება, გამხდარმა ქალმა გამიღო.

— ვამ კავო? — მკითხა.

ოჯახის უფროსი თუ არის მეთქი სახლში.

თავი მიაბრუნა და სასტუმრო ოთახს გასძახა.

— აფთათუ აბლრძ, აგრძუნდა!

— აღქ, აღბეჩენა? — მოისმა ოთახიდან ბოხი, გაფერილ-გაუბზარავი ხმა და პარმალზე ფლანგელისპიუამოიანი, თავგადაპარსული კაცი გამოჩნდა.

თვალებით ვზომავთ ერთმანეთს.

თითქოს რალაცას მიხვდაო, კიბის მოაჯირს გადაეყრდნო, გაიხედ-გამოიხედა.

ჭიშკარსაც გახედა, თითქოსდა სურდა, დარწმუნებულიყო, მახლდა ვინმე თუ არა. მერე ერთხელ კიდევ შემომხედა და შეთქმულებით მკითხა. კაკ ვი სულა პაპალი?!

პასუხს არ დაელოდა. ხელი მოშკიდა და სასტუმრო ოთახში შემიყვანა.

ღმერთო, ახლა ნუ გამიხეიქავ გულს და აქედან რომ გავალ, თუ გინდა, იმ წამსვე მომკალი.

თქვენ რა იცით, ვინა ვარ-მეთქი.

ჯერ ერთი, მანამდეც გიცნობდიო. მე ტყვარჩელიდან ვარო. შენ არ გახსოვარ, თორემ სარეისო ავტობუსზე რომ მუშაობდი, ხშირად მინახიხართ ტყვარჩელშიო. მეც მძღოლი ვარ, ტაქსისტი. ახლა სადღაა ტაქსიო. ესეც არ იყოს, ყოველდღე გიყურებთ მეც და ჩემი ოჯახიცო... მაშინ ავწიე თავი და თვალი კედლისკენ გადაპარე, სურათი! ჩემმა გოგომ იმ წელს სკოლა დაამთავრა. სამივე ერთად ვდგავართ თეატრის წინ, შადრევანთან. სასწაულებივითაა ეს ყველაფერი. რატომ არ ჩამოხსნა ამ კაცმა ჩვენი სურათები.

პირველმა ელდამ გამიარა.

ისე მოვშინაურდი, ოთახებში გავიარ-გამოვიარე. აგერ ჩემი გოგოს როიალი, საწოლ ოთახში ჩვენი ავეჯი დგას. თითქოს ექვსი წლის წინ კი არა, გუშინ გავედით აქედან.

ცოლმა არაყი და ლედვის ჩირი შემოიტანა.

— აჩჩ ააზიკვა აბღვა! — უთხრა მეუღლეს.

— ზნაუ, ზნაუ, ია სრაუუ უზნალა! — რატომღაც მოურუესულა დიასახლისმა. რა უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ოცდარვა სექტემბერს თქვენ წახვედით და ოცდაცხრაში საღამოს მე ჩამასახლეს ამ ბინაშიო. იქეთ, შვიდ ნომერში რომ აფხაზი ჯონუები ცხოვრობენ, იმათ მითხრეს შენი ამბავიო.

ჯონუების გოგო და ჩემი გოგო სამედიცინო სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. მერე რაღაცაზე წაიჩხუბნენ და ბოლოს აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

არც ჩვენ, მშობლებს გვქონდა დიდი მეზობლობა და მისვლა-მოსვლა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხვენვით, მაგრამ რაღაცნაირი ღირსებით და სიამაყითაც ლაპარაკობდა ჩემი მასპინძელი:

მე შენთვის არაფერი წამირთმევიაო... ჩვენ რომ გავეცულებოდით, თქვენ რომ მოგვგოთ ომი, ალბათ, თქვენც ასე მოიქცეოდითო... ჩვენი შერიგება და ძმობა აღარ მოხდება, თქვენც კარგად იცით ესო. მე შენი სახლი დაწვას გადავარჩინე... ისე, რომ დაეწვათ, შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, გული აღარ გამოგიწევდა აქეთ და მეც ამ ჩემს სოხუმში სხვა ჰერს მოვძებნიდო. თხუთმეტი საუკუნე ჩვენს მიწაზე ცხოვრობდით და მაღლობელიც არა ხართო... არც მე ვარ ჩემს „ტარელკაზე“ ამ სახლშიო... ჯერ იყო და ცოცხალი არ გვეგონეთ, მერე, როცა გავიგეთ ცოცხლები ხართ, რაღაცნაირად მაინც ვნერვიულობდით მე და ჩემი ცოლი, თითქოსდა გელოდით კიდევო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ ქართველებმა, რომ თქვენი აქ ჩამოსახლება აღარ იქნება. თუ მთავრობები რამეზე შეთანხმდნენ, შეიძლება სახლის და ნივთების ღირებულება — ერთი-ორი კაპიკით სახელმწიფომ

გადაგიხადოთ. ან ის რაში გეკუთვნით, რაც თქვენ დაგვანგრიეთ და ზარალი მოგვაცუნეთო...

ვუსმენდი.

ჩემს სათქმელს აქეთ მეუბნებოდა აფსუა ტაქსისტი. კამათს აზრი აღარ ჰქონდა.

მერე ბოდიში მოიხადა, ტელეფონი აიღო და სადღაც დარეკა.

— ბაშაღაც, აბლაძერა... აბვაქ... აააქქვია! — ჩასძახოდა ყურმილს.

ტელეფონი თითქმის დააგდო და, ცოტა არ იყოს, ამრეზილად მეკითხება: როგორ ჩამოხვედი სოხუმში, მაჩვენე ერთი შენი პასპორტიო.

ცუდადაა საქმე.

ამოვიღე პასპორტი და სანამ ჩახედავდა, სხაპასხუბით დავაყარე.

ეს ჩემი ბიძაშვილის პასპორტია. მისი სურათი ამოვიღე და ჩემი ჩავაწევე. ამ ჩემი სახლისათვის თვალი რომ არ შემეველო, შეიძლება გული გამსკდომოდა. იქ ჩვენ, თბილისში, თითქმის ვერაფერს ვიგებთ სოხუმზე, ვითომ სიგარეტის გასაყიდად ჩამოვედი. ოთხ საათზე უკან უნდა გავყვე ავტობუსს-მეთქი.

ადგა და ისევ მივიდა ტელეფონთან.

კარგა ხანს ისმოდა:

— აბლვერჯაა... ასკპლვექქშიაა, ჰრძულკვაბსბლკმქფსუაა...

მერე ცოლს მიუბრუნდა:

— ჰჭქსია... ავექჩქრუა?!

— სრქცხშმდცაა! — გაბრაზებით მიუგო ცოლმა და კარი გაიხურა.

ცივად, უგულოდ დამემშვიდობნენ.



დავფიქრებ ჩემი სახლის კიბეზე და ფეხდოლაბიანივით მოვაბიჯებ ბაზრისაკენ.

რა ჯანდაბამ წამომიყვანა.

ციხეში ჯდომა და აფსუა გამომძიებლის დაკითხვები შემძილია ამ ხნის კაცს აწი მე?

ოთხს აღარაფერი აკლია.

ჩემს ავტობუსს მივაკითხე.

რაც მომივა, მომივა. აქ რომ არ მოვსულიყავი, სულერთია, მაინც დამიჭერდნენ.

დაიძრა ავტობუსი.

რამდენ საგუშაგოსაც გაივლის და რამდენი აფსუა ავტონისპექტორი მოგვიახლოვდება, ჩემი მემართება.

მგონია, ახლა ჩამომსვამენ და გამაქანებენ.

შიშით გატრუნული ვზივარ.

ენგურის ხილამდე მოგვიყვანა ავტობუსმა.

ხილთან უკვე რუსმა სამშვიდობელებმა გაგვისინჯეს პასპორტები.

ფულს ვინ ჩივის, რაღაცა ასი ნაბიჯი დამრჩა და სამშვიდობოს ვიქნები.

ხიდი რომ გადავიარე და რუხის ციხეს შევუყუევი, მაშინდა ამოვისუნთქე.

ტყუილად შეგშინებიაო, ჩემი ბიძაშვილი დამცინოდა, კედელზე შენის სურათი რომ ეკიდა, ამით იმ კაცმა ყველაფერი გითხრაო...

რა ვიცი.

აბა, რას ელაპარაკებოდა გაუთავებლად ტელეფონში ვილაცას, ან ცოლი რატომ ეჩხუბებოდა?

ყვინძილება

ხელისუფლებას ხალხი გადარევს, ბატონო, მეტი ვერაფერია. როგორ შეიძლება, ყოველ წუთას უძახო, არ გამოგდის არაფერი, ვერ ამიყვავე ცხოვრება, შეგცდი, შენ რომ ხმა მოგეციო.

შეძახილით ხე გახმაო, ხომ გაგიგონია.

გადამდგარ გენერალს მეძახით მე, მაგრამ ისე გადამდგარიც არა ვარ, არ მაწუხებდეს ჩვენი ჯარის ბედი და სანძრაობა.

დავმარცხდით, მართალია, 1993 წელს. ვისთან დავმარცხდით, ხომ უნდა ვიკითხოთ, ბიძია. ორასმილიონიანი სახელმწიფოს ჯართან.

რუხის ჯარის დამამარცხებელი ამერიკა ძლივსაა დღეს და ჩვენ რას გავხდებოდით.

სად გვყავდა ქართული არმია მაშინ.

ჯერ ახლა რაია ჩვენი ჯარი და მაშინ რა იქნებოდა. თავგანწირული „მხედრიონელების“ და პირტიტველა მოხალისეების ლაშქარს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ვეძახდით.

ისე შეიარაღდა შენი მტერი, ჩვენ რომ მაშინ ვიყავით შეიარაღებული.

არ გახსოვს, როგორ დავიწყეთ?

ტელევიზორში მაინც გექნება ნანახი ჩვენი ჯარის პირველი პარადი „დინამოს“ სტადიონზე.

სამშეწკრივად დაწყობილი ასიოდ მეომარი მოფართხუნობს სტადიონზე.
ქართული ჯარის პარადია.

ყველას სიხარულის ჟრუანტელი გვივლის.

დგას გაღმებულ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

მიაბაკუნებენ ნახევრადშეკრულ „ბატინკებს“ ჩვენი ჯარისკაცები.

ქართულ მარშს (!?) აგუგუნებს ორკესტრი.

ზვიადმა შუბლთან მიიტანა ხელი.

სამხედრო წესით საფეთქელთან უნდა მიეტანა.

რა მნიშვნელობა აქვს. დაიწყო! ესაა მთავარი.

ჯარისკაცებს ვანიშნე, რამდენჯერმე შემოუარეთ-მეთქი სტადიონს, მერე ზვიადმა მომიწონა ჩემი მიმხვედრიანობა.

ეს რომ არ მექნა, ორ წუთში დამთავრდებოდა სამხედრო აღლუმი.

ურტყამენ წრეს ბიჭები და ესალმება პრეზიდენტი ქართულ ჯარს.

მეორე დღეს ჩასაფრებულმა ოპოზიციამ და ზოგიერთმა ავყია ჟურნალისტმა სასაცილოდ აიგდო ჩვენი პარადი.

კომედიური ფილმის პასაჟს ჰგავდაო. ჩვენი „მუშკეტერები“ ჯარის კარიკატურას ჰგავდნენო. საკინძეშეუკვრელნი, მხედრულ სვლას ვერ დაუფლებულნი თოჯინების სპექტაკლის ყვინჩილებივით მოაბიჯებდნენო.

პრეზიდენტს შუბლთან ხელის მიტანის უფლება არა ჰქონდა, რაკილა სამხედრო პირი არ არისო.

რა იყო, შე კაი კაცო, იმის მაგივრად, რომ გიხაროდეს ქართველ კაცს ქართული ჯარის დაბადება, „ოლოლოს“ ეძახი და ნიშნს უგებ?

ჯერ ერთი, ჯარი რავარიც იყო, მთავარსარდალიც იმნაირი ჰყავდა.

ხომ იღვა, ხომ ჰქონდა კმაყოფილი სახე, ხომ ფრთებს ასხამდა ჯარისკაცებს თავისი ღიმილით.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს, კაცმა რომ თქვას, პრეზიდენტი მარშლური წესით მიესალმება თავის ბიჭებს, თუ ჰაეროვანი კოცნების გზავნით.

უთავბოლო ყრანტალ-პრეტენზიებით ხალისი უნდა დაუკარგო, თავი უნდა მოაბეზრო ადამიანს?

„დამარცხებული ხარ!“, „გამოქცეული ხარ!“, „ომი არ გცოდნია!“ — შეიძლება ამ სიტყვებს ეძახნე საკუთარ არმიას?

ერეკლეც არაერთხელ დამარცხებულია, მაგრამ თავის ლაშქარს „არწივებს“ ეძახდა და ამით ფრთებს ასხამდა.

ჟანგისაგან შექმნილი თორ-აბჯარი ესხათ ბიჭებს და ხანჯლის სიგრძე ხმლები ეჭირა ზოგიერთს, მაგრამ „მომყევით, არწივებო!“ ერეკლე რომ დასწყვილებდა, თავი მართლა არწივები ეგონათ.

გალთან რომ მიიყვან ჯარისკაცს, გაუბატიურებული ქალებისათვის და თავგაჩენილი ღამის მეზრეებისთვის რომ აყურებიან, მერე „ბრძნულ გადაწყვეტილებას“ მიიღებ და უკანდახევის ბრძანებას გასცემ, უნდა იფიქრო, რომ ამით შენ მეომარი ჩაჰკალი ჯარისკაცში და ათწლეულები დასჭირდება იმ დაკარგული მხედრული სულის აღდგენას.

გამახსენდა და ჩვენი ჯარის შეიარაღებულობისა და დაკავშირებულ ერთ სასაქონლო ამბავს მოგიყვები. სასაცილოდ ეს ამბავი ახლა ჩანს, აქედან, თორემ მაშინ ტრაგედიაზე მეტი იყო. სწორედ ამ უიღბლობას მოჰყვა რუსეთის აგენტების მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა მაშინ.

1992 წლის 27 დეკემბერია. ზვიად გამსახურდია თავისი პარლამენტით და უერთგულესი მინისტრებით ზუთი დღეა ბუნკერში იმყოფება. არის ბათქა-ბუთქი რუსთაველზე.

თბილისის ცენტრში, მთელი საქართველოს თვალწინ, თავს დაესხნენ კანონიერ მთავრობას და ცეცხლს უშენენ.

ქვეყანა კი დუმით შესცქერის, როგორ უკლავენ დამოუკიდებლობას.

თითქოსდა მთავრობის სასახლესთან ღია კონცერტია მოწყობილი ან ომობანას თამაშობენ. ამ დროს პრეზიდენტის ხელყოფა ჯარმა უნდა დაიცვას, მაგრამ სადაა ჯარი? ჯარიც რომ იყოს, სადაა იარაღი?

დილაუთენია, მინისტრი, სომხებისაგან ნანათხოვარი ვერტმფრენით ყაბარდოში გაფრინდა. თუშური ყველი წაიღო, იქნებ იარაღში გადაეცვალო, ყაბარდოელები თავშენახული, იარაღის მოყვარული ხალხია და მეორე მსოფლიო ომისაგან შემორჩენილი შაშხანები ექნებათ.

თერთმეტი საათია. ვზივარ მინისტრის გაყვნილ კაბინეტში (მინისტრის მოადგილე გახლდით მაშინ, მოგეხსენებათ). რუსთაველზე სროლა ძლიერდება. ორ-სამჯერ „გაუბიცი“ დგა-დგუფიც გაისმა. განუწყვეტლად რეკავს ტელეფონი. პრეზიდენტის მეუღლე მელაპარაკება:

სად არის მინისტრი, თქვენ ვინა ხართ?!

ისტერიული ხმა აქვს.

ვუპატაკე, ვინც გახლდით. ისიც მოვახსენე, მინისტრი სადაც იყო და რა საქმეზე.

— ცუდადაა საქმე! რას შვრებით, დაილეწა ყველაფერი! მარჯვენა ფლიგელი იწვის. თუ ასე გაგრძელდა, ბუნკერში ამოწვავენ ყველას! სასწრაფოდ გამოიყვანეთ ტანკები! გესმით თუ არა ჩემი! ტანკები სასწრაფოდ, თორემ დახვრეტა არ აგცდებათ!

ვაი ამ ჭამას, რაღა ჩემდა ჭირად დამტოვა მინისტრმა ამ ტელეფონებთან. რას ეტყვი ზუთი ღამის უძინარ დედოფალს, სადაცაა ნერვები შემოასკდება.

— ყოველგვარ ზომას მივიღებ-მეთქი, ახლავე, ქალბატონო!

რაციით ვურეკავ ქალაქის სამხედრო კომენდანტს.

— დააზუსტე, რა მდგომარეობაშია სატანკო ბრიგადა, ზუთ წუთში საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანე და მიპატაკე-მეთქი.

რად მინდა, ბატონო, ზუთი წუთი, ახლავე გეტყვითო. სადაა სატანკო ბრიგადა? ერთადერთი ტანკი გვაქვს, რუსთავის მხრიდან რომ შემოვდივართ, ტყთან, მარჯვნივ, ტროლეიბუსის ბოქსში დგას, არ ვიცი, რა მდგომარეობაშიაო.

სწრაფად გაუშვი ბიჭები, დაქოქონ და რუსთაველზე შემოიყვანონ, უნივერსალის მხრიდან-მეთქი, კატეგორიულად ვუბრძანე.

ნახევარ საათში მირეკავს კომენდანტი: ტანკი ადგილზეა, დაქოქვით ჯერ ვერ დაეჭოქეთ, მაგრამ, კიდევ რომ დაეჭოქოთ, რუსთაველზე ვერ გამოვიყვანთ, ტანკისტი არ გყავსო.

აბა, რა ჯანდაბა ვქნათ, ის ქალი ყოველ ხუთ წუთში მირეკავს-მეთქი. ვიცი ერთი ტანკისტი, რუსია, სერგეევი, რუსთავის კოლონიაში იხდის სასჯელს, იქნებ მაქედან იმოქმედოთო.

ტანკთან მომიცადე-მეთქი. გამოვვარდი კაბინეტიდან, ჩავხტი „ვილისში“ და რუსთავის კოლონიის უფროსს მივადექი.

სერგეევი გყოლია ტანკისტი-მეთქი.

ტანკისტია თუ პარაშუტისტი, ვერ გეტყვით, ქურდი რომაა, ვიცი და ჩვენი თქმით ხელს რომ არ გაანძრევს, ამაშიც დარწმუნებული ვარო.

შემახვედრე, ბოლოსდაბოლოს, კაცი ხომ იქნება, სახელმწიფო ილუპება, უნდა გვიშველოს, ტანკით უნდა გაიაროს რუსთაველზე-მეთქი.

ხუთ წუთში ცხვირბაჭუა, ბატისჭუკისფერთმაწვეროსანი სერგეევი ჩემს წინ იდგა.

პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ტანკზე უნდა დაჯდე-მეთქი, რომ ვუთხარი, არც უკითხავს, რომელი პრეზიდენტისასო, მაშინვე მიდასტურა.

კოლონიის უფროსს ჩემი პასუხისმგებლობით გამოვაწერინე ციხიდან რეციდივისტი სერგეევი, ჩავისვი მანქანაში და მომყავს.

მართლა ტანკისტი ყოფილა. დაქოქა, გარაჟიდან გამოიყვანა, ადგილზე დაატრიალა და ძრავი გამორთო.

ვეცი, რას შვრები მეთქი.

ჯერ ერთი, შლეში მჭირდება, ძველი ტანკია და კაიუტაში გამაყრუებლად გუგუნებს, კარგი, უშლემოდ იოლას გავალ, მაგრამ „ნავოდჩიკი“ აუცილებელია. ისე ტანკს ოპერაციაზე ვერ გავიყვანო.

— ვინ გეგულება ახლომახლო კარგი „ნავოდჩიკი“ -მეთქი.

ქსნის კოლონიაში ჩემი მეგობარი, ვასილ ვიხოდცევი იხდის სასჯელს. ბრწყინვალე „ნავოდჩიკია“, ჩემი სახელი უხსენეთ და წამოგყვებათო.

რა ვქნა, სხვა რომ გავზავნო, იქნებ არ გამოატანოს ციხის უფროსმა ვიხოდცევი.

კომენდანტს ვუთხარი. წადი და მინისტრის კაბინეტში დაჯექი. ამდენხანს არ შეიძლება პოსტის მითრევა. თუ ქალბატონმა მანანამ დარეკოს, მოახსენე, რომ „ნავოდჩიკზე“ წავედი და დაამშვიდე-მეთქი.

გავვარდი ქსანში. ვიხოდცევი ჩავისვი „ვილისში“ და ერთ საათში სანაპიროდან შემოვვრიალდით.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— „ნადა ვირუჩიტ რეზიატ. პრეზიდენტ ვ აპასნოსტი“ — შეაგება სერგეევმა.

„ვირუჩიტ, ტაკ ვირუჩიტ“ — უპასუხა ვასიამ და ტანკზე შეხტა.

ორიოდე წუთში ტანკი ასფალტზე გახრიალდა. პატრულს რუსთავის გზის დაკეტვა ვუბრძანე. თუმცა მოძრაობა ისედაც არ იყო.

მოგრუნუნებს ტანკი. მე ვილისით უკან მოვეცევი.

პროკურატურის ახალ შენობასთან ცისფრად მბოლავი ჩვენი იმედი ერთბაშად დადგა.

ჯერ ვასია ამოხვნდა, მერე სერგეევი.

ტანკს შემოურბინეს, მუხლუხოებს სინჯავენ, ილუმინატორის ფირფიტას სწევენ

და სალონში იჭვრიტებიან.

გადმოვტყი. რატომ შევჩერდით-მეთქი.

ჰერ ერთი, „სალიარკა“ გათავდა და მეორეც, შუა მესამე „პადშიპნიკი“ გატეხილია. თუ „პადშიპნიკს“ ვერ იშვით, მანქანა დაბალ სიჩქარეზე იმუშავებს და ნელა ივლის, სალიარკა კი აუცილებელიაო.

სად გინდა იშვო „სალიარკა“.

თითქოს შეშფოთებას მიმიხვდაო, ხუთი კალისტრა მაინც დასჭირდებაო, ვიხრდივება.

ერთ ადგილას მეგულება, არ შეიძლება „არსენალის მთაზე“ არ ჰქონდეთ ბიჭებს. თხუთმეტ წუთში აქ გავჩნდები-მეთქი, დავუბარე ტანკისტებს და შოფერს ვუბრძანე, არსენალისკენ მოკლეზე გავსულიყავით.

„სალიარკის“ შოვნა გაჭირდა.

თითო-თითო კანისტრა ჩამოვიმართხოვრე და, როგორც იქნა, გამოვცდი ორთაქალის ციხეს.

ტანკი შორიდან შევნიშნე, ახლა კი დავუფეთებთ ანგელოზებს კიტოვან-იოსელიანის შენაერთებს. ვასწავლით, როგორ უნდა კანონიერი პრეზიდენტის ხელყოფა.

ტანკს რომ მივუახლოვდი, ჩვენს „გმირებს“ ვერსად მოვკარი თვალი და გულმა რეჩხი მიყო.

მივირბინე. იქნებ კაიუტაში ჩაძვრნენ და სძინავთ, ლუკი ავხადე: „ვასია! ვასია! გდე ვი, რეზიატა!“.

შენც არ მომიკვდე.

არავინ ჩანს.

სანამ მოვიდოდი, ტანკისტებს უფიქრიათ, ჩვენგან, კანონიერი ქურდებისაგან, საქართველოს შინაომში ჩაბმა უხერხულიაო და გაქცეულან.

მეორე დღეს, 1992 წლის 28 დეკემბერს, ნაშუადღევს 5 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე რვა ახალთახალი რუსული ტანკი რომ შემოგრუხუნდა, მივხვდი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების საქმე წასული იყო.

აი. ქვეყანა

გალაკტიონის დაკრძალვის მეორე დღეს მწერალთა კავშირის ბაღში ისეთი შეუმკრთალი სიჩუმე სუფევდა, ისე უშფოთველად დახტოდ-დანისკარტაობდა შაშვი კარგახანის გაკიკნილ სუროსთან, თითქოს აქ გუშინ არაფერი მომხდარიყოს.

დამშრალ ონკანთან ლურჯ სავარძელში ოთხი ახალგაზრდა მწერალი იჯდა.

გალაკტიონის სიკვდილზე ლაპარაკობდნენ და ზედაც არ უყურებდნენ ძელსკამებს შორის მოფუსფუსე ბებერ შაშვს, რომელიც ხანდახან ფიტულივით გაქვავდებოდა, კარგა ხნის შემდეგ კოპწია თავის აბრუნებით ახედავდა მოსაუბრეთ

და დარწმუნებული იმაში, რომ ახალგაზრდა მწერლები არას ერჩოდნენ, საქმეს წინააღიდეგა; ქათმისაგან განსხვავებით, ჯერ ნისკარტს ჩაჰკრავდა ხრეშში არეულ კურკანტელის მარცვლებს და მერე ნაზამთრალი, ქერქდამსკდარი ფეხებით გაქეპავდა.

დაკვირვებული მკითხველი არ მკითხავს „ქათმისაგან განსხვავებით“ რას ნიშნავს. ვისაც არ ჰგონია, რომ ქათამი პირდაპირ ფეხებგაჩაჩხული შემწვარ-მოხარშული ჩნდება, უნდა იცოდეს, რომ ქათამი ჯერ გაქეპავს და მერე ურტყამს ნისკარტს.

ციოდა.

მარტს გაზაფხულის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ახალგაზრდა მწერლებს ზუსტად ისე ეცვათ, როგორც სოფლიდან ჩამოსულ, სტუდენტალაქსმინდობილ, მეოცნებე ბიჭებს ეცვათ ხოლმე ორმოცდაათიანი წლების მიწურულს. თხელი, ციცრისფერი ფრენები, გახუნებული სატინის ხალათები, ფართხუნა „სუენოს“ შარვლები და კაუჩუკის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები.

სწორედ იმ დღეს მწერალთა კავშირის ბაღში დაიბადა აზრი თბილისში, მარჯანიშვილის ოთხ ნომერში (სადაც პოეტი ცხოვრობდა) გახსნილიყო გალაკტიონის სახლ-მუზეუმი.

შაშვს, რასაკვირველია, არაფერი გაუგია.

მან მხოლოდ დაინახა, ლამის ერთდროულად რომ წამოდგნენ ბიჭები. ფილმ „ჩიკაგოს ხანძრის“ მთავარი გმირებით მარჯვენა ყურს ზემოთ გაყოფილი თმები ორივე ხელით (უსავარცხლოდ) გაისწორ-დაილაგეს და ერთმანეთის მიყოლებით გაილაღნენ ბალიდან.

ერთ საათში ისინი უკვე პრემიერ-მინისტრის კაბინეტში ისხდნენ. პრემიერ-მინისტრსაც (ცეკას მდივნის მსგავსად) შეეძლო აეცილებინა ეს ვიზიტი თავიდან. რა დიდი საქმე ეგ იყო, არ სცალია, თანაშემწესთან მიბრძანდითო, ათქმევინებდა მდივანს, მაგრამ პრემიერ-მინისტრს ამჯერად ცნობისმოყვარეობამ სძლია, ვერ გაიხსენა სხვა შემთხვევა მინისტრთა საბჭოში მუშაობის ოცი წლის განმავლობაში, რომ მასთან ახალგაზრდა მწერლები მისულიყვნენ. ესეც არ იყოს, აინტერესებდა, როგორები იყვნენ ახლოდან ახალგაზრდა მწერლები და რა სათხოვარზე დადიოდნენ ისინი საერთოდ.

აღმასრულებელი ორგანოს თავკაცმა ოთხი ახალგაზრდა მწერლის სურვილი რომ მოისმინა, აღშფოთება ვერ დამალა. მე მეგონა, თქვენ, სტუდენტი კომკავშირლები, რამე სერიოზულ საქმეზე მოხვდიდითო. რა დროს გალაკტიონის მუზეუმი, ომის კრილობების მოშუშების და ყამირი მიწების ათვისების ამ პერო-იკულ ეპოქაშიო.

ეს კატეგორიული უარი, ძვირფასო მკითხველო, იმდენად გალაკტიონის შემოქმედების არცოდნით როდი იყო გამოწვეული. მინისტრთა თავკაცმა არც სხვა პოეტის შემოქმედება იცოდა და, იქნებ, მათი სახელის ხსენებაზე არც გაბრაზებულიყო, მაგრამ იმხანად ხელისუფლება გალაკტიონზე ერთობ ნაწყენი გახლდათ. ჯერ იყო და „ლურჯა ცხენების“ ავტორმა საქმე გაუჭირათ კომუნისტური მორალისათვის სრულიად შეუფერებელი ლოთობით, მერე იყო და სამჯერ (ვაი თუ

ესეც სმის მიზეზით) დაკარგა ლენინის ორდენი და ბოლოს ესეც არ იკმარა, ადგა და საბჭოეთში ფართოდ გაშლილი სოციალისტურ-აღმშენებლობითი მოძრაობის ჯიბრზე თავი მოიკლა.

ერთი „აბეზარი“ პოეტით მეტი იქნებოდა თუ ნაკლები, ამაზე ხელისუფლება არ დადონდებოდა, მაგრამ საშიში ის იყო, რომ შეიძლებოდა, პოეტის ამ საქციელს მაგალითის ძალა ჰქონოდა და მიმბაძველები გასჩენოდა.

გაწბილებული ახალგაზრდა მწერლები პრემიერ-მინისტრის კაბინეტიდან გამოიძღვრნენ და მეორე დღიდან თავიანთ, გალაკტიონზე ბევრად ნაკლებ, მაგრამ მაინც საინტერესო შემოქმედების გვირგვინს უფრო მონდომებით ჩაუღრმავდნენ.

რასაკვირველია, სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა გულიდან არ ამოუღიათ და გალაკტიონზე ნაწყენ მთავრობის მოხელეზეც დიდხანს გაჰყვათ იმგვარი მწერლური აზრი, რომელიც ხშირად ოფიციალურ, სახელისუფლებო აზრს არ ემთხვევა ხოლმე.

გადიოდა წლები.

ჩვენი ნაცნობი ლიტერატურული ოთხეული გაუმხელლად დაპყრობილი თავისი უბედური ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა. ჟანრებთან ერთად იშვიათად შეხედულებებსაც იცვლიდნენ. მაგრამ უცვლელი იყო მათს არსებაში საყრდისდროიდან ჩაკირული სურვილი — თბილისში გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის გახსნისა.

„მერის“ დამწერს მთაწმინდაზე კარგა ხანია აწვიმდა და ათოვდა.

მისი ბინა (ქონება ბევრი არაფერი გააჩნდა) ახლო ნათესავებმა დაინაწილეს. ნათესავთა ერთმა, მარცხენა შტომ იმარჯვა და გალაკტიონის ბინა თბილისელ სომეხს მიჰყიდა.

სომეხმა ერთ მშვენიერ დღეს შეიტყო, რომ საუკუნის უპირველესი პოეტის ბინაში ცხოვრობდა და შეიძლებოდა ოდესმე ეს მამასისხლად ნაყიდი ბინა სამუზეუმოდ წაერთმიათ.

წინდახედულმა სომეხმა მეორე დღესვე გაყიდა გალაკტიონის ბინა და, როგორც შეუმოწმებელი წყარო გვიმტკიცებს — რეკორდულად მოკლე დროში გალოთდა კიდევ.

გალაკტიონისაგან სრულიად დამოუკიდებლად რუსეთის იმპერიამ რღვევა რომ იწყო, საქართველოში შედარებით რბილი ლიბერალურ-კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა.

ოთხეულმა იფიქრა, ლამის ოცდაათი წელი გავიდა გალაკტიონის გარდაცვალებიდან, იქნებ გაუარა ხელისუფლებას პოეტისაგან რაც რამ სწყენიაო.

უარი. რა დროს გალაკტიონია, მთელი ბოლშევიკური მონაპოვარი წყალში გვეყრებაო.

წავიდა ლიბერალურ-კომუნისტური და მოვიდა ეროვნული ხელისუფლება.

ახლა კი დადგა გალაკტიონის დაფასების ჟამიო, სიხარულს ვერ მალავდნენ ყოფილი ახალგაზრდა მწერლები.

ადგნენ და ერთ მშვენიერ დღეს საგარეოდ გამოწყობილნი მიადგნენ „ზამთრის სასახლეს“. მამაც პუტჩისტთა შტურმი ჯერ არ იყო დაწყებული. ხელისუფლება თავის ფეშენებლურ კაბინეტებში თვლემდა იმ ეროვნული თვლემით, რომელიც

ქვეყანას ჰქონდეს ვერ მოაშორებს და ვერც ავად მზირალთაგან იხსნის.

ოთხეული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთაგან იმ კაცს ეახლა, ვინც ეროვნულ მოძრაობაში კომუნისტური წყობის დამხობამდე სამი თვით ადრე იყო ჩამოშლილი.

რა გვეგალაქტიონისმუზეუმება, კრემლის აგენტები ლამისაა ყელში გვწვდნენ. დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და ერთი ტანკიც არ გვიცავს. ორი კაპიკი რომ გვქონდეს, აქაურობას მოვახმარდით, ხომ ხედავთ, რა დღეში გვაქვს ბუნკერიო, ცრემლნარევი ხმით თქვა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელმა.

გაიქცა კანონიერი ხელისუფლება და მოირბინა უკანონო ხელისუფლებამ. გაწამებულმა ხალხმა ეს უკანასკნელიც დააკანონა, იქნებ ახლა მაინც გვეშველოსო.

გაირკვა, რომ გალაქტიონის დრო არც ახლა, პოსტკომუნისტურ ეპოქაში დამდგარა. რა დროს გალაქტიონის მუზეუმია, ბიუჯეტს უჭირს, წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია. მაღლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ჯერგენიასთან მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანსო.

... 1998 წლის 2 აპრილს მწერალთა კავშირის ბაღში ცხოვრებისაგან ნაწაწღარევი სამი მწერალი იჯდა.

ოთხიდან ერთი უკვე გასცლოდა წუთისოფელს და თან წაიღო ოცნება გალაქტიონის მუზეუმზე.

შაშვი აღარსად ჩანდა. ქალაქის შაშვები ცოტა ხანს ცოცხლობენ.

მეგალაქტიონე სამი მწერალი ძმებივით ჰგავდა ერთმანეთს. ხმა ერთნაირად გაბზარვოდით, თვალებში სამივეს სევდა ჩადგომოდა და, რაც უფრო საოცარი იყო, გაძარცვულ-შეთხელებული თმა სამივეს ერთნაირად ფთილა-ბლუჯად შერჩენოდა თავზე.

წუთისოფლის ბრუნვა-დგანდგარში, სიყმაწვილის ქოჩრის ხსოვნასავით უჩანდათ თმები, თუმცა მათთვის აუხსნელი მიზეზის გამო სურათებში პირწმინდად მელიოტები გამოდიოდნენ. შეთხელებულ, გამჭირვალე თმას იაპონური ფოტოაპარატიც ვერ აღბეჭდავდა გამოცდილი ოსტატ-პორტრეტისტის ხელში.

— წავიდა ვახტანგი. არც ჩვენ დაგვტოვებს დიდხანს არსთაგამირიგე. თუ გალაქტიონის საქმეს არ დავაყენებ საშველი, პოეტის საფლავთან დადებული პირობა შეუსრულებელი დავგრჩება— თქვა ერთმა მწერალმა.

— მაინც ვერაფერი გამოვივა. ოთხი მთავრობა გამოვიცვალეთ და ვერცერთმა ვერ მოაბა თავი გალაქტიონის სამოთახიანი ბინის გამოსყიდვას. მეტს სხვა არაფერს ვთხოვთ — ჩაილაპარაკა მეორემ.

— შენ მართლა გჯერა, რომ რა გადღეტილი ხელისუფლებაც უნდა იყოს, სამოთახიანი ბინის ფულს ვერ გამოძებნიდა? რალაცაშია საქმე. რალა გალაქტიონისადმი გულგრილობაში დაემსგავსა ოთხივე მთავრობა ერთმანეთს, — თქვა მესამემ.

— იმნაირი ულექსო ბავშვები იზრდებიან, ხვალ უარესი იქნება. სასაცილოდ არ ეყოფათ რომ ნახავენ, რა რუდუნებით კარიდანაკარად გვიგროვებია გალაქტიონის ავტოგრაფიანი ასანთის კოლოფი, ჭილოფის ქუდი, ძველი ჩანთა და რესტორანში ფარდაგზე დაწერილი სტრიქონები — თქვა პირველმა.

გადაწყვეტეს, გაეხსნათ ბანკში ანგარიში გალაკტიონის სახლის შესაძენად და წერილები დაეგზავნათ გამგებელ-გუბერნატორებისთვის თხოვნით, გადმოერიცხათ შესაძლებლობისამებრ მცირეოდენი თანხა გალაკტიონის ბინის გამოსასყიდად.

სამი თვის შემდეგ გალაკტიონის ფონდში ზუსტად ის სამასიოდე ლარი იდო, ფონდის დამფუძნებლებმა სამმა მწერალმა რომ დადო ანგარიშის გასახსნელად.

რაკი „წერილობითმა მიმართვამ“ საქართველოში გული ვერავის აუჩუყა, 1998 წლის 2 თიბათვეს მწერალთა კავშირის ბაღში შეკრებილმა სამმა ჯანმრთელობაშერყეულმა მწერალმა გადაწყვიტა ჩამოველოთ შეძლებული ფირმები, ბანკები, ძალოვანი და შედარებით უძალო სამინისტროები, დეპარტამენტები და ასოციაციები (გარდა პოლიტიკური პარტიებისა, რადგან მიუხედავად თავიანთი უპირატესობისა, სამივემ კარგად იცოდა, რომ პოლიტიკურ პარტიებს და მათგან განსაკუთრებით ოპოზიციურ პარტიებს ფინანსურად ძალიან უჭირთ), რათა გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი ორიოდე გროში შეექმნებინათ.

ძველთაძველი (პირველი გამოშვება), მეოთხე წრეზე წასული, პარპრიზებდაზარული „უიგული“, როგორც იქნა, დაქოქეს და მზეს შუბის ტარამდე ერთი მტკაველი აკლდა ჩამოვლას რომ შეუდგენენ.

წერილები ბანკის ანგარიშის ხაზგასმით გამზადებულ-ხელმოწერილი ჰქონდათ. „პატიცემულოს“ გაყოლებაზე მრავალწერტილის ადგილას ოდენ ადრესატის სახელი და გვარი იყო ჩასაწერი.

„უიგული“, თუ ალაგ-ალაგ ხრინწვაყეფას მხედველობაში არ მივიღებთ, ურიგოდ არ დადიოდა. ეგ იყო, ქუჩაში ცისფერ, გაუმჭირვალე ბოლოს ტოვებდა და გახვრტილი ხმაშხმოზიდან ახალგაზრდონტებული ტანკის ხმას გამოსცემდა.

გაუგონარი ამბავი მოხდა.

სამივე მწერალი ერთად და ცალცალკე ვერ წარმოიდგენდნენ, თუ შეძლებული ფირმების, კომერციული და სახელმწიფო ბანკების, უცხოურმენეჯერებთან დაკავშირებული დეპარტამენტების და შინაურ მენეჯმენტთა ასოციაციების პრეზიდენტებს გალაკტიონი ასე უყვარდათ.

ფირმა „ოქროს ვერძის“ პრეზიდენტმა წაწალაძემ სამეულის მოსვლის მიზანი რომ შეიტყო, ჯერ შეიცხადა, როგორ, აქამდე არ გვქონდა გალაკტიონის მუზეუმი თბილისში? მოგვჭირა თავი და ეგ არისო. თუ შეიძლება, ორი წერილი დამიტოვეთ. მე ხომ გადმოვრიცხავ და გადმოვრიცხავ, ჩემი უმცროსი ძმა ფირმა „კვირიონის“ პრეზიდენტია და იმასაც გადმოვარიცხვინებ, თუ შეიძლებაო.

ფირმა „ლალის“ პრეზიდენტმა ლომიძემ, სამუდამოდ დაგკარგავდით, ჩემთან რომ არ მოსულიყავით და ამ საქვეყნო საქმისათვის ფულის დადების სიხარული ავცილებინათ ჩემთვისო. სხვა ფირმა რასაც გაიღებს, ორ იმდენს დავედებ. მეკუთვნის და იმიტომ, მე ბებია ვანელი მყავდაო.

ასოციაცია „ნატურის ხის“ პრეზიდენტმა კალაძემ, რას ჰქვია გადმოვრიცხავ, ასეთ კეთილშობილურ საქმეს თუ არ მოვახმარე, აბა, რისთვის მინდა, ეს ფულიო. სხვა დროსაც დაგჭირდებოდა თქვენ ფული, ათასი საქმე აქვს მწერალთა კავშირის, არ მომერიდოთ და გვერდი არ ამიაროთ, ცოლ-შვილს გაფიცებთო. ვიზიტის დასასრულს ფოტოგრაფს უხმო, მინდა, ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად, თქვენთან

სურათი გადავიღო და უარს ნუ მეტყვიან.

დეპარტამენტ „ტარატარას“ პრეზიდენტი ხრიკაძე თავისი თანამშრომლებიანად საზეიმოდ მორთულ ეზოში შეგება ძვირფას სტუმრებს. ტრანსპარანტებს გალაკტიონის სტრიქონები და სეპარატისტ არძინას განმაქიქებელი ლოზუნგები ამშვენებდა. ხრიკაძემ გრძელი, ანდაზებით და აფორიზმებით დამშვენებული სიტყვა ბრძანა და სიხარულისაგან კინალამ ატირდა, როცა შეიტყო, რომ სამი თავგანწირული მწერალი გალაკტიონის სახლმუზეუმისათვის ფულს აგროვებდა. ბუღალტერს ელვადავლება მისცა, როგორც კი ბიუჯეტიდან ფულს ჩავვირიცხავენ, ნახევარი მოჭერი და გალაკტიონის ფონდს ჩაუვრიცხო. „ბიუჯეტის ფული“ ცუდად ენიშნათ მწერლებს, მაგრამ არ შეიძენიეს.

ბანკ „მოუშოუს“ მმართველ ჯიჯავაძეს ცრემლი მოადგა, თავისი უზარმაზარი კაბინეტის პარმალზე სამი სახელოვანი მწვერალი რომ დაინახა. აწი თუ მოკვდები, აღარ ვინადვლებ. ამას რას მოვესწარი, მთელი სიცოცხლე თქვენი გაცნობის ლოდინში გავატარეო. წერილი რომ გადაიკითხა, ხმის ათრთოლებით განაცხადა — აღფრთოვანებული ვარ, ბატონებო, თქვენი საზრიანობით და გონებამახვილობითო. რა წერილი არ მოაქვთ ჩემთან გამოგონილი თხოვნა-ტყუილებით საცხე — ვითომ ლტოლვილებისათვის ქამრების შესაძენად, ან ხეიბართათვის საინვალიდო ეტლების ჩამოსატანად უნდათ, მაგრამ გალაკტიონის მუზეუმისთვის ფული ჯერ არავის მოუთხოვიაო. არა და, ფული თუ რამეში უნდა დააბანდოს დღეს ჭკვიანმა კაცმა, ეგ არის გალაკტიონის მუზეუმი. როცა მუზეუმი გაიხსნება, სამ თვეში ამოიღებ შენს კაბიტალს და მერე მოგებაზე იმუშავებო. გაცილების დროს უბის წიგნაკი დააძრო და სამივე მწვერალს ავტოგრაფი გამოართვა. როდის მოვესწრები აწი ასე ერთად თქვენს ნახვასო.

ერთი კვირის თავზე მწერლებმა ჩამოვლა შეწყვიტეს. მათი ვარაუდით მარტო გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი კი არა, ბინის რემონტის, ექსპოზიციის ხარჯების და მუზეუმის მომსახურე პერსონალის სამი წლის ხელფასის ფულიც შეგროვები ჰქონდათ.

ხვალ შესრულდება სამი თვე, ძვირფასო მკითხველო, რაც სამმა მწერალმა ფორმა „ოქროს ვერძის“ პრეზიდენტის კარზე დააკაკუნა და წაწალადის გაბადრულ სახეს შეაჯლო თვალი.

არ დაიჭერებთ, გალაკტიონის ფონდის ანგარიშზე „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის ბინის შესაძენად დღემდე არცერთი ლარი არ ჩარიცხულა.

ეს ცნობა გუშინ სამეულის ერთმა წევრმა მოგვაწოდა.

რაც შეეხება თვით მწერლების ჯანმრთელობის მდგომარეობას, ერთ მათგანს წნევა და არტყა და მარცხენა მხარე წართმეული აქვს, მეორე მძაფრი ნევროზის დიაგნოზით ამბულატორიულ მკურნალობაზეა გადაყვანილი.

მესამე მწერალიც ვერ არის მთლად კარგად. ტუჩს ზემოთ, ლოყის გამყოფ ნაოჭთან ნერვი უთიმთიმებს.



ილია ჭავჭავაძის
გვერდი 100

თბილისი
1924 წელი

განმედი

აბრაამი და ისააკი



ინგა აბაშიძე



* * *

ისევ დაჰქრის ნელი სიო
ისევ ღელავს ზღვა,
ისევ ტოკავს კიპარისი.
ცას შესცქერის ბზა.
მხოლოდ ჩვენ გამოვიცვალეთ
აგვერია გზა...
აზრიალებს ცივი ქარი
ჩემი სულის ბზარს,
მომენატრა სიყვარული
ვინ შემოჰკრავს ზარს?!

* * *

ნამით ნაპკურები დილა კისკისებს და
ეკეკლუცება, იხმობს მზის სხივებს,
შემომენტება ვნების ცეცხლი და
შენს განშორებას ჩამოვიტირებ.
მერე ავიღებ კალამს
შევექმნი მუზეებით ტრიოლეტს...
ნამით ნაპკურები დილა კისკისებს და
ეკეკლუცება, იხმობს მზის სხივებს.

* * *

ქარმა მომგვარა ფურცელი იგი,
სტრიქონს მოსდევდა სტრიქონის რიგი,
მერე ჩემს გულში გაიდგეს ფესვი
სიტყვებმა, რითაც შეიქმნა ლექსი.
შენ აფეთქებულ გაზაფხულს ჰგავხარ
თავნება, ურჩი, კისკისა ბავშვი,
შენ გაზაფხულის სურნელით მთვრალი
არ დამრჩე მარტო, არ დარჩე ქარში...

* * *

შემოიქროლა დეკემბრის ქარით
ნაღდი ზამთარის სუსხმა,
თეთრად ჩამოთოვა მონატრებამ
და უცნაურად შეჰკივლა სულმა.
თეთრი ფიფქების მეჭლის
როგორ გაუძლოს გულმა,
მერე რაა რომ დეკემბრის ქარით
შემოიქროლა ზამთარის სუსხმა.

* * *

ვარდისფერ ღიმილს ბავშვობა ერქვა,
რომელი დარდი, რომელი სევდა,
ყველგან, ყოველთვის, ავდარში, დარში
ეშმაკები და ჭინკები მსდევდა.
ვარდისფერ ღიმილს ბავშვობა ერქვა.

გეოგრაფიები

გეოგრაფიები
ყოველ წამს, დღისით თუ ღამით,
გეოგრაფიები.
შენ მაიმედებ სიყვარულით.
სიხარულს, სიბოძის, ალერსის მპირდები,
გეოგრაფიები,
მე ყველაფერზე გეოგრაფიები.
როგორ მიყვარხარ,
რომ მენატრები,
და რომ... ვტყუვდები...
და მაინც, და ისევ
ყოველ წამს დღისით თუ ღამით
გეოგრაფიები.
გეოგრაფიები.
და იყო ღამე მთვარიანი
და იყო ღამე მყუდრო, იდუმალი, ღამე მთვარიანი,
და მქონდა გული სევდიანი, გული ჯავრიანი.
რა კენა?!..
რა ვიღონო?!..
ნადგლიან მთვარეს ვუცქერ...

ლაწვზე ჩამოგორდა კურცხალი და
დაეცა კრებულის ფურცელს.
და იყო ღამე, აპრილის ღამე,
მყუდრო, იდუმალი, მთვარიანი,
ფეთქავდა გული — დაღლილი სულის არეალით...

პირთ გაწყვეტილი საქანელა

მომავონდი და
გულგრილობით დასევდილმა
ფიქრებს დავადე ტაბუ.
ვერ გაპატიებ!
შენზე სიმღერაც თოვლივით დნება,
ფა-ფუ!..
მე ქალი ვარ და ამაყი ლედი,
ჩავრაზავ შენამდე სავალს...
რა ახლოს გხედავ მთავარანგელოსს
მართლა ყველაზე მთავარს...
შენი სიცივე,
ვით გაწყვეტილი საქანელა
დეკემბრის შიშველ ტოტზე
ნანაობს...



ტრისტან ცარა (1896-1963)

დადას სიმღერა

ეს სიმღერა დადაისტის
ვისაც გულში ჰქონდა დადა
ცვეთდა ღლიდა თავის ძრავას
ვისაც გულში ჰქონდა დადა
ლიფტს დაყავდა მეფე მარდად
მყიფე თავის სამეფოში
ვინც მოიჭრა მარჯვენა და
პაპს ძღვნად გაუგზავნა რომში
აი რისთვის რატომ რადა
ლიფტს არ ჰქონდა გულში დადა
აღძრულებს მადით პა შოკოლადი
გამორეცხეთ ტვინი საწყალი
დადა დადა და
სვით ცივი წყალი.

* * *

აპა სიმღერა იმ დადაისტის
არც მწუხარის და არც მხიარულის
უყვარდა ქალი მას ბიციკლისტი
არც მწუხარე და არც მხიარული
ვერ დაეტია ტრფობა თვის კანში
აფეთქდა ქმარი განრისხებული
და გააგზავნა მან ვატიკანში
სამი ჩემოდნით ორი სხეული
არც ბიციკლისტი
და არც მისი შეყვარებული
არ იყვნენ უკვე არც მწუხარე არც მხიარული
განბანეთ თქვენი გმირი საწყალი
ჰამეთ ტვინები ვითარცა ქადა
დადა დადა
სვით ცივი წყალი

პა სიმღერა ბიციკლისტის
 ვინაც იყო გულით დადა
 იყო ნაღდად დადაისტი
 როგორც ყველა გულით დადა
 სრიალებდა გველი ავი
 და ნატიფად მოირგო რა
 ხელთათმანი გველის ტყავის
 ადგა და პაპს ეამბორა
 მიხვედრას დიდი არ უნდა თავი
 მუცელს რომელსაც აყვავებს მადა
 არა ჰქონია არასდროს დადა
 მაშ დარწმუნდით ჩიტის რძით
 რეცხეთ შოკოლადები
 დადა დადა დადები
 და ხბოს ხორცი მიირთვით.

ბლუზ სანდრარი (1887-1961)

ბრანსვიგირისა და პატარა ფრანგი შანის ამბავი

ის იყო უამი სიჭაბუკის მბორგავ ვენებისა
 ძლივს თექვსმეტისა ვიქნებოდი და უკვე აღარ
 მქონდა სურვილი ჩემი ყრმობის მოგონებისა
 თექვსმეტი ათას ლიეთი ვიყავ
 დაშორებული ადგილს ჩემი დაბადებისა
 ვიყავ მოსკოვში სამიათას სამრეკლოსა და
 შვიდი სადგურის პატრონ ქალაქში
 და არ მყოფნიდა შვიდი სადგური და ათას სამი კოშკი მაღალი
 და რადგან ჩემი სიჭაბუკე ისე გიჟური
 და ისეთი მხურვალე იყო
 რომ ჩემი გული გიზგიზებდა როგორც ტაძარი ეფესოსი
 ან ვით წითელი მოედანი მოსკოვ-ქალაქის
 ოდეს მზე ჩადის
 ჩემი თვალები ელვარებდა უძველეს გზებზე
 და უკვე ვიყავ უხეირო ვინმე პოეტი
 და არ ვიცოდი ბოლომდე მისვლა
 და იყო კრემლი ვით თათრული ნამცხვარი მსუყე
 ვებებრთელა ოქროსფერ კრემით
 და იმ უთეთრეს კათედრალთა თეთრი ნუშებით
 და თაფლაკვერის მსგავსი ზარებით

ბებერი ბერი მე მიკითხავდა ლეგენდას ქალაქ ნოვგოროდისა
 და მე მწყურაოდა
 და ვეცნობოდი ამ ხასიათებს პირდაპირს და სოლისებულებს
 მერე მტრედები სულიწმინდის ეკლესიიდან გადაუფრენდნენ ამ მოედანს
 და აჰყვებოდა ჩემი ხელები ალბატროსების ფრთების შრიალით
 ამგვარი იყო უკანასკნელ დღის
 უკანასკნელი მოგონებები
 ჩემი ყოველი ზღვაოსნობის თუ ხეტიალის

მაგრამ მე ვიყავ უხეირო მაშინ პოეტი
 და არ შემეძლო ბოლომდე მისვლა
 შშოოდა
 ყველა ის დღე შშოოდა და ყველა ქალი კაფეში მყოფი
 და მე მინდოდა ყოველი ჭიქა
 რომ დამეცალა
 და დამემსხვრია
 ყველა ვიტრინა და ყველა ქუჩა
 ყველა სახლი და ყველა ცხოვრება
 და ამ საძაგელ ქვაფენილის გიჟურ მორევში
 დატრიალებულ ყველა ეტლის ყველა ბორბალი
 და ჩამეყარა მახვილების საწრთობ ღუმელში
 მომინდებოდა დანამცეცება ყოველი ძვლის და
 ამოგლეჯა ყოველი ენის
 და გალხობა ყველა სხეულის
 სამოსშიგნითა სიშიშველით რომ თავგზას მიზნევდნენ
 და ქრისტეს მოსვლა დიდებულის წარმომედგინა
 როგორც რუსული რევოლუცია
 და მზე მოჩანდა როგორც იარა
 და იხსნებოდა დამბურგავ ხანძრად
 ის იყო უამი სიჭაბუკის მბორგავ ვნებისა
 ძლივს თექვსმეტისა ვიქნებოდი და უკვე აღარ
 მქონდა სურვილი ჩემი ყრმობის მოგონებისა
 ვიყავ მოსკოვში სადაც მინდოდა პირის აგება ცეცხლის ალებით
 და არ მყოფნიდა მისი კოშკები და სადგურები
 დასარწყულებლად ჩემი თვალების
 ციმბირში ქუხდა ზარბაზანი და იყო ომი
 შიმშილ-სიცივე შავი ჭირი იყო ქოლერა
 და სიყვარულის ტალახიან წყლებს მილიონობით მოჰქონდა მძორი
 ყველა სადგურში ჭებდავდი გასვლას უკანასკნელი მატარებლების
 და მეტს არავის გამგზავრება აღარ შეეძლო
 რადგან არ იყო მეტი ბილეთი
 ხოლო მიმავალ მეომრებს ვიცი სურდათ დარჩენა
 არ სურდათ წასვლა
 ლეგენდა ქალაქ ნოვგოროდისა აღარ მღეროდა ბებერი ბერი

შენ ხარ უფრო ლამაზი ვიდრე სხვა და მე

როდესაც გიყვარს სწორედ მაშინ უნდა წახვიდე
 დატოვე შენი ცოლი და შვილი
 დატოვე შენი მეგობრები კაცი თუ ქალი
 დატოვე სატრფო უსათუოდ დატოვე სატრფო
 როდესაც გიყვარს სწორედ მაშინ უნდა წახვიდე

წინ ქვეყანა საესე არის იგი ზანგებით
 ქალნი და კაცნი ან პირიქით კაცნი და ქალნი
 შეხედე ლამაზ მალაზიებს
 ამ ეტლს ამ კაცს ამ ქალს და ამ ეტლს
 და გამოფენილ ლამაზ საქონელს
 არის ჰაერი არის ქარი
 მთები წყალი ზეცა და მიწა
 არის ბავშვები ცხოველები
 მცენარეები თუ ქვანახშირი
 აბა ვაჭრობა შეისწავლე ყიდვა-გაყიდვა
 მიცემ-აღება აღებ-მიცემა
 როდესაც გიყვარს იცოდე უნდა
 ცეკვა სირბილი ჭამა-სმა და
 იცოდე სტვენა
 და მუშაობა უნდა ისწავლო
 როდესაც გიყვარს წახვიდე უნდა
 გაიღიმე და ნუ აცრემლდები
 საყვარელ მკერდს არ გამოება
 სული მოითქვი და გადადგი ბიჯი და წადი
 მე ვბანაობ და თავს ვაკვირდები
 ვხედავ ნაცნობ პირს ნაცნობ ხელებს
 წვიმებს და თვლებს
 მე ვბანაობ და თავს ვაკვირდები
 ქვეყანა მთელი მარად უცვლელი
 ცხოვრება საესე საოცრებებით
 მე გამოვდივარ აფთიაქიდან
 მე ჩამოვდივარ უზუსტესი სასწორიდან და
 ოთხმოც კილოგრამს ვიწონი ახლა
 მე შენ მიყვარხარ

ფრანგულიდან თარგმნა ბადრი თევზაძემ

**სიკვდილ-სიცოცხლისა და მარადისობის პრობლემა
ანა კალანდაძის შემოქმედებაში**

„როგორც არაერთხელ მითქვამს, თითქოს გასაოცარია რატომ უხვევდნენ გვერდს ჩვენი საუკეთესო მწერლები „სიკვდილის“ საგანს“. ძნელი წარმოსადგენია, რა ჰქონდა მხედველობაში კიტა აბაშიძეს, როცა ამას ამბობდა. ჩვენი კლასიკოსები სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას რომ თავიანთ ხარკს უხდიდნენ, სხვა შემთხვევაში არასოდეს გამხდარა საკამათო. დაწყებული შოთა რუსთაველით, იაკობ ცურტაველზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დამთავრებული ჩვენი დროის ცოცხალი კლასიკოსებით, სიკვდილ-სიცოცხლისა და მარადისობის ცნება უმადლეს მხატვრულ საფეხურზეა აყვანილი. „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, — ბრძანებს რუსთაველი. ვაჟა-ფშაველამ საკაცობრიო პანთეონში გაორკეცებული მგრძნობელობით შეიხედა, ცხოვრება და სამყარო სინათლისა და სიბნელის დაუსრულებელი ჭიდილით წარმოგვიდგინა („ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითა“), ხოლო ილია ჭავჭავაძემ თავისი „განდევლით“ გზა გადაუჭრა ასკეტურ ცხოვრებას და მკითხველი სიცოცხლისაკენ შემოაბრუნა. ჩვენი საუკუნის მწერალთა სახელების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია დასმული პრობლემის სიცხადისათვის. მათ შორისაა ჩვენი პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძეც.

პოეტმა ქალმა თავის შემოქმედებაში „ყოფნა-არყოფნის“ მარადიული კითხვა შემოაბრუნა და ისეთი რაკურსით დაგვისვა, რომ კონკრეტული პასუხიც ჩადო მასში. „არც ის არის შემთხვევითი, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში დროის ორი განზომილება თანაარსებობს: პოეტის დღევანდელი სულიერი მეტამორფოზების დღიურის „მეორე პლანი“ — კაცობრიობის ისტორიული განვითარების გზაა. ნუ მოვათავსებთ ამ განზომილებებს, თუ თანხვედრას რაიმე წინასწარ აკვიტებული სქემის პროკრუსტეს სარეცელში. მოდით, მხოლოდ ანა კალანდაძის ლირიკული ორეულის გარდასახვათა თანამიმდევრობას გავადევნოთ თვალი: ჩვენ გვახსოვს იგი მარტორქებზე მონადირე იმ პრეისტორიულ მიწაზე, რომელსაც შემდგომში ურარტუ დაერქმევა („მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, 1945), გვახსოვს მისი წამომახილი „ცეცხლო, დიადო, უბოლო ხარ, დაუსაბამო...“ („კიციანთელა ჩუმიდ მისდევს ხეების აჩრდილს...“, 1945), გვახსოვს „სირაქლემას ლამაზი ფრთებით“ მოკაზმული, მზის მადმერთებელი ბუნების შვილი („მე მზეს ვუმღერი“, 1946), და რადგან ყოველი ამ გარდასახვისას ჩვენ ვხედავთ პოეტურ ანალოგიას კაცობრიობის წარსულის ნიშანსვეტებთან, ანა კალანდაძის ლირიკაში ქრისტიანული პანთეონის გამოჩენა სრულიად ბუნებრივად აღვიქვით“, რადგან მასში მარადისობაა დასადგურებული, რომელსაც ხელთ ცოდვა-მადლის სასწორი უპყრია. ანას ტომეულის უბრალოდ გადაშლაც საკმარისია, — თვალს მოგჭრის, კარგი გაგებით, ამ შინაარსით დამუხტული ელვისშოლტიანი სტრიქონები: „ნაპოლეონის ბრინჯაოს

ნიღაბს, სამარადისოდ გახსნია ბაგე“, „ალაზნის ველზე ნათლის სვეტივით ღვას ალავერდი“, „იყალბოს კედლებს ადგას ნათელი“, „მათ გადაიარეს ცა პირამიდების, ხეთა და მიდია, ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები, კვლავ საით მიდიან?“, „საით მოვიდნენ პელასგები? ჩუმი კიადით...“, „მოდოდა ნინო მთებით, მოდიოდა...“, „იღა თბილისი, როგორც ერეკლე, ხმალშემართული ნარისციხესთან...“. „ღუმს სასაფლაო ქვის ძეგლებივით“, „ფეხშიშველი მიდიოდა თამარ... დედოფალო, საით მიიჩქარი?“, „უმაღ ვიცანი ომი ასპინძის“, „ფურცლებო, დიდის ქართლის ცხოვრების“, „მან კი... უზადოდ შექმნა ყოველი, „სამყარო ესე რომელმან შექმნა!“, „ლურჯი ნათელი მიახლოვდება“, „ეს სურა შექმნეს შენი ტალახით“.

კლასიკური სისადავით გაგვრებული სამყაროს მედიტაციური აღქმა, ზოგჯერ პირველქმნილი და ბუნებრივი სახით, ზოგჯერ გაწმენდილი და გაფაქიზებული, ზოგჯერ ბიბლიური სახეებითა და ძველქართული საგალობლებიდან თუ მითითური სიუჟეტებიდან გადმოსული სახეთა აზრდოვანი ისეთ პოეტურ კალენდოსკოპს ქმნის, რომელიც „მარადმწვანე როზმარის თაიგულს“ ჰგავს. ანას პოეზიაში სული, სიცოცხლე და სიკვდილი, ისეთი პოსტულატებია, რომელთა ეპიცენტრი მარადისობის ფუძე-გუმბათს ეყრდნობა. „უფალმან შექმნა კაცი... და ხატისებრ თვის ჰყო იგი“ (ბიბლია). „ღმერთმან შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად“ (მოსე). მარადისობისა და სულის უმაღლესი ინტელექტი ღმერთია, სამყაროს შემოქმედი და სუნთქვა. რაც შეეხება სიცოცხლეს, იგი სულის მატარებელია და რახან ასეა, მატერიაა, ობიექტური რეალობაა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების ზედაპირზე და მისგან დამოუკიდებლად. იგი თვალნათლივ ჩანს, მის აბსტრაქტულ ბუნებას თვალით „ვეხებით“, ვგრძნობთ, იგი ჩვენშია და ჩვენ მასში ვართ („გარდამოხდება სიცოცხლე დიდი ჩემს საუფლოში“).

რა არის სიკვდილი?

რა თქმა უნდა, სიცოცხლის ანტონიმი! „სულისა და ხორცის გაყრა, — განმარტავს სულხან-საბა, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიცოცხლის შეწყვეტას“ გულისხმობს. ანა კალანდაძე თავის ლექსებში იშვიათად მიმართავს ამ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის თემას ბევრი ლექსი ეხმიანება. „სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან“, არამედ „სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს“, ანდა „მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას, ყაყაოში საუკუნოდ ჩაგეძინა“. ეს სტრიქონები ეძღვნება პოეტს, რომელიც „სიკვდილის ყველა კარს“ რაზავდა.

როცა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ვიხილავთ, გზადაგზა ვაწყდებით უამრავ პარადოქსებსაც. გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი ცხოვრების მიზნად მისგან განთავისუფლებას ისახავდა, როცა თავს კი არ იკლავენ, არამედ ცხოვრებისაგან თავისუფლებიან, (თვითმკვლელობის აპოლოგია, — შ. ზ.), მაგრამ, როცა მის ქალაქში მძიმე ეპიდემიამ იფეთქა, ქალაქიდან გაიქცა. გვაქვს საპირისპირო მაგალითიც: გამოჩენილი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი ამბობდა: „უნდა ამოგლიჯო სიხარული მშფოთვარე დღეებსო“. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამისი ნიმუში იყო. მის ერთ-ერთ ლექსში გვითხრობთ: „სასიხარულოს ცოტას გვაძლევს პლანეტა ვრცელი, უნდა მოვსტაცოთ სიხარული მყოფადს ელვიანს. თავი მოიკლა ცხოვრებაში არ არის ძნელი, ცხოვრება შექმნა, გაცილებით უფრო ძნელია“. პოეტი, რომელიც მთელი მისი არსებით სიცოცხლის მომღერალი იყო, შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, თავი მოიკლა.



რაც შეეხება გალაკტიონს, სიკვდილი ვარდისფერ გზად ესახებოდა („ლურჯა ცხენები“) და მანაც მოიკლა თავი. ანა კალანდაქსთან არცერთი პარალელი არ გამოდგება. მის ლექსებში სიკვდილ-სიცოცხლის არსი ბიბლიური პოსტულატია. უთუოდ საინტერესოა ლექსი, რომელიც დავით გურამიშვილს ეძღვნება. აქ ერთი სიტყვაც არ არის სიკვდილ-სიცოცხლეზე, აქ უფრო „სოფლის სამღურავია“. ამ თემატიკურ რკალს თავიდანვე დაჰყვა ანალიტიკური სიღრმე, ზნეობრივი თუ მარადიულობის მწვავე განცდა. ამას ხელს უწყობს ის სტილისტიკური და გამომსახველობითი საშუალებები თუ ხერხები, რაზედაც ბევრჯერ შეაჩერეს ყურადღება მისმა კრიტიკოსებმა თუ მკვლევარებმა. განსაკუთრებით ჰოპლუარულია მკითხველებში ომარ ხაიამისადმი მიძღვნილი ლექსი „ამ სურით სვამენ“. ბუნებრივობა და უნივერსალური ოსტატის ხელი განსაზღვრავს მის წარმატებას. ლექსის იდეური გასაღებია დიდი ნიშაში განჯელის სიტყვები, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული: „ომარ ხაიამს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო. მე ვინახულე ხაიამის სამარე ნიშაბურში. იგი მართლაც ფოთლებითა და ბალახით იყო დაფარული. მაშინ მომაგონდა ხაიამის სიტყვები და ტირილი დაიწყო“. საოცრად ბუნებრივი პოეტური სახეები ქმნის დრამატულ განწყობილებას, რომელიც გასაოცარი სიზუსტით ესადაგება ეპიგრაფად მოტანილ ნიშაში განჯელის სიტყვებს:

სურები შექმნეს შენი ტალახით,
ღვინო მოუღწენს ყელმოხატულებს,..
შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,
ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს.
გულზე გაღვრიან ღვინოს ლოთები,
ხეებს შეარხევს ქარი აყვია,..
ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით
და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან.

ამ ღვთიურ ლექსში ყველა სიტყვას თავისი ბუნებრივი ადგილი აქვს, — პირველქმნილი და განუყოფელი. ისინი ისე ერწყმიან ერთმანეთს, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერც ვერაფერს დაამატებ და ვერც მოაკლებ. ზუსტი და მეტყველი შედარებები, პარაბოლები და ლალი მეტაფორები ისეთი ემოციური მუხტით ტვირთავენ ლექსს, რომ ზოგჯერ გვავიწყდება ხელთქმნილი რომაა, გვავიწყდება, რომ მისი ავტორი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ჩვენთან ერთად დადის სამსახურში, ბაზარში, თეატრსა და კინოში, ჩვენთან ერთად წუხს და უხარია, ჩვენთან ერთად დადის ქორწილსა თუ სამძიმარზე, ჩვენთან ერთად იცინის და ტირის. ასე მგონია, ეს სტრიქონები, მართლაც, ხაიამის ეპოქაში დაიწერა. როცა ამ ლექსს კითხულობ, მისი ავტორის მძაფრი სულისკვეთება გაპყრობს, მიწაზე ვეღარ ეტევი, გინდა სამყაროდან გაიჭრა სხვა სივრცეში. იყოს თუნდაც ჩემი სუბიექტური აზრი, რომ ეს და სხვა ლექსები, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლისა თუ მარადისობის პრობლემას განჭვრეტენ მედიტაციურ ფონზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სულისკვეთებას ეწყვილებიან. სხვა შემთხვევაში, ოცდაორი წლის ანა კალანდაქე ვერა და ვერ იტყოდა „იშორიალე დიდო ვერხვო, იგუგუნე დედამიწავ!“. არის თუ არა მიწიერი ყოფის უკმარობა, სხვა სივრცეებში გაჭრის სურვილი?! მე ვთვლი, რომ ანა კალანდაქის ლირიკის მკვლევარებს გამორჩათ მისი ეს ბოზოქარი

სულისკვეთება. მხოლოდ ვახტანგ ლებანიძემ მიგვანიშნა წამიერად. ამიტომაც, როგორი კეთილი სურვილითაც არ უნდა იყოს ნათქვამი, ანა კალანდაძემ „გააქალურა ყოველივე და გვიჩვენა ისეთი სილამაზე, როგორსაც ჩვენ არასოდეს ან იშვიათად ვხედავდითო“, ვერა და ვერ ვიგუებ. რაც შეეხება ლექსს „ამ სურით სვამენ“, აქ ისეთი „გაუქაცური გაქროლებია“ (პ. იაშვილი), დროსა და სივრცეში საზღვარი არ აქვს. აქ საგნებისა და მოვლენების „გაქალურობაზე“ ფიქრი უნდა გამოირიცხოს. პოეზიის თემატიკის, სტილისა და თავისებურებათა განსაზღვრისათვის უთუოდ მნიშვნელოვანია მისი დიდი წინაპრის დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი. პოეტი შესაშური სახეებით ოსტატურად გვიხატავს „ქართლის ჭირის“ ავტორის სამშობლოდან განშორების მარადიულ ნალღელს:

შრიალებს მუხა ცაში აწვდილი,
მზე ვენახებზე გადივლის ცურვით,
წყალზე იხრება შენი აჩრდილი,
სვამ და... ვერასდროს ვერ იკლავ წყურვილს...
შრიალებს მუხა ცაში აწვდილი,
მზე ვენახებზე გადივლის ცურვით.

ანა კალანდაძის ელვარე ტალანტმა მიაგნო ისეთ სახეს, რომლითაც მარტივად, მაგრამ უაღრესად ნათლად და სრულყოფილად გამოხატა დიდი სათქმელი: „წყალზე იხრება შენი აჩრდილი, სვამ და ვერაფრით ვერ იკლავ წყურვილს“, — აი, მხატვრული დამაჯერებლობის კონკრეტული ასპექტი. სულაც არ არის ნახსენები პოეტის გატაცების ამბავი, რომ აღარ ეღირსა სამშობლოს ხილვა, მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი მხატვრული ფორმით წარმოგვიდგინა, შეუძლებელია სულით ხორცამდე არ შეგძრას, როცა ამბობს პოეტი: „სვამ და ვერაფრით ვერ იკლავ წყურვილს“, რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ყოფითი დეტალი არ არის. იგი წყურვილის მოკლავზე მეტია, მე ვიტყვოდი, ისეთივე, როგორიცაა, ვთქვათ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“:

მთებს თუ ესმოდა შენი ძახილი,
რაღაც მდუმარე ნალღელით სავსე?
ყვავილი წყაროს თავთან დახრილი
მერე არასდროს ჩასულა წყალზე:
მას თუ ესმოდა შენი ძახილი,
რაღაც უთქმელი ძახილით სავსე?

ანა კალანდაძის პოეზიაში ბევრია ისეთი ლექსი, რომელიც ეყრდნობა სიკვდილ-სიცოცხლის რაობის ბიბლიურ და უძველეს რელიგიურ წარმოდგენებს. ბუნება რომ სამყაროს პერმანენტული აღქმა (ერთი სიცოცხლის მეორეში გადასვლა, — შ. ზ.), მარტივი ჭეშმარიტებაა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სიკვდილის შეილები ვართ, მაგრამ იგი (სიკვდილი) ჩასახლებული რომაა დაბადებით ყველას სხეულში, იშვიათად თქმულა პოეზიაში. ადამიანები გაურბიან მასზე ფიქრსაც კი, რათა მეტად და მგრძნობიარედ შეიმოსონ სიცოცხლის დიადებით:

ჩასაფრებულხარ ყველგან, ყველაში,
ყველგან, ყველაში... ხატია შენი —
ცაზე, მიწაზე, ხეში, ბალახში —
მიპყვები ქარს და ღრუბელთა დენას...



მე შენ გაგიგებ და გემალები.

გავიხსენოთ როგორ გაეჭეა სიკვდილს მისი აპოლოგეტი გერმანელი შოპენ-პაუერი. ანა კალანდაძის ლირიკული პერსონაჟი სიცოცხლის შესახვედრად მიიჩქარის, რათა სიკვდილი დათრგუნოს:

შენ მომყვებოდი, ო, დიდებულო,

ბნელით, მთრგუნველი,

ბნელთა მგმობელი...

შენ განმარიდე მე ამ უფესურელებს

და, ჰა, კვლავ ჩემი სამადლობელი!

ანა კალანდაძე სიცოცხლის ტრფიალი პოეტიკა. „სასაფლაოს გაზაფხულიც წარმტაციაო, — ამბობს იგი ამ უსაშველოდ ძნელად სათქმელ ფრაზას და გრძნობ, რომ მისი „ორი ქვეყნის საზღვრად დგომა“ სრულებითაც არ არის მისტიკური პოზა, ეს არის ორი ქვეყნის განსხვავება ერთ, სიცოცხლის დამამკვიდრებელ, შემოქმედებით იდეაში — გაზაფხულში, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე ფეთქავს და ერთი ფრთა სიცოცხლისათვის გადაუფარებია, მეორე — სიკვდილისათვის, თუმცა პოეტი ყოველთვის ცდილობს, სიკვდილის პირდაპირ ხსენებას თავი აარიდოს: „მე ლამაზი მეგობარი მყავდა, თვალუყუყუნა, წაბლისფერი თმებით, ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები, დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა...“ და ამის შემდეგ სრულებით ბუნებრივად ისმის პოეტის ფრაზა, სხვა შემთხვევაში რომ უცნაურად მოგვეჩვენებოდა: „განა ნუშის ტოტი ჰყავის შეუმცდარად?“. ეს პროტესტია ბუნების მიმართ, ჩუმი, მორიდებული, მაგრამ მაინც მტკიცე. იმ ადამიანის გაბრძოლებაა, რომლის მეტაფიზიკურ ხილვებში სიკვდილი, როგორც ყველაფრის მომსპობი ფენომენი, ასეთ მეტამორფოზას განიცდის: „მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგვიძინა“... სად არის აქ სიკვდილი? ყველაფერი ანასეული გაზაფხულის ძალისხმევით სუნთქავს, ყველაფერზე აქ სიცოცხლე ბატონობს — უკვდავება“.

ლექსი „მკვდართა მზე ვარ“, რომელშიც ორი ქვეყნის საზღვარი დომინირებს, ბევრი კრიტიკოსი შეეხზო. ორმოცდაათიან წლებში ზოგმა ორი ქვეყნის გეოპოლიტიკური საზღვარი დაინახა. ეს ძირითადად ორმოცდაათიან წლებში, ხოლო სამოციანი წლებიდან ზოგმა სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, ზოგმაც დღე-ღამის მიჯნა იხილა.

ღმერთი რომ ხილული იყოს, მაშინ იგი აღარ იქნება ღმერთი. ჯერ კაცთა მოდგმიდან არავინ იცის, რა ხდება სიკვდილის შემდეგ. პირიქით რომ იყოს, მაშინ არც სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა დაისმებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების წინაშე. ადამიანის სულს იმდენი შრეები და განზომილებანი აქვს, მასში სრულქმნილი წვდომა შეუძლებელია, მით უმეტეს, სიკვდილის ანუ გარდაცვალების შემდეგ, როცა სხეული მიწას ბარდება, ხოლო სული — მარადისობას. მანამდე კი ყველაფერი სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე დგას, როგორც ხიდი ხილულსა და უხილავს, ცნობილსა და საცნაურ სამყაროს შორის:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,

გულო, რისად მეხურები?

სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,

ჩემს სხივებში ეფივებენ ბელურები.

ანა კალანდაძის სულის სასწორო სიცოცხლისაკენ იხრება. სამართლიანად

შენიშა ამის შესახებ თამაზ ჭილაძემ. პოეტი გვეძახის კიდევ — „კარი გაუღე სიცოცხლეს... გული სალი კლდე როდია?“ და მაინც იგი სიკვდილშიც ზედაც სულის სიმშვიდეს იმის შეგნებით, რომ მოვა დრო, როცა ისიც გაჰყვება ფოთოლთა ცვენას. ადამიანისათვის თანდაყოლილი სიკვდილის გარდაუვლობა ანას ლექსებში გზა-ბილიკებით იტოტება და ათასი მიმართულებით მიდის. მისი ლექსებიდან შთაბეჭდილად ჩანს, რომ იგი ქრისტიანული მორალის ნიადაგზე დგას, დგას და ხშირად მიმართავს სამყაროს შემოქმედ უზენაესს, მიმართავს დიდი წიგნიდან ამონარიდ მცნებებსა და შეგონებებს, ისე, რომ ამ ყველაფერს საკუთარ შემოქმედებით ქურაში ატარებს და სრულიად ახალ ფორმასა და შინაარსს ანიჭებს. ამავე დროს, მის შემეცნებაში არანაკლებ მუშაობს სხვა რელიგიათა პატივისცემის სული და სურვილი. ლექსი „ცისფერი მეჩეთი“ ამისი ნიმუშია:

ყურანის სიბრძნე
სვეტის თავს ამკობს,
ყურანის სიბრძნე
გვირჩევს და ამბობს,
უჭკვიანესი
ყურანის სურა:
„ვისაც აქ ეძებ,
დახუჭე თვალი,
შენშია სულაც“.

„შენშია სულაც“, — ამბობს პოეტი და მკითხველის ცნობიერებაში აილანდება „აია-სოფიას“ მაღალი სილუეტი. ანას პოეზიაში სულთა კავშირი „მარადიული და დიდებულია“. იგი სიცოცხლეში მიწაზე დადის, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ქლიავის, ატმისა და ვაშლის თეთრი ყვავილებით ცაში მიფრინავს. ანა კალანდად სიცოცხლის გაგრძელებას სულის მარადიულობაში ზედაც, მაგრამ ამქვეყნიური არსის აღქმა და ცხოვრების შეგრძნება აუცილებელია. სიკვდილის შემთხვევაში ზდება ფიზიკური სხეულისა და მისი სიცოცხლის სუბსტანციის გათიშვა. საინტერესოა ლექსი „ო, იდუმალი არხვეს კვიპაროსს“, რომელიც გალაკტონ ტაბიძეს ეძღვნება: „ლამაზი სული ქარით, ფოთლებით, თვისი სიმშვიდით და შეფოთებით, ქლიავისა და ატმის ტოტებით საგაზაფხულო მიწას შორდება“. ლექსის ექსპრესიულობა კიდევ უფრო მძაფრდება:

და ზამბახები ჩუმი ეტლებით
და ბეთანიის ლურჯი იები,
ანგელოსები პერგამენტებით
ღრუბლებისაკენ მიაცილებენ...
აქ ყველაფერი ისე საესეა...
ის დაბრუნდება მთვარის სხივებით
ისე, პირიმზევ, ეს ხომ ასეა?!

ამ სტრიქონების წაკითხვისას შენს სხეულში უნებლიედ ოპიუმისმაგვარი ვარდისფერი სურნელი შემოდის და გგონია, რომ პოეტის პერგამენტები ფრთებად გესხმება და ჯერაც თვალშეუღამ მარადისობისაკენ მიგაცილებს. იქნებ ამგვარი ტკბობის ნაწილია წუთისოფლიდან გაჭრა მარადისობაში — სიკვდილში შეზიარება. მაგრამ რახან ბუნების შვილი გვქვია და მისი ნაწილი ვართ, ვიდრე პირში სული გვიდგას, ფეხი უნდა ავუწყოთ პლანეტისა და ჩვენს ბრუნვას მზის გარშემო.

სიკვდილ-სიცოცხლეც ხომ მოძრავი წრის შემადგენელი ნაწილია, სადაც ცხოვრება ენაცვლება ტკბილ-მწარე დღეები. სწორედ, ამით არის ცხოვრება, საერთოდ, სიცოცხლე, მიმზიდველი და სანუკვარი. აკაკი წერეთელი ბრძანებდა: „თაფლში ურევს მწარე ნალველს! მტრისას მისი გამოცანა!“ ესეც ცხოვრებაა! ოდესღაც ჩამიწერია უბის წიგნაკში — „ეს ცხოვრება ტკბილია, იმიტომ, რომ მწარეა!“. გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსის ანატომია ატყვია ანას შემდეგი ლექსის სტრიქონებს:

ქარო, მიუვალ კლდეზე დადგო
ჩემი მიწური,
იქ, ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან...
დავემკვიდრები იმ მთების წვერსა:
მსურს, სამუდამოდ ვუყურო მზესა...
შენ მიაკითხე ხშირად იმ კლდესა
და მომიტანე... ფოთოლი ვერხვის!

სასიამოვნო ნალველი იღვრება, მინორული ტონალობა ისადგურებს. აღსანიშნავია, რომ სულის უკვდავებაზე ანა წერდა იმ ავადმოსაგონარ წლებში, ეკლესია-მონასტრების ნგრევისა და ხატების გაუბედურების ჟამს, წერდა პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვისა და ალეგორიულობის გარეშე. მართალია, ზოგი დროულად არ მიუშვეს მკითხველთან, მაგრამ სიკეთემ მაინც გაიმარჯვა.

ჯერ კიდევ ბევრი რამ შესაცნობი და თავიდან ახლებურად წასაკითხია ანა კალანდაძის შემოქმედებაში. ბევრი რამის მთქმელია ასევე მისი ცხოვრების წესი და სტილი. პოეტის ცხოვრება ხომ დიდი შემოქმედების უწყვეტი ჯაჭვია, რომელსაც პერმანენტულად მიეყვარათ მუშათა სამყაროში:

შენს მშფოთვარ სულში ცის შორეულის
დარდი ისახვის.
და... რეკავს, რეკავს შეუცნობელი, —
გიხმობს მისაკენ,
სულში უჩუმრად ჩაფენია
მთათა სიმწვანე,
შეგაწრიალებს შეუცნობელი:
ეს ხმა... იცანი!

ეს ხმა პოეტის სულის მარადიული ძახილია — „დედას მიწავ, მადლი შენ? იკურთხე ცაო წმინდაო!“ ან კიდევ:

შხამით საცხევ და
აღვსილო ნექტრით,
სხვათა კარებზე
დგას შენი ეტლი...
ლხინით საცხევ და
აღვსილო გლოვით,
მარადის...
მოვედ!

„ანა კალანდაძე, როგორც ეს ნამდვილ პოეტს შეეფერება, განსაკუთრებული პატივით ეკიდება იღუმალს, ბოლომდე აუხსნელს. მომზიბღველია ისიც, რომ ამ იღუმალის ახსნას არ ცდილობს იგი ფილოსოფოსის დარად. რჩება პოეტის

ამპლუაში, აუხსნელის მიმზიდველობა ერთ-ერთი მაცოცხლებელი, — მკვებავი წყაროა პოეზიისათვის. პოეზიას შენის „კრთომა“ ჩაუწყვდომელი მოვლენის წინაშე. შეუცნობისაკენ მისი სწრაფვა მაინც პოეტური ფანტაზიის სწრაფვაა, პოეტური ცნობისმოყვარეობის ლტოლვის გამოხატულებაა და არა რაციონალური გონების დაჟინებული შრომა...

საგნებთან დამოკიდებულებაში მუდამ შენარჩუნებულია პოეტურობა. ეს კი არ გახლავთ უმნიშვნელო ფაქტორი, არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც, სწორედ, პოეტი იკარგება, რაკი ნაწარმოებში ფილოსოფია, დიდაქტიკა ან სულაც პროზაიზმი „გააქტიურდება“.

ანა კალანდაძე არასოდეს არ ჰკარგავს თავის თავს. იგი ყველა ნერვით პოეტია, და, სწორედ, ამ დამოკიდებულებამ წარმოშვა ჰემმარიტი პოეზია. თითქოს შეუძლებელია ქართული პოეზიის ტიტანების შემდეგ რაიმეთი მოიხიბლო, მაგრამ მათივე წიაღი ალაღებს ჩვენს პოეტურ მუზას, რათა მსგავსი პოეტური კულტურის გამოშატველი სტრიქონები ვწეროთ“.

ანა კალანდაძე ადამიანის სულის პოეტია. რწმენა სულის მარადიულობისა, რომელიც ბინადრობს ჩვენში და ჩვენს სხეულს ტოვებს გარდაცვალების მომენტიდან, ემყარება სულის, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის რწმენას. ამ რწმენას სხვადასხვა განზომილებით ყოველი რელიგია აღიარებს. ანა კალანდაძის პოეზიაში იგი ქრისტესმიერი სუბსტანციით აისახება. განსაკუთრებით თავისებურად იყენებს ამ რელიგიის სამლოცველოებსა და მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ატრიბუტებს:

ოშკის მძლე ტაძარო, ათასი წელია,

დგახარ და ღაღადებ...

კვლავ ანთებ ჩირაღდანს, კვლავ მზემდე მალღლები,
მრავალჭირნახადი!

კვლავ შენი სარკმლებით მაღალი სიბრძნისა
ინთება სინათლე...

კვლავ თავზე ევლება ძველ ქართულ ასოებს
აჩრდილი იმათი, —

მორკმულთა მამათა — გიორგის, ექვთიმეს,
ლაზარეს, ზოსიმეს...

ათასი წელია, მზესავით გვიბრწყინებ,
შარავანდმოსილო!

ანა კალანდაძის შემოქმედებაში უკვდავების არსი ორი განზომილებითაა არეკლილი: სულის უკვდავება, როცა ადამიანი კვდება ფიზიკურად, მაგრამ სული გადადის მარადისობაში და მეორე — ადამიანის გენიის ამქვეყნიური უკვდავების გამოვლენა. ზემოთ ციტირებულ ლექსში, ვთქვათ, გიორგის, ექვთიმესა და ზოსიმეს სახელები ამის ნათელი დემონსტრაციაა.

ხალხური პოეტური სიბჟნის კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები

ფოლკლორულ-საშემსრულებლო პროცესი, სადაც ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები ფუნქციონირებს, სინკრეტული ბუნებისაა და რთული იმანენტური სტრუქტურით ხასიათდება. აქ პოეტური სიტყვა ხშირად, უმჯობესეს კავშირში არსებობს ისეთ კომპონენტებთან, როგორიცაა მელოდია, პანტომიმა, მოძრაობა-მოქმედება, ჟესტ-მიმიკა, ფერი და ზოგჯერ, ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობაც კი. ჩამოთვლილ და ზოგიერთ სხვა ელემენტებთან ერთად, პოეტური სიტყვა ქმნის მონოლოთურ, სისტემატურ მთლიანობას, სადაც ერთმანეთს ერწყმის სოციალურ-უტილიტარული და წმინდა ესთეტიკური საწყისები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფოლკლორული აქტის შემადგენელი ნაწილები არა მარტო ორგანულად თანაარსებობენ, არამედ ურთიერთზემოქმედებენ კიდევ.

გარეტექსტობრივ, არასიტყვიერ ელემენტებთან თანაარსებობა ხალხურ პოეტურ სიტყვას თავისი დამოუკიდებელი, მნიშვნელოვანი განსაზღვრავს მის ემოციურ-ესთეტიკურ ბუნებას. უფრო მეტი, მხოლოდ ფოლკლორულ-საშემსრულებლო აქტის კონტექსტში, ცოცხალი შესრულების პროცესშია შესაძლებელი ხალხური პოეტური სიტყვის (საერთოდ, ნაწარმოების) ჭეშმარიტი ბუნების ამოცნობა, მისი ემოციურ-ესთეტიკური ძალმოსილების სრულყოფილად განცდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ გარემოებაზე დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, იოჰან გოთფრიდ ჰერდერი, ჯერ კიდევ მაშინ ამახვილებდა ყურადღებას, როდესაც მეცნიერება ფოლკლორისა და ლიტერატურის შესახებ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. ჰერდერის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნააზრევში გვხვდება პირდაპირ მითითება იმის შესახებ, რომ ხალხური ნაწარმოების ესთეტიკური ზემოქმედება სრულყოფილად შეიძლება განვიცადოთ მხოლოდ მისი „ცოცხალი შესრულების დროს“ (И. Гердер, Избранные сочинения, М. - Л; 1959, стр. 358). აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი ფოლკლორის თეორიაში მთლიანად არის გაზიარებული. მაგალითად, ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. გუსევი წერს: „რასაკვირველია, შესაძლებელია სიმღერის, ზღაპრის, ხალხური ეპიკური ნაწარმოების ან ხალხური დრამის ტექსტის, პირობითად რომ ვთქვათ, წაკითხვით „გაგება“, მაგრამ სრულფასოვან ესთეტიკურ ზემოქმედებას ისინი, როგორც ხელოვნების მთლიანი ნაწარმოებები, მხოლოდ ცოცხალი შესრულებისა და უშუალო აღქმის მომენტში ახდენენ“ (В. Гусев, Эстетика фольклора, М; 1967, გვ 89;). ვ. ბლაჟეს ასევე სამართლიანად მიაჩნია, რომ „... საგმირო ბილინები, ისევე როგორც სხვა ეპიკური სიმღერები, მოწყვეტილი საშემსრულებლო კონტექსტს, იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით აღარ არის აბსოლუტურად სრულფასოვანი“ (В. В. Блажес, Содержательность художественной формы Русского Былевого эпоса,

свердловск, 1977, стр., 117).

მართლაც, ვისაც თუნდაც ერთხელ მოუსმენია (უნახავს!) ხალხური ნაწარმოები უშუალოდ ცოცხალი შესრულების პროცესში და აქ მიღებული შთაბეჭდილება შეუდარებია იმავე ნაწარმოების თუნდაც ყველაზე უფრო სრულყოფილი ჩანაწერის გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებასთან, შეუძლებელია არ დაეთანხმოს ავტორთა ზემოთ მოყვანილ მსჯელობას. საკითხის სიცხადისათვის მივმართავთ სათანადო მაგალითს: თავდაპირველად მოვიტანო ცნობილი ქართული საფერხისო სიმღერის — „სამაიას“ ტექსტს:

„სამაია სამთაგანა — რა ტურფა რამ ხარო,
სამაიას თავი მიყვარდა — რა ტურფა რამ ხარო;
ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ დალაღო,
შავარდენი ფრთასა შლისო — ლისიმ დალაღო.
არიგებულ-ჩარიგებულ — რა ტურფა რამ ხარო;
დაუვლიდი, დაჰყვებოდი — რა ტურფა რამ ხარო;
სამაია სამთაგანა — რა ტურფა რამ ხარო“

ახლა გავეცნოთ თვით ფერხულის მიმდინარეობას, ამით გამოწვეულ იმ ცოცხალ შთაბეჭდილებას, რაც საკმაოდ დეტალურად, შთაბეჭდვად აქვს აღწერილი XIX საუკუნის ცნობილ მოღვაწეს, ალ. ორბელიანს: „ბევრი კარგი თამაშობა არის ჩვენში მღერით. სამაია ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ხელი ხელს გაბმულები მწკრივით; ჯერ ერთი გაბმული დასი წამოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მომღეროდნენ:

სამაია სამთაგანა რა ტურფა რამ ხარო... და სხვანი ასე უნდა მოსულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, ეს მომღერალი დასი, მას უკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილს მისულიყვნენ ეგრეთვე მღერით. იქ მწკრივად დადგებოდნენ ხელებ გაბმულები პირველისავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივით, დადგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე. ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერას პირველს დასს: თან პირველის დასის რიგით წამოვიდოდა და იმათის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მივიდოდა მეორესთან, ხან მეორე პირველთან, მაგრამ თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერასა თავის შეწყობილის ლექსებით. ბოლო დროს ასე უნდა აეჩქარებინათ სიმღერა, რომ სალოდ გადაექციათ და ერთმანეთისათვის ბაღდათის ხელსახოცები ესროლათ ანუ წყნარა დაეკრათ ეგრეთ მღერით... მე ეს ასე მომეწონა, რომა, როცა მოვიგონებ ხოლმე იმ დართულ-დაკაზმულ ქალებს, იმათ საუცხოვოს შეწყობილის მღერას და იმათ მშვენიერსა ნარნარსა მიმომსვლელობას მღერითვე, ოჰ, მეტად მესიამოვნება“... (თ. ალ. ჯამბაყურ ორბელიანის ნაწერი., თბ. 1879, გვ. 216).

ფიქრობთ, ერთი და იმავე ტექსტის ფუნქციონირების ორ — „ბექდურ“ და საშემსრულებლო-ფორმას შორის, ესთეტიკური აღქმის თვალსაზრისით, განსხვავება მეტად თვალსაჩინო, მკაფიოდ საგრძნობია. „სამაიას“ ტექსტის „ბექდური“ ფორმა მხოლოდ მიახლოებითი, მკრთალი ანარეკლია მისი ბუნებრივი, თავდაპირველი

სახისა, რომლის სრულყოფილი ესთეტიკური შინაარსი გამოიხატება არა მხოლოდ სიტყვით, არამედ რიტმ-მელოდიით, საფერხისო მოქმედებით, ჟესტ-მიმიკით. ეს კი ის თავისებურებაა, რომელიც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ზეპირსიტყვიერების ყველა ნაწარმოებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი მაინც ე.წ. პოლიელემენტურ, სინკრეტულობის ნიშნით აღბეჭდილ ჟანრებშია (შრომის ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია და ა.შ.).

სწორედ აღნიშნული გარემოება ათქმევინებს ვ. გუსევის: „აღამიანი, რომელიც ფოლკლორულ ნაწარმოებს მხოლოდ წიგნებიდან აღიქვამს, შეგნებულად ისპობს შესაძლებლობას განიცადოს ესთეტიკური სიამოვნება და იმსჯელოს (განსაჯოს) ესთეტიკური ღირებულების შესახებ ფოლკლორში“. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი, ცოტა ქვემოთ, იმოწმებს ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის ჯ. ტომსონის სიტყვებს: „არასოდეს დამავიწყდება ჩემს მიერ მიღებული შთაბეჭდილება, როდესაც პირველად მოვისმინე, ადრე მხოლოდ წიგნებიდან ცნობილი, ზოგიერთი ირლანდიური პოემა, ტრადიციულ სტილში ოსტატურად შესრულებული ერთი სოფლელი მომღერლის მიერ. ეს იყო ჩემთვის სრულიად ახალი შთაბეჭდილება. ადრე მე მსგავსი არაფერი მომისმენია, არც პოეზიაში, არც მუსიკაში“ (ვ. გუსევის დასახელებული ნაშრომი, გვ., 89-90).

ამრიგად, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები თავდაპირველი, ბუნებრივი სახით არსებობს მხოლოდ ცოცხალი შესრულების პროცესში, ხოლო მისი ჩაწერა-პუბლიკაცია უკვე არსებობის სხვა, მეორეული ფორმაა, როდესაც ნაწარმოები ერთი ესთეტიკური სიბრტყიდან მეორეზე გადადის. ნათქვამი შეეხება არა მარტო ზეპირსიტყვიერების იმ ჟანრებს (ნაწარმოებებს), სადაც წინა პლანზე სიტყვა კი არა, სხვა ელემენტები გამოდის (მელოდია, სხვადასხვა კინეტიკური ელემენტი), არამედ იმათაც, სადაც სიტყვის დომინანტური ფუნქცია ჩრდილავს დანარჩენებს, რადგან „შესრულებს“ ხელოვნება თვისობრივად ახალ არსებობას ანიჭებს არა თუ ფოლკლორულ, არამედ თვით ლიტერატურულ ტექსტს. ცნობილია, რომ დრამატურგიული ტექსტი თავის დასრულებულ სახეს სცენაზე იღებს — იბადება მხატვრული თვალსაზრისით თვისობრივად განსხვავებული ნაწარმოები. ასევე, ლირიკული ან პროზაული ნაწარმოები, რომელსაც მხატვრული კითხვის ოსტატი სცენიდან წარმოთქვამს, გარკვეული აზრით, აღარ არის ოდენ წყობილსიტყვაობის ნიმუში და შეფასებისას გადის მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციის სფეროდან. მხატვრული კითხვის ხელოვნება ტექსტს ახალი, არსებითი ნიუანსებით ამდიდრებს, შეაქვს მასში ხელოვნების სხვა სფეროდან აღებული მხატვრულ-სახეობრივი ელემენტები. ამასთან დაკავშირებით, მოხდენილად შენიშნავს ს. ბერნშტეინი: ლექსსა და მის დეკლამაციურ ინტერპრეტაციას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც რომანსის მუსიკასა და იმ ნაწარმოებს შორის, რომელიც მის ტექსტს წარმოადგენს (С. И. Берштейн, Стих и декламация, - "Русская речь", новая серия, вын. 1, Л, 1927, стр., 40-41).

რასაკვირველია, მწიგნობრულ წყობილსიტყვაობის ნიმუშს მატერიალურად ფიქსირებული ფორმა გააჩნია და ის შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად, „შესრულების“ გარეშე, მაშინ როცა ზეპირსიტყვიერი ტექსტი (მისი პოეტური



სიტყვა) ბუნებრივი ფორმით არსებობს მხოლოდ ცოცხალი შესრულების მომენტში. ეს განსხვავება კი არსებითი ხასიათისაა და მიუთითებს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ესთეტიკურ სისტემაზე.

ზემოთ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ შემოქმედების ამ ორ სახეს — ფოლკლორისა და ლიტერატურას — შორის რაღაც ყრუ, გაუვალე კედელია აღმართული. პირიქით, ზეპირსიტყვიერება, როგორც ასეთი, პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი სახეა და მის კვლევაში ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების, კვლევის მეთოდების გამოყენება არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა. ფოლკლორისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებური მოვლენები სწორედ ლიტერატურულმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს. კერძოდ, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის (კომპოზიცია, წყობა) ანალიზი ლიტერატურათმცოდნეობითი ხერხებით უნდა მოხდეს. ასევე წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანაა ფოლკლორის პოეტური ენის, სტილური საშუალებების შესწავლა. სხვა საქმეა, რომ, როგორც ვ. პროპი აღნიშნავს, ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს შეუძლია მხოლოდ დაადგინოს ფოლკლორის პოეტიკის მოვლენები, მაგრამ ყოველთვის არ შესწევს ძალა ახსნას ისინი (Б. Я. Пропп, *Фолклор и действительность*, М., 1976, стр., 19-20). ამის მიზეზი კი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების სინკრეტულობა, პოლიელემენტურობა, აგრეთვე, ფოლკლორში შემოქმედებითი პროცესისათვის დამახასიათებელი სხვა თავისებურებანია. ეს თავისებურებანი ხალხური პოეტური სიტყვის კვლევა-ძიების გზაზე ურთულეს მეთოდოლოგიურ სიძნელეებს ქმნის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის პოეტიკა ფოლკლორში განსაკუთრებული თემაა და შესაბამისად, უნდა მოიძებნოს კვლევა-ძიების ადეკვატური მეთოდოლოგია.

ამ თვალსაზრისით, ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება ე.წ. „ექსპერიმენტული ფოლკლორისტიკის“ წარმომადგენელთა ცდა, აწარმოონ დაკვირვება უშუალოდ ნაწარმოების ცოცხალი შესრულების პროცესზე, სკრუპულოზურად აღწერონ ის და მხოლოდ ამგვარი კვლევა-ძიების შემდეგ გააკეთონ სათანადო დასკვნები.

ფოლკლორისტიკაში „ექსპერიმენტული“ მიმართულების ძირითადი პრინციპები კარგად არის ჩამოყალიბებული ვ. გაცაკის მიერ. (Б. М. Гაცак, *Сказочник и его текст: К развитию экспериментального направления в фолклористике*, — Проблемы фолклора, М., 1975, стр., 44-53). ამ მიმართულების წარმომადგენელთა შრომებში, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა სერიულ კრებულებში, არა ერთ საინტერესო დაკვირვებასა თუ დებულებას ვხვდებით ხალხური ნაწარმოების (პოეტური სიტყვის) ფუნქციონირების შესახებ ცოცხალი შესრულების პროცესში, ზეპირი ტრადიციის კონტექსტში.

თუმცა, თვით „ექსპერიმენტალური“ მეთოდოლოგიაც უძლურია ბოლომდე „მოიხელოს“ ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები (ხალხური პოეტური სიტყვა) თავისი თავდაპირველი, ბუნებრივი სახით. ხალხური ნაწარმოების წარმოშობისა და არსებობის (ყოფის) თავისებურება არ აძლევს მას ამის საშუალებას, რადგან, როგორც ცნობილია, ის (ნაწარმოები) შესრულებიდან შესრულებამდე იცვლება და, გარკვეული აზრით, ყოველი ახალი შესრულება გვაძლევს ერთი და იმავე

ტექსტის ხელახალ ვარიანტს. ამ გარემოებას აღიარებს „ექსპერიმენტალური“ მიმართულების ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ვ. გაცაკი. ის, მსჯელობს რა „ბილინების“ მთქმელთა „ეპიკური ცოდნის“ შესახებ, აღნიშნავს, რომ ის, რასაც ვიწერთ მთქმელის მიერ ნაწარმოების ყოველი ახალი შესრულების დროს, არის არა მხოლოდ მისი ერთი ვარიანტი, არამედ უფრო ფართო პოეტური მარაგის კონკრეტული ხორცშესხმა. მთქმელისათვის პოემის ცოდნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი მკაცრად გაფორმებული ტექსტის ცოდნა, რაც იმაში მჟღავნდება, რომ მომღერალს თავის არსენალში აქვს არა ერთი საშუალება თხრობისა, არამედ ასეთ საშუალებათა მთელი წყება. „რჩება რა ეპიკური ცოდნის საზღვრებში, ბილინების შემსრულებელი ირჩევს ერთ-ერთ ალტერნატიულ სვლას“. (Б. М. Гацак, Эпический певец и его текст, — Текстологическое изучение эпоса, м., 1975, стр., 45). ასეთი „ალტერნატიული სვლა“ კი მრავალი შეიძლება იყოს და ეს დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, რომ მთქმელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესრულების მანერით, ოსტატობით, არამედ ზოგიერთ სხვა ფაქტორზეც. კერძოდ, მთქმელის ან მომღერლის განწყობილებაზე, შესრულების ადგილსა და პირობებზე, აუდიტორიის შემადგენლობაზე და სხვა. სიტუაციის, რომელშიც ხალხური ნაწარმოები სრულდება, დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ცნობილი მკვლევარი ვ. ბოგატირევი. „ზეპირი ფოლკლორული ნაწარმოები იმ სიტუაციის მიხედვით იცვლება, რომელშიც ის სრულდება. სიტუაციას უნდა მიეკუთვნოს მსმენელთა შემადგენლობაც“. (П. Г. Богатирев, Вопросы теории народного искусства, М, 1971, стр. 397.). სიტუაციის შესაბამისად ხალხური ნაწარმოების ცვალებადობაზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ანდრეევიც. (Н. П. Андреев, фольклор и литература, — „Литературная учеба“, N 2 1936. стр. 67-68). შესრულების როლზე ხალხური ლექსის ვერსიფიკაციული თავისებურების ჩამოყალიბებაში საგანგებოდ ჩერდება ჯ. ბარდაველიძე, რომლის მართებული შენიშვნით, „ხალხური ლექსის სპეციფიკის გარკვევა შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი ის გარემო, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები“. (ჯ. ბარდაველიძე, შესრულების როლი ხალხური ლექსის ჩამოყალიბებაში, — „ქართული ფოლკლორი“ I-II, თბ. 1964, გვ. 113).

ამრიგად, „ექსპერიმენტალური“ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია „მოვიხელოთ“ ნაწარმოების (ხალხური პოეტური სიტყვის) ემპირული ყოფის მრავალ ვარიანტს შორის მხოლოდ ერთ-ერთი, რომელიც ნიშანდობლივია შესრულების მოცემული მომენტისათვის. თუმცა, ფოლკლორულ-საშემსრულებლო პროცესზე მრავალჯერადი დაკვირვებები საშუალებას იძლევა „დავიჭიროთ“ ამ პროცესის რეალური გამოვლინებები, მისი შედეგები და ამის საფუძველზე გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ.

ხალხური პოეტური სიტყვის უაღრესად რთული და იმავე დროს თვითმყოფადი ბუნების შესწავლაში გარკვეული სინათლე შეაქვს მისი სტრუქტურულ-სემიოლოგიური მეთოდით კვლევას.

ხალხური პოეტური შემოქმედება, რომელიც, ლიტერატურის მსგავსად,

შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „მეორადი მამოდელირებული სისტემა“, თავისი ტრადიციული სემიოტური (ნიშანთა) სისტემით, სტადიალური პლასტების, სინქრონული და დიაქრონული ასპექტების თანაარსებობით შედარებით იოლად „შედწევადია“ სემიოლოგიური მეთოდოლოგიისათვის. აღნიშნულ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს ე. მელეტინსკი (. М. Мелетинский, К вопросу о применении структурного-семиотического метода в фольклористике, _ семиотика и художественное творчество, М., 1977. стр. 112-125).

სემიოლოგიური კვლევის დროს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ტექსტი, როგორც ფარული კოდების, „შინაგანი ინფორმაციის“ მატარებელი სტრუქტურა. ტექსტში „მიმაღული“ ინფორმაციის წყაროები, ფარული კოდები ამოხსნას (დეკოდირებას) მოითხოვს, რაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. სემიოლოგიური თვალსაზრისით, თვით ტექსტსა და კონტექსტს შორის საზღვრები პირობითია, ხოლო ურთიერთდამოკიდებულება — რელატიური. კერძოდ, თუ ტექსტად მივიჩნევთ სიტყვას, მისთვის კონტექსტი იქნება წინადადება, თუ წინადადებას — ნაწარმოები და ა.შ. ამდენად, სემიოლოგიური თვალსაზრისი „ტექსტს“ განიხილავს, როგორც მოძრავ სისტემას, მასში მნიშვნელობათა ჩამოყალიბების დაუსრულებელ პროცესს.

ფოლკლორული შემოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჟანრულ კონტექსტს. ხალხური „ტექსტის“ ყოველი ახალი შესრულება ვარიანტია, ოღონდ ის ყოველთვის რჩება იმ ჩარჩოებში, რომელსაც მას შემოუსაზღვრავს ჟანრული, უფრო მეტი, კონკრეტული ნაწარმოების ინვარიანტი. „ფოლკლორული კონტექსტი შობს თავისივე მსგავს ტექსტს“ (С. Жукас, О соотношений фольклора и Литературы, _ фольклор: Поэтика и традиция, М; 1921, стр. 10).

სემიოლოგია იმასაც ითვალისწინებს, რომ ხალხური ნაწარმოების ნამდვილი შინაარსის გახსნა მხოლოდ „ტექსტზე“ დაყრდნობით უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია. ამ ტექსტების პარაგმატიკისა და სოციალური სემანტიკის რეკონსტრუირება შესაძლებელია მასთან მიმართებაში გარეგანი წყაროების საფუძველზე — აცხადებს ი. ლოტმანი და მოითხოვს ტრადიციული ხელოვნების შინაგანი სემანტიკური სტრუქტურის ღრმად შესწავლას, დადგენას მასში „მიმაღული“ ინფორმაციების წყაროებისა, რაც ტექსტს საშუალებას აძლევს გახდეს „მძლავრი რეგულატორი და მშენებელი ადამიანის პიროვნებისა და კულტურისა“ (Ю. М. Лотман, Каноническое искусство как информационный парадокс: _ Проблема канона в древнем и средне-вековом искусстве Азии и Африки, М, 1973, стр.18-22).

რასაკვირველია, ე.წ. „მეტატექსტური“ ელემენტების გათვალისწინება აღრმავებს ჩვენს ცოდნას ხალხური პოეტური სიტყვის, ენის გამომსახველობითი საშუალებების, როგორც სოციალურად დეტერმინირებული სისტემის, შესახებ.

ხალხური პოეტური სიტყვის, საერთოდ, ფოლკლორში შემოქმედებითი პროცესის თავისებურების გათვალისწინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კომუნიკაციური აქტის თვალსაზრისით განხილვას.

ფოლკლორი, როგორც კომუნიკაციურ-სემიოტური სისტემა, ლიტერატურისაგან განსხვავდება არა მარტო იმით, რომ აქ განსაკუთრებულ დატვირთვას



იძენს სხვადასხვა ფიზიკური სუბსტანცია (პლასტიკა, ჟესტ-მიმიკა, არტიკულაცია და სხვა), არამედ თავად კომუნიკაციის პრინციპით.

კომუნიკაციის თეორიაში შემუშავებული უნივერსალური სქემების, დინამიური სისტემების გამოყენება ფოლკლორული ნაწარმოების, როგორც ცოცხალი პროცესის, მრავალ ნიუანსს ჰყენს ნათელს. თუმცა თავად სამეტყველო ურთიერთობის კომპეტენტები ფოლკლორულ კომუნიკაციაში, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, საკმაოდ ორიგინალურ შინაარსს იძენს. მაგალითად, რ. იაკობსონმა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის შემოგვთავაზა უნივერსალური სქემა, სადაც მკაცრად არის გამოიყვანილი ადრესანტის (ინფორმაციის გამგზავნის) და ადრესატის (ინფორმაციის მიმღების) ფუნქციები (Р. Якобсон, Лингвистика и поэтика - Структурализм "За" и "против", М. 1975, стр. 189). ფოლკლორული კომუნიკაციის დროს კი ასეთი მკვეთრი გამოიყვანა აღნიშნული ფუნქციებისა ყოველთვის არ ხდება (მაგალითად, საფერხისო, გუნდურ ლექს-სიმღერებში). ზოგჯერ კი ადრესანტი და ადრესატი როლებსაც ცვლიან (შაირი, გაბაასება), ხანაც ადრესატი (მსმენელი) აქტიურად ერთვება შემოქმედებით აქტში და ამ დროს ოპოზიცია მათ შორის საერთოდ იშლება. ბუნებრივია, საკუთრივ „შეტყობინება“ (ნაწარმოები) ფოლკლორში სხვა სახეს ატარებს, ვიდრე ეს ლიტერატურაშია.

აღნიშნული გარემოება მეტ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ლიტერატურაში, ისე ფოლკლორში მხატვრული კომუნიკაციის პროცესის არსი მეტწილად რეალიზებულია სტილურ ზედაპირზე. თუ თავისებურებაში. ორიენტაცია ადრესატზე ერთგვარად ნაწარმოების სტილისტურ თავისებურებასაც განსაზღვრავს, რადგან, გარკვეული ფაქტების მიწოდებასთან ერთად, ავტორი (მთქმელი) მათი მიწოდების ზედაპირსა და საშუალებებსაც არჩევს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტრუქტურულ-სემიოლოგიური თვალსაზრისით კვლევა არ გამოირჩევა ისტორიზმის (დიაქრონულ) პრინციპს, რაც ეგზომ მნიშვნელოვანია ხალხური პოეტური სიტყვისათვის. ი. ლოტმანის თქმით: „არა მათემატიკა და ლინგვისტიკა ისტორიის ნაცვლად, არამედ მათემატიკა და ლინგვისტიკა ისტორიასთან ერთად-ასეთია სტრუქტურული კვლევის გზა, ასეთია ლიტერატურათმცოდნის მოკავშირეთა წრე“. (Ю. М. Лотман, Литературоведение должно быть "наукой" - "Вопросы Литературы" 1967, стр. 24).

ფოლკლორული ტექსტის აღწერაში სემიოლოგიური ასპექტის შეტანით ზერხდება, საკუთრივ სიტყვის გარდა, საშემსრულებლო აქტის შემადგენელი სხვა კომპონენტების, როგორც სემიოტური ნიშნების, განხილვა, საბოლოოდ ყველა ელემენტის სისტემატურ მთლიანობაში გააზრების პერსპექტივით. ეს უდაოდ არის აღნიშნული მეთოდის ღირსება, თუმცა თვით უნივერსალურ სემიოლოგიურ სქემებსა და სისტემებსაც არ ძალუძს თავის ჩარჩოში მოაქციოს ფოლკლორული აქტის, როგორც დინამიური, ცოცხალი პროცესის ყველა მახასიათებელი, საკუთრივ, სიტყვის მარადცვალებადი ესთეტიკური კორელატის ყველა ნიუანსი. ეს გარემოება კი მიუთითებს არა იმდენად თავად მეთოდის ნაკლოვანებაზე, რამდენადაც კვლევის ობიექტის სირთულეზე.

ხალხური პოეტური შემოქმედების პოლიელემენტურობის გათვალისწინებით, საყურადღებოდ გვეჩვენება მისი ე.წ. კომპლექსური მეთოდით კვლევა. განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ნაწარმოების ფილოლოგიური და მუსიკათმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების სინთეზის ხერხს. ეს მეთოდი, რომელმაც ფეხი მოიკიდა რუსულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში, განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ხალხური ლექსწყობის, საერთოდ, ტექსტის პოეტური და მუსიკალური შინაარსის შესწავლაში. ცნობილი ავტორების ი. ზემცოვსკის, ა. ბანინის, ვ. ეფიმიენკოვას ნაშრომები წარმოადგენს მელოდიისა და პოეტური სიტყვის სინთეზური კვლევის უდაოდ წარმატებულ ცდას. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ხალხური პოეტური ნაწარმოები პოეტური სიტყვისა და მელოდიის გარდა, ხშირად სხვა კომპონენტებსაც მოიცავს. და ისინი ამგვარი კვლევის დროსაც კი ყურადღების მიღმა რჩება. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული ელემენტები, მელოდიასთან ერთად, ხალხური პოეტური სიტყვის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ალბათ, წარმოსადგენადაც კი ძნელია ისეთი უნივერსალური მეთოდოლოგია, რომელიც ხელოვნების რამდენიმე დარგის ერთდროულ და თანაც თანაბარი დონით კვლევას განახორციელებს.

საზოგადოდ, შემოქმედებითი პროცესი სინთეზური მოვლენაა არა თუ ფოლკლორში, თვით ლიტერატურაშიც კი. მასში, გარდა ენობრივისა, მონაწილეობს მსოფლმხედველობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, აქსიოლოგიური, კონკრეტულ-ემოციური, პერმენენტული კომპონენტები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს კომპლექსურად, სინთეზურად-პოეტურად, პრაგმატიკის, კომუნიკაციის თეორიების, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლოგიის, ენის ფილოსოფიის, ესთეტიკის მიმართულებით. „ლიტერატურა, როგორც კვლევის საგანი, სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერების სინთეზური მიდგომის ობიექტად უნდა იქცეს და არა რომელიმე მათგანის მონოპოლიად, მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება შეფასდეს მხატვრული ენის მრავალმხრივი შემოქმედების შექანიზმი და საფუძველი. დადგინდეს, თუ როგორ იქცევა ენის მოქმედების თვითმიზნური პროცესი ესოდენ ღრმა კომუნიკაციის საფუძველად, სოციალურ აქტად“... (მ. კვაჭანტირაძე, *ლიტერატურის კვლევის მეთოდის და მეთოდოლოგიისათვის*, — „ლიტერატურა და ხელოვნება“ №1, თბ. 1957, გვ., 67).

თუკი აღნიშნული მიდგომა გამართლებულია ლიტერატურის, მისი მხატვრული ენის მიმართ, რომელიც როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, განტვირთულია „მინარევებისაგან“, გარეენობრივი ელემენტებისაგან, მით უმეტეს საჭიროებს ამას ფოლკლორი, როგორც პოლიელემენტური სისტემა, შემოქმედების სინთეზური დარგი.

ხალხური პოეტური სიტყვის კვლევის პროცესში წამოჭრილი მეთოდოლოგიური დილემიდან თავის დაღწევის ძიებაში თანდათანობით აქტუალური ხდება თვალსაზრისი, რომ უკვე დროა, ფოლკლორული ტექსტის ჩვეულებრივი ფიქსაციიდან, მისი წმინდა ხელოვნებათმცოდნეობითი (ლიტერატურათმცოდნეობითი) აღწერა — შესწავლიდან გადავიდეთ იმ ფოლკლორული აქტის,

საშემსრულებლო კონტექსტის ანალიზზე, სადაც აღნიშნული ტექსტი ფუნქციონირებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ხალხური ნაწარმოების (ხალხური პოეტური სიტყვის) მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების შედარებით სრულად წარმოჩენა. ამგვარი მიდგომის სისწორე, რაზეც ზემოთაც ვწერდით, ეჭვს არ იწვევს, თუმცა, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხური ხალხური პოეტური სიტყვის კვლევაში და არა საბოლოოდ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური სისტემა. საქმე იმაშია, რომ ფოლკლორულ შემოქმედებაში, როგორც მონოლითურ, მთლიან პროცესში, კარგად იკვეთება მისი ძირითადი ელემენტები, როგორც დამოუკიდებელი სემანტიკური, გამომსახველობით-ესთეტიკური ერთეულები (სისტემები). „ვინც კარგად დაჰკვირვებია ხალხურ შემოქმედებას, — წერს ჯ. ბარდაველიძე, — შეამჩნევდა, რომ იქ რამდენიმე სფერო-სიტყვიერი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და გამომსახველობითი — ავტონომიური ნიშნებითაა გამოყოფილი. მაშასადამე, ხალხური შემოქმედების დამოუკიდებელ დარგებად დაყოფა და შესწავლა-თვით მისი რეალური მდგომარეობითაა განსაზღვრული: ფოლკლორი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვიერი შემოქმედებაა და ფოლკლორისტიკის ამოცანაც, პირველ რიგში, სწორედ მისი შესწავლა უნდა იყოს“ (ჯ. ბარდაველიძე, *ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი ფოლკლორში, — ლიტერატურული ძიებანი*, I (XVI თბ), 1978, გვ., 467-469).

ამდენად, ფოლკლორის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ გავეცევიტ მასში „ხალხური პოეზიის“, „ხალხური სიმღერის“, „ხალხური ქორეოგრაფიის“ და ა.შ. როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგების, ცალკე ცალკე გამოყოფასა და შესწავლას.

ფოლკლორული აქტის მაკონსტრუირებელ ფაქტორად, „გარეგან ჩარჩოდ“ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს სიტყვა, მელოდია, პანტომიმა, პრაქტიკული მოქმედება. ფოლკლორული სიტყვის ხელოვნების თვალსაზრისით კი, უპირველეს ყოვლისა, ის ნაწარმოები უნდა იყოს საინტერესო, სადაც სიტყვის პოეტური, ესთეტიკური ფუნქცია დომინანტობს. უფრო მეტიც, თუკი ხელოვნების ნაწარმოებისადმი წაყენებული მკაცრი მოთხოვნით ვინელმძღვანელებთ, მხოლოდ ასეთი ნაწარმოები შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვის ხელოვნების ნიმუშად (ე. მაკარაძე, *სიტყვის ესთეტიკური ბუნებისათვის ფოლკლორში (ზოგად-თეორიული საკითხები) — საერთაშორისო კონფერენცია „საუნივერსიტეტო მეცნიერებანი ორი ათასწლეულის მიჯნაზე“*, მასალები, თბილისი-ბათუმი, 1997, გვ. 11-115).

ხალხური პოეტური სიტყვის კვლევისას ანგარიში უნდა გაეწიოს კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანეს გარემოებას. კერძოდ, ის, პოეტური სიტყვა, ზეპირი „დაბადებისა“ და გავრცელების პირმოა. აქ მხედველობაში მისაღებია, საკუთრივ, ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური თუ სხვა თავისებურებანი. მაგალითად, გრ. კიკნაძე მიუთითებს, რომ „ზეპირი მეტყველების დროს თავს იჩენს ის სიტყვები, რომლებიც მეტყველის განკარგულებაშია ამჟამად და დაუყოვნებლივ წარმოსატქმელად არის მზად. იგივე ითქმის თვით წინადადების გამართვის, მათი ურთიერთმიმართებისა და საზოგადოდ, ფრაზის კონსტრუქციის

შესახებ“. (გრ. *კიენადე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ. 1957*).

ჰერდერის მიერ ხალხური პოეტური შემოქმედება განიმარტება, როგორც „ხელოვნება სმენისათვის“, რომელიც ადამიანის სმენის შეგრძნებებზე შემოქმედების თავისებურ საშუალებებს ფლობს. ეს უმთავრესი საშუალება კი უძველეს ხანაში აღმოცენებული „მელოდიური ენაა“, რომელიც იმთავითვე იყო „მგრძნობიარე, მდიდარი თამამი სახეებით“. დიდი ნაწილი „ხალხური ფანტაზიის სახეებისა“, ჰერდერის თქმით, „სმენისა და ზეპირი თხრობის“ პირმშოა (ჰერდერის დასახელებული ნაშრომი გვ., 120,232).

ლექსთან მიმართებაში ზეპირი სამეტყველო აქტის მხატვრული ასპექტების შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვის ე.წ. „სმენით ფილოლოგიას“, რომელიც საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში. ამ მიმართულების, განსაკუთრებით, ედ. სივერსის სკოლის წარმომადგენელთა შრომებში გვხვდება არა ერთი ჩვენთვის საინტერესო დებულება, თუმცა მხედველობაში ვიღებთ იმასაც, რომ თვით სივერსიცა და მისი თანამოაზრეებიც ცალკეული საკითხების შეფასებაში ავლენენ ცალმხრივობასა და რადიკალიზმს. (Ed. Sivers, *Rhythmisch-melodische studien, Heidelberg, 1912*; , *metrische studien, A. S. C. W; 1901, Bd., 21*).

ზეპირი სამეტყველო აქტის კვლევის თვალსაზრისით დიდი გამოცდილება დააგროვეს სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ და მხატვრული კომუნიკაციის თანამედროვე თეორიებმა, მათი მიღწევების გათვალისწინება გვეხმარება ხალხური პოეტური სიტყვის, როგორც ზეპირი შემოქმედების ფაქტის, უკეთ შესწავლაში.

ამრიგად, შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი: ხალხური პოეტური სიტყვა, თავისი თავდაპირველი სახით, სრულყოფილი ესთეტიკური განსაზღვრულობით, არსებობს მხოლოდ ნაწარმოების ცოცხალი წესრულების დროს, უაღრესად დინამიურ, მარადცვალებად პროცესში. ამ პროცესის ყველა ნიუანსის „დაჭერა“ და თუნდაც ყველაზე უფრო უნივერსალურ ლოგიკურ სქემებში, ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელი თუ არა, ძნელად განსახორციელებელია. იქნება, ერთი შეხედვით, პარადოქსული ვითარება: ხალხური პოეტური სიტყვა, მისი საყოველთაოდ აღიარებული შაბლონურობის, სტანდარტულობის ფონზე, თითქოს, იოლად უნდა დაემორჩილოს კვლევის სამანიატულაციო მექანიზმებს. ამის ნაცვლად ვხედავთ საპირისპიროს — ვერ ჰგუობს, ძნელად ემორჩილება გარედან თავსმოხვეულ მეთოდოლოგიურ სქემებს.

აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის „ექსპერიმენტალური ფოლკლორისტიკა“ ხალხური ნაწარმოების წესრულების პროცესზე მრავალმხრივი, მრავალჯერადი დაკვირვებითა და ამ პროცესის რეალური გამოვლინებების დაფიქსირება-შეჯამებით ცდილობს; სემიოლოგია და მხატვრული კომუნიკაციის თეორია, თავის უნივერსალურ სქემებზე დაყრდნობით, მიზნად ისახავს შეაღწიოს ფოლკლორულ-საშემსრულებლო პროცესის სიღრმისეულ შრეებში, აქ ეძიოს, საკუთრივ, პოეტური სიტყვის თავისებურების გასაღები; კომპლექსური და სინთეზური კვლევის მეთოდოლოგია, ხალხური შემოქმედების პოლიელემენტურობის, სინთეზურობის გათვალისწინებით, პოეტურ სიტყვას



არასიტყვიერ ელემენტებთან მჭიდრო კავშირში განიხილავს; პოეტიკა ხალხურ პოეტურ სიტყვას ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების გამოყენებით აღწერს.

ხალხური პოეტური სიტყვის კვლევა არ შეიძლება იქცეს ერთი რომელიმე მეთოდოლოგიური პრინციპის, გნებავთ, დარგის, პრეროგატივად. მხოლოდ მიდგომათა მრავალმხრივობით, სინთეზური კვლევით არის შესაძლებელი მისი უაღრესად თვითმყოფადი ბუნების სათანადოდ წარმოჩენა.



იური ბიბილთშვილი

ალექსანდრე სამსონია - დრამატურგი



ალექსანდრე სამსონია დაიბადა ქ. ბათუმში 1933 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ქ. ბათუმში და აქტიურად ჩაება ჟურნალისტურ და სამწერლო-შემოქმედებით საქმიანობაში. წლების მანძილზე მუშაობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პასუხისმგებელ

მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორად; ამჟამად რედაქტორობს გაზეთ „აჭარას“.

ალექსანდრე სამსონიას მოთხრობის პირველი კრებული „იუმორისტული მოთხრობები“ გამოქვეყნდა 1959 წელს. შემდეგ მკითხველმა მიიღო „მზე, ზღვა და სიყვარული“, „პროვინციის მზე“, „წვიმიანი მზიანეთი“ „ორმოცწლიანთა კლუბი“, „წვიმაში დაწერილი მოთხრობები“, „მალვა ჩემო სიხარულო“, „მკითხველის გარდა არავინ მოკვდება“, „ორი ზაფხული და ერთი შემოდგომა“ და სხვა.

ალექსანდრე სამსონია ნაყოფიერად მუშაობს დრამატურგიაში. მისი პიესების მიხედვით ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლები „ჩემი შვილი სიმონი“, „ვაჩე ვაჩეშვილი და სხვები“, „წვიმიანი მზიანეთი“, „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების“, „ზღვა და სიყვარული“.

ალექსანდრე (ალი) სამსონია საკუთარი ხელწერით გამოირჩეული შემოქმედია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მისი ნაწარმოებების თემატიკა, პრობლემატიკა და სტილი მას გამოარჩევს როგორც ორიგინალურად მოაზროვნესა და მხატვარს. მწერლის ეს თვისებები მთლიანად დაამტკიცა დრომ.

ალი სამსონია ორი ეპოქის მიჯნაზე მოღვაწე შემოქმედია. მისი ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი დაიწერა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, მხატვრული აზროვნების დარგში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის პირობებში. მაგრამ ახლა, როცა ის ძველი იდეოლოგია და ის ძველი მეთოდი უკვე ისტორიის კუთვნილებას შეადგენს, გამომცემლობა „აჭარამ“ ისევ გამოსცა იმ წლებში დაწერილი მწერლის იუმორისტული მოთხრობების კრებული სათაურით „მკითხველის გარდა არავინ მოკვდება“ და ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჰეშმარიტად თვითმყოფადი შემოქმედებითი ნიჭი ნაკლებად ემორჩილება პოლიტიკურ კონიუნქტურას. პოლიტიკური კონიუნქტურები იცვლება, მაგრამ ცხოვრების მცოდნე მწერალი ხალხთან რჩება.

ცხოვრება რთული ფენომენია. იგი ათასი განზომილებით წარმოდგება ჩვენს წინაშე და თითოეულის ამოცნობა და განზოგადება შემოქმედების დიდი შრომას და ცოდნას მოითხოვს.

ალი სამსონიას გმირები ცხოვრების შვილები არიან. მართალია, ისინი



პროვინციაში ცხოვრობენ, მაგრამ ხასიათდებიან ზოგადადამიანური ღირსებანაკლოვანებით. ამდენად ჩვენ არ ვიზიარებთ სალიტერატურო კრიტიკაში *ფეხმოკიდებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ალი სამსონიას იუმორისტული მოთხრობების მთავარი თემა თითქოს პროვინციალიზმის კრიტიკა იყოს.* ჩვენი აზრით, ამ მოთხრობებში უფრო მაღალ მატერიებზე გამოთქვამს მწერალი თავის შეხედულებებს და არა მხოლოდ პროვინციულ შეზღუდვებზე. პროვინციალიზმი არ არის მხოლოდ პროვინციებში მცხოვრები ადამიანის ნაკლი. პროვინციალიზმის სენით შეიძლება დედაქალაქელიც ჰქარბად იყოს დამძიმებული. ცხადია, ეს არ ამართლებს პროვინციალიზმს და იგი უნდა ვამხილოთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მოთხრობა „ნესი“ ჩვეულებრივ ყოფილ დეტალებზეა აგებული. გარემოს დაცვის საზოგადოების უმცროსი ინსპექტორი ჯამლეთ ქამადაძე და მისი უფროსი ტარასი ჰაპანწყევტამდე ებრძვიან ქალაქში მოხეტიალე ძროხებს. უმცროსი ინსპექტორი იქამდე ერთგულია თავის მოვალეობისა, რომ ქალაქში ერთგვირიანი საგანგებო წესების შემოღებას მოითხოვს ძროხების მოსაგერიებლად. ამასთან, ამ წესების შემოღებას ცენტრიდან უფროსის ჩამოსვლას უკავშირებს, ცხადია საკუთარი დამსახურების გამოჩენისათვის, ჯამლეთი შეზღუდული თვალსაწიერით უყურებს ცხოვრებას და თავის მოვალეობას ცხოვრებაში. მწერალი ადამიანის ამ შეზღუდულობას ამხელს და იდეალად სახავს თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს, თავისუფალს ინსტრუქციებისა და ცირკულარების ტყვეობისაგან. ასეთი ადამიანის ხატს წარმოადგენს გერასიმე ღვამიჩავას სახე. ისიც გარემოს დაცვის საზოგადოებას ხელმძღვანელობს და ცენტრიდან ჩამოსული კაცი უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებს ინსტრუქციებიდან გამომდინარე, მაგრამ მწერალი მკითხველის ყურადღებას სწორედ თავისუფალი აზროვნების ადამიანურ ბუნებაზე ამახვილებს. მშვენიერია ადამიანი, როცა ის თავისუფლად აზროვნებს და შებოჭილი არ არის ინსტრუქციებით. ჯამლეთ ქამადაძის გასაოცრად გერასიმე ღვამიჩავამ, როცა იგი ახალი სიცოცხლის დაბადების მოწმე გახდა, ასეთი განკარგულება გასცა: „ნულარ აყოვნებთ, ახალშობილი დედასთან ერთად, პატრონს მიგვარეთ და თანაც მკაცრად გააფრთხილეთ, დღეის ამას იქით ქალაქში სასეირნოდ ნულარ გამოუშვებს, თორემ დაიჭერს ვიღაც არაკაცი და მწვადად შეაშიშინებს“... გერასიმე ღვამიჩავა სრული კაცია. მის ხასიათში თანაბარი ძალით არის წარმოდგენილი ჯანსაღი ემოციები და მოვალეობის შეგნებაც. ძროხას, რომელმაც ქალაქის ქუჩაში შობა ხბო, ასე მიაღერს: „ნახვამდის, აბა, ჩემო ნესი! ძალიან გამახარე ამ დილით, მაგრამ ქალაქში სიარულს მაინც არ გირჩევ“.

მოთხრობაში „ჩვენ ნიჭიერები ვართ“, ირონიულად ჟღერადი სათაურიდან დაწყებული ნაწარმოების ყოველი პასაჟი დაუნდობლად ებრძვის უზნეობას ცხოვრებაში, რაც მოცემულ შემთხვევაში ისყალბესა და ტყუილის თქმაში გლინდება. ტყუილის დეკლამაცია იყო წესი იმ ცხოვრებისა, რომელზეც ხალხმა აიღო ხელი. ეს მოთხრობა დაწერილი და გამოქვეყნებულია სწორედ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მწერალი ღირსეულად იდგა თავის მოქალაქეობრივ პოზიციაზე და ახლა ვხედავთ, რომ სიმართლის კარნახით დაწერილი ნაწარმოები განაგრძობს სიცოცხლეს სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქაშიც.

ცხოვრების ცოდნის აუცილებლობაზე ამახვილებს მწერალი მკითხველის ყურადღებას მოთხრობაში „ბარნაბას მამალი“. შეიძლება ადამიანი ბუნებით უზვად იყოს დაჯილდოებული ნიჭითა და ძალით, მაგრამ თუ მას ასე უზვად არ გააჩნია ცხოვრების ალღო, გაუჭირდება ცხოვრება. ეს იდეა, ასე მარტივად არის გადმოცემული მოთხრობაში: სახლმართველი დაკბინა ბარნაბას მამალმა და სახლმმართველმა იგი დააკლევინა პატრონს. გავიდა ხანი და აგრესიული მამლის შვილი კიდევ უფრო აგრესიული ხასიათისა აღმოჩნდა, მაგრამ სახლმმართველს არ კბენდა.

მოთხრობა „სამი თერძი“, შურისა და ჯიბრის მავნეობას ასახავს და ისიც ცხოვრებას ასწავლის მკითხველს. მოშულარ თერძებს შორის შურსა და დავას შეეწირა ქალაქის ცეკვის ანსამბლი.

„სკოლის გახსენება“ ჰქვია მოთხრობას, რომელშიც მოსწავლის, როგორც ადამიანის ღირსებაზეა ლაპარაკი, ჩვენი აღსაზრდელები უფრო საინტერესოა არიან, ვიდრე ჩვენ გვაქვს მათზე წარმოდგენა. ადამიანისადმი ნდობის ჰუმანისტური იდეას შთააგონებს მკითხველს ეს მცირე მოცულობის ნაწარმოები.

ფრთიან ფრაზად იქცა დოსტოევსკის გამოთქმა „სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას“. მწერალი ალექსანდრე სამსონია სხვა ასპექტით წარმოგვიდგენს სილამაზის ძალას და მოთხრობაში „ციური“, ნაჩვენებია თუ როგორ გარდაქმნის ადამიანებს სილამაზე.

ადამიანში ადამიანურის გადარჩენის, ადამიანის ზნეობრივი სამყაროს გამდიდრების სულისკვეთება აერთიანებთ მოთხრობებს: „შაბათი, კვირა, ორშაბათი და სამშაბათი“, „შალვა, ჩემო სიხარულო“, ვაჩე ვაჩეიშვილის ცხოვრების წესი ემყარება პრინციპებს „მარტო შენთვის ცხოვრება არ შეიძლება“. „შენს გვერდით რომ უსამართლობა ზდება, იმაში უნდა ჩაერიო. ვაჩე კრიტიკული თვალთა უყურებს ცხოვრებას და ამხელს ადამიანთა შორის ურთიერთობებში დამკვიდრებულ მანკიერებებს. მართალია, ამის გამო ვაჩე პირადად უფრო ბედნიერ კაცად არ იქცევა, მაგრამ ადამიანებზე ახდენს გამაკეთილშობილებელ ზეგავლენას. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ვაჩეს დაკარგვის ეპიზოდი და ამის გამო გულახდილი საუბარი და აღსარება ვაჩეს გარშემო მყოფი ადამიანებისა.

უზნეობის დაგმობის სულისკვეთებას შთააგონებს მკითხველს მოთხრობა „შალვა, ჩემო სიხარულო“. შალვა დარწმუნებულია რომ ადამიანებთან მუშაობაში „შიში უნდა გამოირიცხოს“, „შიში უნდა გქონდესო... მე რა, საფრთხივარ ვარ? ცდებით, მანუჩარ პეტროვიჩი, „შიში კი არა, ურთიერთპატივისცემა უნდა გქონდეს, ერთმანეთი უნდა გვეყვარდეს, სხვანაირად არ შეიძლება, ჰუმანურობა და სიკეთე ჩვენი საქმიანობის დევიზი უნდა იყოს. „შიში არ გამაგონოთ, ჩვენს შორის მხოლოდ ნდობა და ურთიერთპატივისცემა უნდა სუფევდეს. „შიშით შექმნილი სიყვარული მე არ მწამს“. მაგრამ ცხოვრება უფრო რთულია. საზოგადოებამ არ დაუჭირა მხარი ამ ჰუმანურ პრინციპებს და შალვა ცისკარიძეს რწმენა მოუკლა.

როგორია მწერლის პოზიცია? მწერლის პოზიცია ნათელია, მისი შეხედულებებით დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრებისათვის საზოგადოება უნდა მოეშადოს. სანამ საზოგადოებას არ შეუძლია დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრება, მისთვის დემოკრატიზმის მოხვევა თავზე დამლუპველი შედეგებით

დამთავრდება.

საზოგადოების, ქვეყნის მართვა რთული და ძნელი მეცნიერებაა, შემთხვევით არ უნდა წარმოშობილიყო ანტიკურ საბერძნეთში პლატონის თეორია ადამიანთა საზოგადოების სამ ფენად დაყოფის შესახებ. პლატონის თეორიით, სახელმწიფო უნდა მართონ ფილოსოფოსებმა. სახელმწიფო უნდა დაიცვან მემორებმა. მხოლოდ ორივე ეს ფენა უნდა აირჩიოს მწარმოებელმა ფენამ საზოგადოებისა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ერთობ გამარტივდა ჩვენი წარმოდგენა ქვეყნის მართვაზე. როცა მეჩაიეს და მწველელს ვირჩევდით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში და მმართველი პარტიის ხელმძღვანელ ინსტანციებში.

ამ პრობლემებზე ფიქრი შეგვიპყრობს, როცა ვკითხულობთ ალექსანდრე სამსონიას მოთხრობას „ფეხბურთი თავით უნდა ითამაშო“. ჩვენი აზრით, მოთხრობის ეს სათაური არის მეტაფორა, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა უნდა მართონ პროფესიონალმა და ბრძენმა მმართველებმა. გერმანე არჩევანიძე ფილოსოფიური განათლებით არის გატაცებული. მეტსახელად „ფილოსოფოსე“-ს ეძახიან მეგობრები. კრიტიკულ მომენტში ჩაუდგა ის სათავეში რაიონის ფეხბურთელთა გუნდს და პირველი, რაც არსებითი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ფეხბურთელებისათვის, იყო ზნეობრივ პოზიციებზე დადგომა, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ „დღეის შემდეგ გატანება-გამოტანებაზე ლაპარაკი არ გავიგონო!... შეგიძლიათ ეს სიტყვები ბრძანებად ჩათვალოთ... ჩვენ ნამდვილი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ხალხს რომ უყვარს ისეთი, ვაჟკაციური, პირდაპირი და არა ბაზრული და ჩარჩვაჭრული. პატიოსნების გარეშე მიზანს ვერასოდეს მიაღწევ... ვიცი, ახლა რასაც მეტყვით, მიზანს ფულით აღწევნო... ზოგიერთები სინდისსაც ჰყდიან, მაგრამ სინდისგაყიდული ჩვენ არც ხალხი გვინდა და არც ფეხბურთი“. ასეთ პრინციპებზე დგომა გმირობის ტოლფასი იყო გუნდელებისათვის, მაგრამ მაინც შეძლეს ამ სიმაღლის დაპყრობა და როცა მოსყიდულმა მსაჯმა პენალტი დაინიშნა „სიხარულიდის სასარგებლოდ, მოთამაშემ პრინციპულად უარყო იგი. „პენალტი არ არის, ჩემით წავიქეციო“. გუნდმა არ ისარგებლა უკანონო პენალტით და შეგნებულად დააცილა ბურთი მოწინააღმდეგის კარს. სამაგიეროდ, ყველა გასვლითი მატჩი მოიგო საკუთარ ძალასა და პატიოსნებაში დარწმუნებულმა გუნდმა.

მხატვრული სამყარო, რომელსაც მწერალ ალექსანდრე სამსონიას მოთხრობების პერსონაჟები წარმოგვიდგენენ, აღბეჭდილია ცხოვრებისეული სიმართლით და სასიცოცხლო ძალას ანიჭებს მწერლის ნააზრევს. მოქმედი პირები ჩვენი თანამედროვე, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათი ცხოვრება აღსავსეა როგორც ყოველდღიური მელიოდრამული წვრილმანებით, ისე ფართო ჟღერადობის მოვლენებით.

მიუხედავად ამისა, როგორც ყოველი თვითმყოფადი მხატვრული სამყარო, თავისებურია ა. სამსონიას მხატვრული სახეებიც. ამ თავისებურებას ძირითად განსაზღვრავს დრო, რომელშიც ხდება აღწერილი ამბები და მერე სტილი. მწერლის მახვილი მიმართულია კუთხურობის, პროვინციალიზმის, ჩამორჩენილობის, შეზღუდულობის, კარიერაზმის, ინერტულობის, უპრინციპობის, დაუდევრობის, დრომოჭმული ტრადიციების, აღზრდაში დაშვებული შეცდომებისა და მათგან

გამომდინარე შედეგების წინააღმდეგ.

ამ მოვლენისადმი შეურიგებელ სულისკვეთებას განსაზღვრავს ალბათ ის, რომ თითქმის არც ერთ ნაწარმოებში ფაქტობრივად არ არის პერსონალიზირებული იდეალური გმირი, ამა თუ იმ მოთხრობის პირველი პერსონაჟებიდანვე ეუფლება მკითხველს მწერლის სულისკვეთება, რომელსაც ჰუმანიზმი ამშვენებს. მწერალს ღრმად სწამს, რომ ბრძოლა ადამიანში ადამიანურის გადარჩენისათვის წარმატებით დაგვირგვინდება.

ზნეობრიობის დევალაციის სერიოზულ საფრთხედ მოთხრობის „წვიმიანი მზიანეთის“, „პროვინციის მზე“, „კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა“ და სხვათა ავტორი თვლის პროვინციალიზმს. პროვინციელი გაურბის სიახლეს, დაკარგული აქვს ჯანსაღი განსჯის უნარი, ჩასჭიდებია დრომოჭმულსა და გარდასულს, ჩაძირულია მესჩანობაში, მესჩანობის სენი კი ფეხს იკიდებს არა მხოლოდ პროვინციაში, არამედ დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებშიც...

ავტორი მოგვიწოდებს, თუ დროზე არ მივხედავთ ყოველივე უცხოურით გატაცებულ ახალგაზრდებს, შემდეგ გვიანდა იქნება. აღზრდაში დაყოვნება, შეცდომების შედეგების გამოსწორება ათასჯერ უფრო ძნელია, ვიდრე საწარმოო საკონვეინერო ხაზზე.

მსუსხავი იუმორია მოთხრობებში „ზღვა, მზე და სიყვარული“, „ჩემი შვილი სიმონი“. მწერალი გვიჩვენებს, რომ შვილების მორჯულებაში ერთნაირად უსუსურნი არიან რიგითი კოლმეურნე სევასტი კაკაბაძე და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი ხიდაშელი, როცა ზერელედ ეკიდებიან ესოდენ მძიმე ტვირთს. საერთოდ არ ძალუძთ წარმართონ მემკვიდრეთა ფორმირების პროცესი.

ადამიანის ზნეობრივი ამაღლების იდეით არის შთაგონებული მოთხრობები „სტუმარმასპინძელი“, „კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა“. ა. სამსონია ამხილებს ოდესღაც ჯანსაღი ტრადიციების—თანაგრძნობის, სტუმართმასპინძლობის დამახინჯების ფაქტებს. პერსონაჟებს, კისრისმოტეხამდე ღვინის სმა რომ გაუხდიათ გულითადი მასპინძლობის საზომად. მართალია თორნიკეს ოჯახში წიგნებით სავეს კარადაც დგას, მაგრამ წიგნში ერთხელაც არ ჩაიხედავს და არც სხვას სთავაზობს წასაკითხად, იძენს იმიტომ, რომ ლამაზია და სხვა ვერ შოულობს. მხოლოდ გარეგნული გაფორმებით აფასებს მათ, ამბობს, ფერიც უცხო აქვს, წითელის გვერდით უხდება დადებია.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციაში ანტიზნეობრივი ტენდენციების მოძალემა მკაცრადია ამხილებული მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა“. იგი ტრაგედიიაა ადამიან-წესების გაუკუღმართების საფუძველზე გააზრებული პერსონაჟისა. იმიტომ გულისწყრომით ამბობს კიდევაც: „სუფრაზე გაიღეშეო და ოჯახი დააქეო, მაგას უმახი შენ ტრადიციას? ტრადიციები, იცოცხლე, შესანიშნავი გვაქვს, მაგრამ აუკუღმართებს ზოგიერთი და თავს გვჭირს... იცი შენ წინათ ჩვენში ლოთი კაცი ისევე სამარცხვინო იყო, როგორც ქურდი და ავაზაკი“.

ამ მოთხრობის მოტივების მიხედვით დაიდგა სპექტაკლი „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების“, რომელსაც მაყურებლის მოწონება ხვდა. მასში აღძრული საკითხები ახლა მთელი სივრცე სიგანით დადგა დღის წესრიგში და ამდენად, მიზანშეწონილია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა



ალადგინოს წარმოდგენა, ალკოჰოლიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ რომაა მიმართული.

პრობლემატურობით გამოირჩევა „მზე, ზღვა და სიყვარული“, „სტუდენტობა და სიყვარული“, „ჩემი შვილი სიმონი“, „ორმოცწლიანთა კლუბი“, აქ ერთმანეთს ერწყმის სკოლის, ოჯახის, საზოგადოების პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მოქალაქის ფორმირებაში, მაგრამ ჩვენი აზრით მათ შორის უმთავრესი თვითდამკვიდრების სიძნელეების ჩვენებაა, ეს პროცესი ადვილად არავის გადაუწყვეტია. ვერც ამ ნაწარმოებთა მოქმედი პირები ირჩევენ ყოველთვის სწორ ორიენტაციას. სწორედ ამის წარმოჩენაა მწერლის დამსახურება.

პატიოსნება დიდი ძალაა, ზნეობრივი ცხოვრება გუნდის ძლიერების წყაროდ მიიჩნეის ფეხბურთელებმა.

ალექსანდრე სამსონიას მოთხრობები ცხოვრების მრავალ ასპექტზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. მათ შორის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პროვინციალიზმის მხილება.

პროვინციალიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ჩამორჩენილობას, ინტერესის შეზღუდულობას, რაც დამახასიათებელი იყო პროვინციის კულტურული ცენტრიდან დაშორებული ადგილის მცხოვრებთათვის. დღეს ამ ტერმინმა დაკარგა გეოგრაფიული მნიშვნელობა და პროვინციალიზმის გამოვლინებები შეიძლება ჰპარბად შევნიშნოთ არა მხოლოდ განაპირა მხარეს, არამედ დედაქალაქში მცხოვრებთა ცხოვრების წესში, აზროვნებაში, ურთიერთობებში. პროვინციალიზმის გამოვლენად მიგვაჩნია წიგნისადმი ასეთი დამოკიდებულება.

— კარგი მწერალია.

— აბა, აბა, — დემოწმა თორნიკე — კარგი რომ არ იყოს, არც დაწყვეტდნენ ერთმანეთს მაგის შოვნაში. ფერიც კარგი აქვს, წითლის გვერდით უხდება დადება“.

პროვინციალიზმის ტიპური სურათებია დახატული მოთხრობაში „სტუმარმასპინძლობა“. მისი პერსონაჟები წიგნებს კი ყიდულობენ, მაგრამ წიგნებს არ კითხულობენ და თავიანთ მოსაზრებებს ყურმოკრულ ამბებზე აგებენ. ამასთან არატრადიციული, არაქართული წარმოდგენა აქვთ სუფრასთან გართობის ცივილიზებულ ფორმაზე და ნებისთ თუ უნებლიეთ ლუარსაბ თათქარიძის სულიერ მემკვიდრებად რჩებიან მხოლოდ. ეს იდეა ლაკონურად და დეტალების სიმართლით ასეა გადმოცემული ერთ ეპიზოდში — „სტუმარმასპინძლობის საკითხი, რთული საკითხია, — ფილოსოფიაში გადაიჭრა აბესალომი — ალუდამ, მაგალითად, სტუმარს მკლავი არ მოჭრა“.

— რატომ მერე? — დაინტერესდა თორნიკე.

— რატომ და თავი მომეჭრებო.

— თავი არ ვიცი და ისეთ სტუმარს, ღვინის სმის მაგიერ ლაპარაკი რომ დაიწყეს სუფრაზე, ენა კი უნდა მოჭრა ძირში“.

პროვინციელის ყალბი თავმოწონება ჩანს პერსონაჟის ამ ქადილში: „ქელვანში კიარა, მოყვანის ქორწილში თამადად რომ ვიყავი და ყავარზე გაწყობილი რვა ჭიქა დავცალე ზედიზედ, მაშინ არ მომრევია ღვინო, ზოგჯერ ღვინოც წამალა“.

პროვინციელის ინტერესთა შეზღუდულობას ავლენს პერსონაჟის მიერ ერთი რომელიმე მოვლენის, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის „დინამოს“ აკვიატება და

ყველაფრისათვის ერთგვარ საზომად მისი მიჩნევა. „მოადგილის მხარდაჭერით გახარებული ყარამანოვიჩი თავს თერთმეტმეტრიანის მომგერიებელ მეკარესავით გრძნობს, მზად იყო მეორე პენალტი აეღო: („შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი“). თითოეული ლექცია ორი ტაიმი — ორმოცდახუთ-ორმოცდახუთი წუთი („სტუდენტობა და სიყვარული“).

„პირველი თოვლის სიხარულს თბილისში ფეხბურთის სეზონის გახსნა თუ შეედრება (იქვე) რაც უნდა სადარდებელი გქონდეს, მარტო ფეხბურთის სეზონი მოგიყვანს ხასიათზე. (იქვე) „იმ მომენტში კუბოს და სიკვდილზე კი არა, თბილისის „დინამო“ წელს ჩემპიონი თუ გახდებაო, იმაზე ფიქრობდა („შალვა ჩემო სიხარულო“).

ალექსანდრე სამსონიას წერის სტილი მდიდარია ნიუანსებით. პირველ რიგში ეს სტილი შერჩეულია მოთხრობების სატირული ჟანრის თავისებურებების გათვალისწინებით. სატირა ვერ იტანს აკადემიზმს. სატირა ლაღი, ხალხურთან მიხლოებული და თავისუფალი წერის მანერას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოდ გვესახება ფრაზის აგება კონტრასტების ხერხით: „შესავალი რომ არ დამეწერა, გამოსავალი არ მქონდა“. „სკოლა რომ დავამთავრე, თავმჯდომარემ მოთხრა, ისევ ნათელას უნდა მიბაძო და სოფელში დარჩე სამუშაოდო. მე თავმჯდომარის შვილს მივბაძე და უმაღლესში მოვეწყვე“. ჩვენს ჯინზე ერთხელ არ გამხდარა ავად. სამაგიეროდ ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ჩვენი კლასი ხდებოდა ცუდად. „ბრაზით თქვენ დაიწვებით, ასეთს კი ცეცხლი არ მოეკიდება“, „გლოვობდა საქათმეთი, ზეიმობდა ჩვენი ეზო“.

მხატვრული ექსპრესიის მიღწევის მიზნით მწერალი წარმატებით იყენებს კონტრასტისა და ტაგტოლოგიის შერთების ხერხს. მხედველობაში გვაქვს სიტყვის გამეორება და კონტრასტული ფორმების გამოყენება დიალოგში.

— გისმენთ ბატონო — შეახსენა ჯამლეთმა.

— მოსმენა კი არა, დანახვაა საჭირო.

— სახე ხომ არ გაგეჭრათ? — ჰკითხა შეშინებულმა ცოლმა.

— გული გამეჭრა, — მიუგო მწვრთნელმა.

— აბა, იმედი მქონდეს?

— იმედი კი არა, წიგნი გექნებათ“

— დამეკარგე აქედან! — დაიღრიალა მან...

— ჩვენი დაკარგვა არ შეიძლება, გერმანე ბატონო, სადარდებლად ისიც გვეყოფა, ქულები რომ დავკარგეთ! — შემახსენა ზურაბ რაჭველიშვილმა“.

მხატვრული ეფექტის გამოწვევის იშვიათი ძალით გამოირჩევა ალექსანდრე სამსონიას მიერ დამუშავებული შედარება. ეს შედარებებიც, როგორც გამოსახვის მხატვრული ხერხი, მიმდინარეობს სატირული ჟანრის თავისებურებიდან, შესადარებლად აღებულია ყოველთვის კარგად ცნობილი საგნები, მაგრამ აუცილებლად ირონიული შეფერილობით:

„მართალია, ზოგიერთი მის პროგნოზს ფეხბურთის გულშემატკივრის ოცნებასავით ახდენა არ ეწერა“. „ბუჩქივით სქელი ულვაშები ჰქონდა, ვაზით რომ ღვინოს დაღვედა, გასამშრალებლად ერთი ცხვირსახოცი არ ჰყოფნიდა“.

„ტაქსის მძღოლივით შორიდან მოუარა“.



კარგად მოფიქრებულ და რეალისტურ სიტუაციებზე აგებული ნაწარმოების ერთი საუკეთესო მაგალითია. ალექსანდრე სამსონია დიალოგის ოსტატია. მის ნაწარმოებებში დიალოგი, უმეტეს წილად, პოლარულ განწყობილებაზე აგებული და მკითხველში მოქმედების დრამატიზების მოლოდინს აღძრავს. აი ერთი ნიმუში:

- „— გააღე კარები — ულტიმატუმს გვიყენებს ვილაც გარედან.
- ვინ არის? — ეკითხება ნოდარი.
- სტუდენტთა ქალაქის კომენდატი — ისმის ოფიციალური ხმა.
- რა მოგაქვს?
- გიჩვენებთ, რაც მომაქვს. კარი გამიღეთ, თქვენ ციგნებო!“

მწერალი ხშირად მიმათავს „სიტყვაზე თამაშს“ და წარმატებულადაც. მის ფრაზებში „სიტყვაზე თამაშის“ ხერხის გამოყენებით ბუნებრივად წარმოიქმნება ორაზროვნობისა და სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოწვეული ლაღი განწყობილება“. სპორტკომიტეტის უფროსს სახეზე გაკვირვება რომ შეატყო, აუხსნა— კინო და ფეხბურთი ორივე ხელოვნებაა და ფიქრი ნუ გაქვთ, სირცხვილს არ გაქმევთო. მართლაც სულ პურმარილებს აჰმევდა, სირცხვილს მხოლოდ ფეხბურთელები ჰმადნენ. „მელოტი კია, მაგრამ ჰკუთხევიტ ბევრ ქოჩორა კაცს ჯიბეში ჩაისვაშო“.

- „—მე მგონი ორივე ფორმაში ვართ! — განაცხადა მან.
- გერმანემ თავი დაუქნია.
- ფორმა კი გაცვიათ, მაგრამ“.

ალექსანდრე სამსონიას მხატვრული ხედვის კიდევ ერთ თავისებურებაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. მწერალი ხატავს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამასთან ხატავს სადად და ძალდაუტანებლად, რაც მიმართულია მკითხველში განწყობილების წარმოსაქმნელად: „იაქეს რომ ეხვეწებოდა, დღეში დაკრეპდა კბილებს“. გადააგდეთ ცხვირსახოცი დაბლა და თქვენც გადაყევით. ამას ჰქვია „ბაღდადური“. „სამჯერ თავით მოსინჯა (მთვრალმა — ი.ბ). კედლის სიმაგრე“. „შოკში ჩავარდნილი ჩხარაგაუვლელი ფეხბურთელები მთვრალი ინდაურებივით დაბორიალობდნენ მოედანზე და მოწინააღმდეგის ნაცვლად ერთმანეთს უშლიდნენ ხელს“.

პერსონაჟის განწყობილების დასურათებატების საინტერესო დეტალს მიაგნო მწერალმა ამ სურათში: „დიდად პატივცემულო, ღვაწმოსილო და ამაგდარო მწერალო“... სულმოუთქმელად გავრეკე. დედაჩემმა თვალები გააღო და შიგ სისხარული ჩაუდგა. მაშაჩემმა ცხვირსახოცი მეზობლის ჯიბეში ჩადო“.

დროსთან ჭიდილში გაიმარჯვა ნიჰმა. ალექსანდრე სამსონიას მოთხრობები განაგრძნობენ სიცოცხლეს.

ალექსანდრე სამსონიას შემოქმედება გამორჩეულია მხატვრული თავისთავადობით, მწერალმა დაიმკვიდრა საკუთარი ხელწერა, საკუთარი მხატვრული სტილი. მისი ნაწარმოებები იცნობა ავტორზე მითითების გარეშეც. მათში ჩვენი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული პრობლემები პოულობს ასახვას, მიუხედავად ამისა — ეს სურათები ხასიათდება მიმზიდველობით. მწერალი მიმართავს მსუბუქ იუმორს, ზოგჯერ ჭარბადაც, მაგრამ ყოველთვის იმ მიზნით,

რომ მკითხველმა ბოლომდე შეინარჩუნოს პერსპექტივის შეგრძნება.

ისტორიული პერსპექტივის დანახვის სულისკვეთებით არის გამოთვლილი ვრცელი ავტობიოგრაფიული შინაარსის მოთხრობა „დრამატურგების ქალაქი“. მწერალი გვიხატავს მოქმედების ბედს ტოტალური იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში. ამ იდეოლოგიის მოწვევებითი დემოკრატიულობის ფონზე *შეიქმედეს დრამატურგიად წართმეველი აქვს თავისუფლება*. მან უნდა შექმნას ის, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს ეთანხმება და ესმინება, თუნდაც ეს მტკნარი სიცრუე იყოს. ნაწარმოებებში დროის ეს მკაცრი განაწილი კარგად არის გამოხატული დამწყები დრამატურგის პირველი ცდების მაგალითზე.

დამწყები დრამატურგის პირველი ცდების წარუმატებლობას, უფრო სწორად წინააღმდეგობას შემოქმედის ესთეტიკურ მრწამსსა და პოლიტიკურ სინამდვილეს შორის, მწერალი, როგორც წესი, წმინდა ადამიანური ურთიერთობების ფონზე გვიხატავს.

პირველ რიგში წინა პლანზე წამოწეული თვით შემოქმედის ახალგაზრდული ასაკის თავისებურებანი „ო, ტკბილმწარედ მოსაგონარო ახალგაზრდობის წლებო. ერთი უკიდურესობაში როგორ გადაადგებ ხოლმე ყმაწვილი კაცის მიმდობ გონებას, რა ფიქრსა და სადარდეზელს გაუჩენ მას! სულ რამდენიმე წუთის წინ სამსონი თუ უზომოდ გახარებული იყო, ჯერ რომ არ დაწერილა, იმისთანა პიესას დაწერ, მთელ ქალაქს ავლაპარაკებო, ასევე რამდენიმე წუთის შემდეგ ენით აღწერელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო: „იმისთანა უნიჭო ხარ, პიესას კი არა, შეყვარებულისათვის წერილის დაწერაც კი არ შეგიძლია“.

მაგრამ ყურადღების ცენტრში მაინც ის წინააღმდეგობაა დასმული, რომელიც მწერლის ესთეტიკურ იდეალსა და ქვეყანაში გაბატონებულ პოლიტიკურ რეჟიმს შორის არსებობს. დამწყებმა დრამატურგმა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „გოგია უიშვილის“ ინსცენირება გადაწყვიტა. ოფიციალური იდეოლოგია მოითხოვს, რომ რევოლუციამდელი ხანის ცხოვრებიდან სცენაზე აუცილებლად მშვიდ-მწყურვალე ხალხი უნდა გამოვიყვანოთ და დღევანდელ თაობას იმ ბნელი წარსულის უტყუარი სურათი დავანახოთ. დამწყებმა დრამატურგმა კი ყურადღება გაამახვილა არა სოციალურ, არამედ ეთიკურ პრობლემაზე — გოგია უიშვილმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და მოიკლა თავი. მაგრამ ქალაქის გამოჩენილმა დრამატურგმა, რომელიც ოფიციალური იდეოლოგიის მოთხოვნებით აფასებს ნაწარმოების აქტუალობასა და ღირებულებას, დაიწუნა დამწყები დრამატურგის პირველი ცდა. ეს ეპიზოდი ასეა გადმოცემული მოთხრობაში:

„— თოფს მერე სად იშვიდა? — დაინტერესდა ვოლდემარი.

— მოთხრობაში წერია, სიმამრმა ათხოვაო, — აუხსნა სამსონმა და განაგრძო,

— „ამასობაში კალანდა თენდებოდა. ხაჭაპურები ცხვებოდა, მსუქანი ღორი და ქათმები უნდა დაეკლათ“.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ვოლდემარ შარაშიძეს გუნება ერთბაშად შეეცვალა, ანერვიანებულმა სტუმარს ხელი მოჰკიდა და კითხვა შეაწყვეტინა.

— ჩემო კეთილო, ინსცენირება ინსცენირებაა, მაგრამ ამდენი ფანტაზია მაინც არ შეიძლება!

— რა ფანტაზია? — დაიბნა სამსონ ალაფიძე.

— აი, ის ხაჭაპურებო... მსუქანი ღორიო, ქათმები!.. საიდან გამოგინდა?

— მე არაფერი გამომიგონებია, მოთხრობაში ზუსტად ასე წერია.

ახლა ვოლდემარის გაცემის ჯერი დადგა.

— ნუთუ გაჭირვებულ კაცს საკალანდოდ ამდენი ხორაგი ჰქონდა?

— ეს კიდევ არაფერი, ბატონო ვოლდემარ... ეგზეკუციის შემდეგ მარინემ, თურმე, „ქათმები გაბურტყლა, სამიოდე ხაჭაპური გამოაცხო, წმინდა თაფლის სანთელი ჩამოქნა, ერთი დოქი ადესის ღვინო ამოიღო ჭურიდან“.

— კაი, კაცო, არ გადამრიო...

— მე, ბატონო, არაფერი გამომიგონებია, ეგნატე ნინოშვილს უწერია ასე და რა უნდა მექნა?.. ისე, არც მარტო სასმელ-საჭმელია გადამწყვეტი.

— სწორედ, რომ გადამწყვეტია. ბახისი განსაზღვრავს ზედნაშენს — მკაფიოდ ჩამოაყალიბა ვოლდემარმა ცნობილი დებულება, შემდეგ ერთხანს იყუჩა და დაუმბატა — ესე იგი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ყველაფერი კუჭიდან იწყება.

სამსონ ალავიძე ამ განმარტებას არ დაეთანხმა.

— გოგია უიშვილმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და იმიტომ გამოუშალა თოფს ფეხი.

— როდის იყო ბიჭო, გამძლარი კაცი თავს იკლავდა?

დარწმუნებული ვართ ვოლდემარის ამ გაკვირებაში სრულად მუდავნდება შეზღუდულობა რეჟიმისა, რომელიც უგულებელყოფს პიროვნების ღირსების პატივისცემას და ყველაფერს მხოლოდ „კუჭის ფილოსოფიით“ აფასებს.

მაგრამ იმ რეჟიმის პირობებშიც ვოლდემარის გვერდით იყვნენ პატიოსანი და მოაზროვნე ადამიანებიც, რომლებიც ერთგულად დარაჯობდნენ შემოქმედის თავისუფლების პრინციპების დაცვას. ნაწარმოებშიც ეს იდეა ვრცლად და დამაჯერებლად არის გადმოცემული იმავე დამწყები დრამატურგის მაგალითზე. ქალაქში, რომელშიც დამწყები დრამატურგი ცხოვრობს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის ხელმძღვანელი გიორგი ქეცბაია ხალხის მტერი და იმპერიალისტების აგენტია. სკოლაში, სადაც სამსონ ალავიძე სწავლობს, ჩატარდა მამხილებელი კრება და გააცნეს ე.წ. „დახურული წერილი“, რომელშიც აღნიშნულია: „ხალხის მტერმა ქეცბაიამ აღიარა, რომ ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს გადიოდა ზღვისპირა პარკში და მთავარი ხეივანის ბოლოს, კატარღების მისადგომებთან ხვდებოდა ერთ-ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს წყალქვეშა ნავს, რომელსაც გადასცემდა საიდუმლო ცნობებს ქალაქის სამრეწველო პოტენციალისა და სამხედრო ობიექტების განლაგების შესახებ“. მოსახლეობაში კი სხვა წარმოდგენა აქვთ გიორგი ქეცბაიას პიროვნებაზე. „ხუთი წელი ქალაქის თავი იყო და არავის ეჭვი არ შეპარვია მის პატიოსნებაში“ — თავისთვის ჩაილაპარაკა კრების მონაწილე ბიოლოგიის მასწავლებელმა, მაგრამ იდეოლოგიური მანქანა ცდილობს ხმა ჩაუკმინდოს ხალხს და დასახული მიზანი ბოლომდე განახორციელოს. ამ შემოქმედების მსხვერპლი აღმოჩნდა დამწყები დრამატურგი, რომელმაც ირწმუნა ხელმძღვანელობის „დახურული წერილის შინაარსი“ და დაწერა პიესა სათაურით „წყალქვეშა ნავი ნომერი ექვსი“. სიუჟეტური ჯარგა სკოლაში მოსმენილი მოხსენებების მიხედვით ააგო. პიესა აჩვენა რეჟისორ შალვა ჩინჩლაძეს, რომელიც გულგრილად უყურებს

სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგიური მანქანის ზემოქმედებას და ინარჩუნებს პატიოსანი შემოქმედის პოზიციებს. ის გულდასმით გაეცნო პიესის შინაარსს და დამწყებ დრამატურგს ასეთ შეკითხვას აძლევს: „მამაშვილურად გთხოვ ამისნა, განა შეიძლება ჩვენი ქალაქის პარკში, კატარღების მისაღვომებთან, ზღვიდან წყალქვეშა ნავი ამოვიდეს და ვერავინ შენიშნოს?“ რეჟისორმა არ მოიწონა პიესა და დაარწმუნა დამწყები დრამატურგი, რომ პიესა სიცრუეზეა აგებული და მწერალმა პატიოსნებას არ უნდა უღალატოს.

ამრიგად, დამწყები დრამატურგის პირველი ცდა თუ წარუმატებელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ სიმართლე თქვა — გოგია უიშვილი არ იყო ღატაკი, მან შეურაცხყოფა ვერ აიტანა, მეორე ცდა წარუმატებელი იმიტომ იყო, რომ სიცრუე თქვა-გიორგი ქეცბაია იმპერიალისტების ჯაშუში იყო.

მესამე ცდამ („მონაწილე ვარ თქვენი მშუხარებისა“) კომპრომიზის აუცილებლობასთან მიიყვანა ახალგაზრდა დრამატურგი. მაგრამ განა შეიძლებოდა ისეთი კომპრომიზი, როცა ღვინის მოყვარული კაცი ერთბაშად მისი მოძულე ზღება და ქორწილში მეფე-დედოფალს რქაწითელის ნაცვლად მანდარინის წვენით დალოცავს. ახალგაზრდა დრამატურგი არ წავიდა კომპრომიზზე და მომზადებული სპექტაკლი მოიხსნა რეპერტუარიდან. აი ეს ეპიზოდი:

„მცირე ყოყმანის შემდეგ სამსონ ალავექემ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

— თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ, ბატონო ალექსი, მაგრამ პიესის გადაკეთებაზე უარს ვაცხადებ!

— ასე უცებ ნუ იტყვიტ უარს — გააფრთხილა რეჟისორმა, — ცოტა კიდევ მოიფიქრეთ.

— ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა!

— მაშასადამე, მიგაქვთ პიესა?

— დიახ, მიმაქვს.

სტრუქციის კვალობაზე ბატონი ალექსი სასტიკად უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა: სავარძლიდან წამოდგა და დრამატურგი გადაკოცნა, ძალიან დიდი მადლობელი ვარი!

— რისთვის მიხდით მადლობას, ბატონო ალექსი? — ჰკითხა შემცბარმა სამსონ ალავექემ.

პრინციპულობისათვის, პატიოსნებისათვის! — ჩამოუთვალა დიდმა რეჟისორმა — არ დაგიმაღაფთ და, მეშინოდა, პიესის გადაკეთებაზე თანხმობა რომ გეთქვამთ, ახალგაზრდისათვის კომპრომიზზე წასვლა დიდი ცოდვაა, თუმცა ძველგაზრდისთვისაც არანაკლები დანაშაულია. მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა! აი რა უნდა იყოს შემოქმედი კაცის ღვინი“.

მაგრამ აქ არ მთავრდება განსჯა მწერლის ესთეტიკური იდეალის შესახებ, მოთხრობა „დრამატურგების ქალაქი“ საყურადღებოა იმით, რომ მასში პირუთვნელად არის წარმოდგენილი მწერლის მიმღე მისია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ახალგაზრდა დრამატურგის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზ-შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მეოთხე ცდა უნდა ყოფილიყო სრულყოფილი და აუცილებლად წარმატებული, მაგრამ ავტორი-პიესისა „ჩემი მეგობარი სილევანი“ რომელიც დაიდგა სცენაზე და მივიდა მაყურებლამდე, ბოლოს მაინც ნანობს. ის

იძულებულია ბოდიში მოუხადოს მაყურებელს იმის გამო, რომ მართლაც მისი სიმართლე თქვა, მხოლოდ ნახევარი სიმართლე თქვა, რასაც ვერ აპატიებს საკუთარ თავს. საგულისხმო დეტალია, იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და საბოლოოდ ჩვენს ცნობიერებაში ყალიბდება დასკვნა: შემოქმედება ბედისწერასავითაა. მწერალმა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა თქვას. ამის გამო შეიძლება სიმართლის მსახური მწერალი თავის სიცოცხლეშივე ვერც მოესწროს თავის თხზულების გამოქვეყნებას. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი შეძლო სიმართლის თქმა შენი დროის შესახებ.

„დრამატურგების ქალაქში“ მწერალმა წამოჭრა ეროვნული თავმოყვარეობის გააზრებისა და მისი სულისკვეთებით თაობების აღზრდის საკითხი. ეს იდეა გამოცემულია ინგლისელ ტურისტებთან ქართველი გიდის საუბარში, რომელიც ზშირად პაექრობაში გადაიზრდება და უმეტეს წილად განათლებული გიდის სასარგებლოდ მთავრდებოდა. ყველა დეტალზე ყურადღების გამახვილება შორს წაგვიყვანს. მაგრამ ეს ადგილი მაინც უნდა ამოვწეროთ მოთხრობიდან:

— „ქალაქში, რომელსაც თქვენ ახლა გაცნობთ — აცხადებს ქართველი გიდი, — ასი ათასი კაცი ცხოვრობს. იგი რესპუბლიკის მსხვილი ინდუსტრიული ცენტრია...

— ინდუსტრიული ცენტრი! — ხაზგასმით გაიმეორე სერ მაიკლ ჯექსონმა და ბოლოში ძახილის ნიშანიც დაურთო, — ერთბაშად პროგრამულ ჩარხებს ან კომპიუტერებს არ ამზადებდეთ!

ვიქტორია წამოწითლდა, მაგრამ, უწინდელისაგან განსხვავებით, თავი დროულად შეიკავა და ტონი არ შეიცვალა.

— წყალქვეშაფრთიან კატარღებს ვამზადებთ — აუხსნა მან ბატონ ჯექსონს — სხვათაშორის, ინგლისშიაც ყიდულობენ.

მაიკლ ჯექსონი ცოტა არ იყოს შეცბა.

— ვერაფერს გეტყვით, მე არ ვმჭდარვარ მაგ კატარღაში...

დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ამ დიალოგში სხვა ღირსებებთან ერთად ყურადღებას იქცევს პოლემიკური ტონის ზომიერება და სიდარბაისლე, რაც საერთო დამახასიათებელი თვისებაა ალექსანდრე სამსონიას მოთხრობისათვის. დარბაისლური პოლემიკური ტონის საუკეთესო ნიმუშად გვესახება დიალოგი ფეხბურთის შესახებ.

— „კიდევ რას იტყვით თქვენს ქალაქზე?

— იმას, რომ ჩვენი ფეხბურთელთა გუნდი... მილიონიანი ქალაქების კოლექტივებთან თამაშობს.

მაიკლ ჯექსონმა ილინცურად გადახედა ვიქტორიას და თითქოს სხვათაშორის ჰკითხა:

— ლანჩხუთი დიდი ქალაქია?

საიდან, სადაო, სწორედ ამაზე ითქმოდა, მაგრამ გიდი მიუხვდა.

— ლანჩხუთის მთელი მოსახლეობა ჩვენი სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე დაეტივა.

ბატონმა მაიკლმა თავი გააქნია.

— რაოდენობა ხარისხს არ განსაზღვრავს. თქვენი გუნდი მაგალითად „გურიას“ მოუგებს?

— გურია კი არა, სხვა უფრო ძლიერი გუნდებიც დაგვიმარცხებია.
— არ მითხრათ, ახლა „ვესტ ჰემსაც“ მოუგებთო...
— „ვესტ ჰემს“ თბილისის „დინამომ“ მოუგო-შეახსენა ვიქტორიამ, —
სხვათაშორის დიდი ანგარიშითაც.
— ვნახე მე ეს თამაში, დიდებული გუნდი გყავთ ქართველებს! — აღიარა მაიკლ
ჯექსონმა“.

— პოეტური ზიბლი ამშვენებს მოთხრობას „ორი ზაფხული და ერთი
შემოდგომა“. იგი მშვენიერების ძალისხმევის მხატვრულ განზოგადობას
წარმოადგენს. მშვენიერებამ გარდაქმნა მოუხეშავი ავთანდილ ჯავახიშვილი.
მწერალი ტაქტის, ზომიერების იშვიათი შეგრძნებით ხატავს პეროსანჟის ხასიათში
მიმდინარე ცვლილებებს და დამაჯერებლობის საჭირო ხარისხს ანიჭებს მას.

საინტერესო მხატვრული ზეარებით არის შესრულებული მოთხრობა
„გამარჯობა, მატარებელო!“ მთელი ნაწარმოები მეტაფორულია, მატარებელი
ცხოვრების მეტაფორაა, მატარებელი ცხოვრებას განასახიერებს აჩქარებულ ტემპში,
ის რაც მატარებელში ხდება, — ხდება ცხოვრებაში, მაგრამ მატარებელში უფრო
დინამიურად. ამის ერთ-ერთი საინტერესო დასაბუთებას წარმოადგენს დარიგება,
რომელსაც სამგზავროდ გამზადებულ შვილიშვილს აძლევს ბებია: „ახლა, ბებია,
რასაც გეტყვი, კარგად დამაყურე... გაგანია ამინდია და მატარებელში იმისთანა
ხალხი დაბორიალებს, თვალიდან ბეწვს ამოგცლიან, ვაგონში რომ დაჯდები და
იფიქრებ, ვიქნები აქ ჩემთვის ლამაზადო, ვინ გაცლის ლამაზად ყოფნას! მოგიკდება
ერთი პაცანი გვერდზე, ორი მისი ამხანაგი ერთმანეთში ჩხუბს ატეხს. შენი ამბავი
რომ ვიცი დაალებ პირს და იმ მოჩხუბრებს ყურებას დაუწყებ. ჩემოდანი აღარ
გაგახსენდება, ამასობაში გვერდზე პაცანი რომ გიზის, დაავლებს ხელს შენს ჩემოდანს
და დურთავს თავს ვაგონიდან. მოჩხუბრებიც მორიდდებიან ერთმანეთთან და მარტო
შენ დარჩები პირდაღებული. ამიტომ ქვეყანა რომ დაიქცეს, ჩემოდანს თვალი არ
მოაცილო... გეყურება მაგი, ბებია?“ თავის ღირსებით ეს მშვენიერი ნოველა კარგად
წარმოაჩენს ალექსანდრე სამსონიას მხატვრული აზროვნების სტილს. ის ხატავს
და ქმნის სურათს. რომელიც მკითხველში აღძრავს განწყობილებას, რაც მხატვრული
ნაწარმოების უმთავრეს ღირსებად მიგვაჩნია. ამ ღირსებით არის გამორჩეული
სარეცენზიო კრებულის თითოეული ნაწარმოები.



ახალი სალიტერატურო ქართულის სათავეებთან

ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელია. მისი ენობრივი პოზიცია შემდგომში ისტორიამ დაასაბუთა. მის კვალს გაჰყვა მომავალი თაობა.

ილია ჭავჭავაძეს იონა მეუნარგიამ ჩვენი ენის კანონმდებელი უწოდა. ეს შეფასება და აღიარება იმ ფასდაუდებელი ამაგისა, რომელიც სალიტერატურო ენის განვითარებას დასდო ქართული მწერლობის დიდმა მოჭირანახულემ.

როგორც ისტორიამ დაადასტურა, ეს გზა სავსებით გამართლებულია მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების თვალსაზრისით.

ილია ჭავჭავაძე კარგად ფლობდა ქართული ენის სიმდიდრეს. ჩვენი ენის განსაკუთრებულ თვისებად იგი ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებასა და მეტყველების ყველა ნაწილის ბრუნვის შესაძლებლობას მიიჩნევდა.

ილი ჭავჭავაძე მაშინ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც არქაული ქართულის მიმდევრებისათვის დამახასიათებელი იყო ძველი ენობრივი ფორმებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულება. არქაისტებისათვის ნიშანდობლივია არქაული ნორმების ხელოვნური გამოყენება, რასაც რეალური საყრდენი არ ჰქონია ენის განვითარების არც ერთ ეტაპზე. ეს იყო ანტონ I მიერ შემუშავებული ენობრივი ნორმები, რომლებიც ასი წლის მანძილზე გაბატონებული იყო ქართულ მწერლობაში.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მთელი სიმძიმე იტვირთა. „ყოველი კაცი, რომელსაც თვალეზზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამოიმეტყველია“ (1. ი. ჭავჭავაძე — *რჩეული ნაწერები ხუთ ტომად. ტომი III. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. თბილისი 1986 წელი*).

ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ფორმების განდევნა, სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოება, უცხოურ (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება — აი ამოცანები, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე რომ დაისვა. ამ პრობლემის გადაწყვეტაში იგი მართო არ იყო, მას გვერდში ედგა აკაკი წერეთელი, ქართული ენის მეორე დიდი მოამაგე და მოჭირანახულე.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი — არამხოლოდ ლიტერატურული

პრაქტიკით იცავდნენ ეროვნული ენის პრინციპებს, არამედ თეორიულადაც ასაბუთებდნენ ახალი ენობრივი პოლიტიკის ძირითად დებულებებს. ისე როგორც ყველა სხვა სფეროში, ილია და აკაკი ენის საკითხშიც ბუმბერაზებად წარმოგვიდგებიან.

ილია ჭავჭავაძემ თავის დებულებაში აღადგინა ახალი სალიტერატურო ენის ის სტრუქტურა, რომელთა საწყისებს სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ვხვდებით, გაამართლა ის ხაზი, რომელიც მე-18 საუკუნეში ანტონისეული გრამატიკული სკოლის მეოხეობით გადაწყდა.

ილია ჭავჭავაძე დაუღალავად ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდისათვის. იაკობ მანსვეტაშვილი წერს: „ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას, „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ (ი. მანსვეტაშვილი — მოგონებები, 1936 წელი), რადგან „მხოლოდ ენით შესწევს უნარი, ბოროტებაც და სიკეთეც მშვენიერად ასახოს, მას შეუძლია მხოლოდ, ბოროტი შეგაძულოს და სიკეთე შეგეკუყვაროს“ (მ. დულუჩავა — სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, ესთეტიკა, თბილისი 1985 წელი).

ილია ჭავჭავაძე მართებულად ამბობდა, რომ „ნიჭიერი მწერალიც ამისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებებში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე“ (შ. ძიძიგური — „მეცნიერება“, 1978 წელი) მისი აზრით, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოთქვამდნენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებს ხმარობენ. როგორც მუსიკა-ხმასა, მხატვრობა-ხაზსა, პოეზია-სიტყვასა, სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვია, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობას“ (ი. ჭავჭავაძე — რჩეული ნაწარმოებები ზუთ ტომად. ტომი III. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თბილისი, 1986 წელი.).

თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძემ ვაჟკაცურად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ატარა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი და ის ეროვნული დროშა, რომელიც მას ერმა გადასცა, როგორც უგვირგვინო მეფეს, სულიერ მამასა და წინამძღოლს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული-ენაა“ (ი. ჭავჭავაძე — ზუთ ტომად. ტომი მე-4. თბილისი 1986 წელი.) იგი არის ერის სულიერი ცხოვრების მატრიანე, ის დედაძარღვი, რითაც აღამიანი თავის თავს ერის შვილად აღიქვამს. ეროვნული ხასიათი და ფსიქიკა ყველაზე მეტად დედაენაში მჟღავნდება. უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული კულტურა და ეროვნული აზროვნება. ენაშია ხალხის ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. ერის დაცემა კი მაშინ იწყება, გვასწავლის ილია, როცა თავდება წარსულის ხსოვნა.

ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდნენ იმათ, ვისაც პატარა ერების მოსპობა სურდათ.



ილია ჭავჭავაძე იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვა სამოციანელებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მშობლიური ენის დასაცავად. „ჩვენ რომ ეგრე დაუინებით და უკან დაუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, ეგ, მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“ — ბრძანებდა დიდი ილია.



ერმილე მესხია

ქართული პერიოდიკის შესანიშნავი ფურცალი


გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ დაარსების 80 წლისთავის გამო

რვა ათეული წელი გავიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშისა და ქართული პერიოდიკის თვალსაჩინო გამოცემის გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ პირველი ნომრის გამოსვლიდან.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ საქართველოს სულიერი ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი შტაბის „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანოს წარმოადგენდა. 1918 წლის ბოლოს საერთაშორისო ვითარების გამწვავებით აჭარაში და მთლიანად საქართველოში შეიქმნა მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. მეზობელი ქვეყნების აგენტურის ქსელი ისე დაიხლართა ბათუმის გარშემო, აშკარა შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კვლავ დაკარგვის საშიშროება.

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ქვეყნის ხელისუფლება და მის გარშემო გაერთიანებული ქართველ პატრიოტთა ჯგუფი იძულებული გახდა უფრო რადიკალური ღონისძიებებისათვის მიემართათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობითა და „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ ინიციატივით 1919 წლის 11 იანვარს ბათუმში გამოვიდა ქართული პერიოდიკის ახალი პირშო — გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. გაზეთის გამოცემის მიზანი და დანიშნულება საფუძვლიანადაა განხილული განმანთავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის სარედაქციო ხასიათის სტატიაში „ჩვენი მიმართულების განმარტება“. მთავარი ამოცანა, რაც განმანთავისუფლებელი კომიტეტისა და გაზეთის რედაქციის წინაშე იდგა, იყო ქართული ძალებისა და საქართველოს ორიენტაციის იმ მოქალაქეების დარაზმვა, ვინც შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა საქართველოს მტრებს და აჭარის დედاسამშობლოსთან დაბრუნებისათვის უკომპრომისო ბრძოლას წარმართავდა.

ცხადია, გაზეთის რედაქციას რთულ პირობებში უხდებოდა ყოველი ნომრის გამოშვება. ინგლისელთა მმართველობის მოჩვენებითი სიმშვიდე საქართველოს მტრებს უფრო აძლევდათ ხელს და თავისუფალი მოქმედების საშუალებას, ვიდრე ქართველ პატრიოტებს და მათ გარშემოგაერთიანებულ ძალებს. როგორც სარედაქციო სტატიაში მ. აბაშიძე წერდა, გაზეთის რედაქციას ბრძოლას და „სიძნელეს გზისას უადვილებდა ის იმედი, რომ ყველა ქართველი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ჩვენთანაა“. რა თქმა უნდა, ქართველთა გაერთიანება ერთი დროშის — დედასამშობლოსთან დაბრუნების იდეის გარშემო არ ყოფილა უბრძოლველად მიღწეული. განმანთავისუფლებელი კომიტეტის წევრებსა და მათ თავმჯდომარეს



სიცოცხლის რისკის ფასად, დევნისა და შევიწროების პირობებში უნდა დავიძლიეროთ, რომ მიზნისათვის მივდივართ.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, ერთგულ გუშაგად იდგა მტრებით გარშემორტყმულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. არ დარჩენილა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არცერთი უმნიშვნელო საკითხიც კი, გაზეთის რედაქციას თავისი პირუთენელი, ობიექტური და პრინციპული პოზიცია არ გამოეხატოს. ამიტომაც გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ქვეყნის უახლესი ისტორიის შესანიშნავი მემკვიდრეა.

გაზეთის რედაქციამ თავიდანვე პრინციპული და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია დაიკავა საქართველოს გამთიშველი ძალების წინააღმდეგ. იგი გმობდა გზასაცდენილ იმ ქართველთა მოქმედებას, ვინც „სედაიმილეთელბთან“ და დენიკინელებთან თანამშრომლობით ძირს უთხრიდა ქვეყნის მთლიანობას. ყველა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს... ის პირნი, რომლებიც ცდილობენ ბათუმი და მისი ოლქი სამშობლო მხარეს არ გადაეცეს, — აშკარა მტერია ჩვენი ხალხისა“, — ნათქვამია გაზეთის ერთ-ერთი ნომრის მოწინავე წერილში.

გაზეთის რედაქცია პირველი ნომრის გამოშვების დღიდანვე სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლებისაგან. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელთა ბატონობის პერიოდში ყოველმხრივ შევიწროებას განიცდიდნენ ქართველი პატრიოტები, მაშინ, როდესაც პროთურქული და პრორუსული მიმდინარეობის პოლიტიკური პარტიები და მათი აგენტები თავისუფლად დაპარპაშებდნენ, მათი ბეჭდვითი ორგანოები კი ხელშეუხებლობის გარანტიითა და ყოველმხრივ მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ თავის გარშემო იკრებდა ყველა პატრიოტულ ძალას და მათი მეშვეობით ამხელდა ანტიქართული პარტიების მოქმედებას და ააშკარავებდა საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკას აღნიშნული ძალებისადმი მხარდაჭერაში.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ თავის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობდა ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებას, ერებს შორის მშვიდობისა და სამოქალაქო თანხმობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპების დაცვას და ამხელდა იმათ მოქმედებას, ვინც უტხოვლთა აგენტურის წაქეზებით აღვივებდა სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა შორის შუღლსა და მტრობას.

საყურადღებოა, რომ რვა ათეული წლის წინათ გაზეთის რედაქცია არანაკლებ ინტერესს იჩენდა და აშუქებდა კავკასიის ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის თემას, ვიდრე დღეს. განმანათავისუფლებელი კომიტეტის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ კავკასიელ ერთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შეუძლებელი იქნებოდა მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების და ურთიერთდახმარების გარეშე. კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეას კარგად გამოხატავდა გაზეთში გამოქვეყნებული წერილების პათოსი.

„სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოსათვის არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა

ჩრთილოთიდან მოსალოდნელი საფრთხე. გაზეთის რედაქცია „ურჩევდა კავკასიის ყველა ერს შეთანხმებას და საერთო გზის სვლას“, „რომ კავკასიის ერთა სოლიდარული კავშირი“ წინ აღდგამოდა „რუსულ აგრესიულ ბოლშევიზმს“ და „შენახა ეროვნული დამოუკიდებლობა“.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველოს“ სამოღვაწეო ასპარეზი არ შემოსაზღვრულა მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით. იგი თავის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობდა უცხოელთა ბატონობისაგან დაბეჩავებული მშრომელი მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაშუქებას, მათში კულტურისა და განათლების შეტანას. აგრეთვე, პერიოდულად აქვეყნებდა წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთში იბეჭდებოდა არა მხოლოდ ცნობილ მწერალთა, არამედ აჭარაში მცხოვრები ავტორების ნაწარმოებებიც.

ჩვენამდე მოღწეული გაზეთის არასრული ნომრები, ბუნებრივია, ვერ იძლევა გამოქვეყნებული მასალების სრულ ლიტერატურულ სურათს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული პუბლიკაციების მრავალფეროვნება და ჟანრების სხვადასხვაობა გვაფიქრებინებს იმ ფართო დიაპაზონზე, რითაც „სამუსლიმანო საქართველო“ გამოირჩეოდა ქართული პერიოდიკის სხვა გამოცემებს შორის. მართალია, გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის ზოგიერთი არ გამოირჩევა დიდი შემოქმედებითი ღირებულებით, მაგრამ ამჯერად ეს როდია ჩვენთვის არსებითი, მთავარია, რომ ყოველი ჟანრის ნაწარმოებს, ეს იქნებოდა ლექსი, მოთხრობა, ფელეტონი და ა.შ. აშკარა გულწრფელობის, მოყვასისადმი სიყვარულის, უდიდესი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის სურვილი ატყვია.

ავტორები (ხ. თხილაიშვილი, ს. ირემაძე, ჯ. ქიქავა, მ. ჭყონია) თავიანთ ლექსებსა თუ ფელეტონებში მიმართავენ წარსულის გმირებს, მოიხმობენ ნაცნობ იგავებს და ამით სურთ მკითხველებზე შთამბეჭდავი ზეგავლენა მოახდინონ. დაარწმუნონ თავიანთი მოქმედების სიძველეში ისინი, „რომელნიც სულ ადვილათ იჯერებენ ადამიანის გონებისეულ წარმოუდგენელ ამბავს, თუკი ეს მათთვის სასარგებლოა და არაფრით არ უნდათ დაიჯერონ ისეთი რამ, რაც ფაქტი და სინამდვილეა, როცა ეს მათი საზარალო და სხვისი სასარგებლო იქნება“ (ჯ. ქიქავა „პატარა ფელეტონი“, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, №5).

დიახ, „საზარალო აზრის“ მცდარობაში სურთ ავტორებს, ამხილონ გზასაცდენილნი და სამშობლოს სამსახურისკენ შემოაბრუნონ. ეს არის გაზეთის პუბლიცისტური თუ ლიტერატურული მეშვეიერების მთავარი ლაიტმოტივი, ადამიანის მოქალაქეობრივი დანიშნულების მიზანი და ერის გამთლიანების ერთადერთი გზა.

„სამუსლიმანო საქართველო“ ვრცელდებოდა არა მხოლოდ ბათუმის ოლქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ამას მოწმობს თუნდაც ის გამოხმაურებები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა მაშინდელ გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“, „განახლებული მესხეთი“ და სხვ.

რვა ათეული წელი გავიდა ქართული პერიოდიკის შესანიშნავი გამოცემის



გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ პირველი ნომრის გამოსვლიდან, რომელიც, მართალია, სულ რაღაც სამი წლის არსებობის ისტორიას მოითვლის, მაგრამ იმდენად დიდი იყო გაზეთის გავლენა ქართული პოლიტიკური აზრის განვითარება-გამთლიანების საქმეში, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ცხოველმყოფელობა. არანაკლებ ეხმიანება დღევანდელობას მაშინდელი გულმხურვალე და პატრიოტული წერილებით, შეუპოვარი და პრინციპული პოზიციით. სულიერად გათიშულ და ტერიტორიულად დანაწევრებულ დღევანდელ საქართველოს მკაცრ გაფრთხილებად და მტკიცე მოწოდებად ესმის ამაგდარი წინაპრის ურყევი სიტყვები „ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია!“



ჩვენი ისტორია

სიმონ გოგიტიძე

პირველი ქართული კათალიკოსის კურთხევა

ჯუანშერის (V თუ VIII ს.) მიხედვით ვახტანგ მეფის სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე, გარკვეული მიზეზის გამო, მეფესა და ქართლის ეპისკოპოსს მიქაელს შორის მომხდარა ინციდენტი. ამის გამო ვახტანგ მეფეს მიქაელი გადაუყენებია და ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან პეტრეს კათალიკოსად და სამოელის ეპისკოპოსად კურთხევა და გამოგზავნა უთხოვია. თავის მხრივ პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიის პატრიარქთან გაუგზავნიათ თხოვნის აღსასრულებლად.

ქართლის მეფემ მცხეთაში ააგო (თუ განაახლა?) „ეკლესია მოციქულთა სუტიცხოველი“, სადაც კათალიკოსად პეტრე დაუსვაძს. (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 198.) ჯუანშერი ამ მოვლენის დასათარიღებლად რაიმე ქრონოლოგიურ მითითებას არ იძლევა. საერთოდ ეს აქტი ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნებასა და მის მიერ გადახდილ უკანასკნელ ომს (502 წ.) შორის თავსდება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორის ცნობით, „ალაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითაჲან რო (170) წელსა“. (მატბერდის კრებული თბ. 1979 გვ. 325.) „ქართლის ცხოვრება“ იმეორებს: „ქართლის მოქცევითაჲან სვეტის ცხოვლის აღშენებამდე კ-ზის განწესებამდე გარდაჲდეს წელნი რ-ო (170)“. (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 198.)

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების თარიღის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. ვახუშტი ბატონიშვილმა პეტრეს კათალიკოსად კურთხევის თარიღად 473 წელი მიუთითა. (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა — „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV, თბ. 1973, გვ. 113.) როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ისტორიკოსი ქართლის მოქცევის თარიღად 317 წელს ანგარიშობდა. (ვახუშტი. საქართველოს ისტორია. შევსებული დ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. 1, ტფ. 1885, გვ. 11.) თუ იგი თავის გამოთვლას ამ თარიღზე ამყარებდა, მაშინ კათალიკოსობის დაწესების თარიღად 487 წელს მიიღებდა. ამიტომ, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ საიდან არის ამოღებული ეს ცნობა, არ ჩანს. (ივ. ჯავახიშვილი. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, თბ. 1979, გვ. 384.)

მ. ბროსემ ამ თარიღის გაანგარიშებისათვის თ. ბალსამონის (XII ს.) ცნობა გამოიყენა, რომ ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს დროს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ქართული ეკლესია ავტოკეფალური გახდა ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარების ქვეშ. ისტორიკოსი ფიქრობდა, რომ აქ მოხსენიებული ანტიოქიის პატრიარქი პეტრე იგივე პეტრე ფულონი უნდა იყოსო. მკლევარი, იზიარებდა რა ქართლის მოქცევის ვახუშტისეულ თარიღს, აღნიშნულ მოვლენას

475-488 წლებს შორის ან 475 წ. ანგარიშობდა. (იქვე; მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ბათუმი 1998, გვ. 64.)

გ. საბინინი, მხედველობაში იღებდა რა ძველი ქართული წყაროების მითითებას ქართლის მოქცევის შემდეგ კათალიკოსობის დაწესებამდე 170 წლის გასვლის შესახებ, ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას 488 წლით საზღვრავდა (იქვე; მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ბათუმი 1998, გვ. 64.) ასეთივე შეხედულებისა იყო თ. ჟორდანიას. (იქვე; მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ბათუმი 1998, გვ. 64.)

დ. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ ქართლის მოქცევა თუ 317 წელს მოხდა, მაშინ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია 487 წელს მიუღია, ხოლო თუ 328 წელს, მაშინ პირველი კათალიკოსის კურთხევა 498 წელზე მოდისო. (დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 169.)

ს. გორგაძე თვლიდა, რომ კათალიკოსობა ქართლში 493 ან 496 წელს (ქართლის მოქცევის თარიღი 323 ან 326+170) უნდა შემოედოთ. (ს. გორგაძე. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ძველი საქართველო, 191-1913 წ. ტ. II, გვ. 73.) ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ეს თარიღი სარწმუნო არაა, რადგან ის მხოლოდ ქართლის მოქცევის თარიღზეა დამყარებული. თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თარიღს დავეყარებით, მაშინ კათალიკოსობის დაწესება 513-514 (344№169) წლებზე უნდა გვევარაუდებინა. ამ დროს კი, მიუთითებს მეცნიერი, ვახტანგი ცოცხალი აღარ იყო. (ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. 1, გვ. 384-385.) თავად, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას 337 წლით განსაზღვრავდა. ამ მონაცემების გამოყენებითაც კათალიკოსობის დაწესების თარიღი 507 წელზე მოდის და არც ამ დროს იყო ცოცხალი ვახტანგ გორგასალი.

თვითონ ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხის გარკვევისათვის ქართლის მოქცევის თარიღზე დამყარებას უარყოფდა. იქვე მიუთითებდა, რომ შეიძლებოდა ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნების წელიწადს დამყარებოდით, მაშინ ამ შემთხვევაში კათალიკოსობის დაწესების თარიღად 466-467 წ. უნდა მიგვეღო. არც ეს გაანგარიშება უნდა იყოს სწორი, რადგან „შუშანიკის წამებაში“ 472 წლისათვის იაკობ ხუცესსაც „თავი ებისკოპოსად“ სამოელი ჰყავს დასახელებული, ე.ი. 472 წელს ჯერ კიდევ კათალიკოსობა არ ყოფილა დაწესებული. ივ. ჯავახიშვილი იმ შეხედულებისა იყო, რომ ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა 472-502 წლებში, უფრო ზუსტად ვახტანგის აჯანყებამდე, ე.ი. 472-484 წლებში უნდა მოეპოვებინა. (იქვე, გვ. 385.)

მ. თამარაშვილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების თარიღად 471 წელს მიიჩნევდა. მისი აზრით, თ. ბალსამონის მიერ დასახელებული პეტრე, რომელმაც ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მისცა, პეტრე ფულონი უნდა იყოსო. (მ. თამარაშვილის, კ. კეკელიძის, ს. კაკაბაძის და ბ. ლომინაძის შეხედულებები მოგვყავს წიგნიდან: ვ. გოლიაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ. 1991, გვ. 144-148.)

კ. კეკელიძის მტკიცებით, გორგასალმა კათალიკოსობა 467 წელს შემოიღო.

ს. კაკაბაძის გამოკვლევით პეტრეს ქართლის კათალიკოსად დასმა 464-473 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. დაახლოებით ასეთივე აზრისაა ბ. ლომინაძე. იგი თვლის, რომ ქართლში კათალიკოსობა 466-474 წლებს შუა დაწესდა.

ლ. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ 472 წელს „შუშანიკის წამებაში“ იხსენიება ეპისკოპოსთა თავი, ხოლო 506 წლის საეკლესიო კრების საბუთებში — კათალიკოსი. წყაროთა ცნობით კათალიკოსობის დაწესება უშუალოდ მოჰყოლია ვახტანგის დაბრუნებას სპარსეთიდან. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო V ს. 70-იან წლებში. (ნ. ჯანაშია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ. 1986, გვ. 46)

ივ. ლოლაშვილის აზრით, 472 წელს გორგასალი და მისი ამაღა სპარსეთიდან საქართველოსაკენ გამოემართნენ. 473 წელს კი ქართლში ელენე დედოფალთან ერთად პეტრე კათალიკოსი და 12 ეპისკოპოსი მოვიდნენ. (ივ. ლოლაშვილი. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ. 1978, გვ. 66.)

მ. ლორთქიფანიძე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას, რომ ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია 472-482 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. ამ პერიოდში იმპერატორად ზინონი (472-491 წწ) და კონსტანტინეპოლის პატრიარქად აკაკიუსი (472-489 წწ) იყო. აქვე შენიშნავდა მ. ლორთქიფანიძე, რომ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით კათალიკოსობის დაწესება პეტრე ფულონის მეორედ პატრიარქობის დროს (475-478 წწ) მომხდარა. სინამდვილეში პეტრეს პატრიარქობის დრო 475 წ. იანვარი — 476 წ. აგვისტოს შორის ექცევა. (მ. ლორთქიფანიძე. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1979, გვ. 67, 68, 70.)

გ. მამულია მიიჩნევს, რომ კ. თუმანოვი, ქართლში კათალიკოსობის დაწესებას შესაძლებლად თვლის 482-484 წლების აჯანყებისა და 485 წლის ვალარშის ზავის შემდეგ, კერძოდ, 486-488 წლებში. გ. მამულია საეკლესიო თვლის ვალარშის ზავის პირველ წელსვე კათალიკოსობის დაწესების შესაძლებლობას. მისი აზრით, ამისათვის გარკვეული დრო იყო საჭირო და მისაღებად მიაჩნია 486-487 წლები. (გ. მამულია. ვახტანგ გორგასალის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ — „მაცნე“, ისტ. სერია, 1990, №1, გვ. 71.)

ა. ბოგვერაძის აზრით, 460-იანი წლების დასასრულს ვახტანგმა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია მოახდინა და სამეფო საეპისკოპოსოებად დაჰყო. მკვლევარი გადმოგვცემს, რომ 475 წლის მაზლობლად ქართლის კათალიკოსად უკვე სამოელია (იმოწმებს კ. კეკელიძეს). მისივე შენიშვნით მემათიანე ცდება, როცა ქართლის პირველი კათალიკოსის (პეტრეს) გარდაცვალებასა და სამოელის კურთხევას დაჩი მეფის პერიოდში მიუთითებს. (ა. ბოგვერაძე. ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან — მაცნე, ისტორიული სერია, 1985, №4, გვ. 161, 171.)

მ. გამხიტაშვილის აზრით, სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრება და, ალბათ, იქ კათალიკოსის დასმა (?) 501 წელს უნდა მომხდარიყო. თარიღი დამყარებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობაზე, რომ სვეტიცხოვლის აშენება დასრულდა ქართლის მოქცევიდან 170 წლის გასვლის შემდეგ. მკვლევარის გამოთვლით ქართლის მოქცევა 331 წელს მოხდა, თუმცა ამავე ნაშრომში იგივე მოვლენა 324 ან 325 წლითაცაა დათარიღებული. (მ. გამხიტაშვილი. როდის

მოღვაწეობდა ვახტანგ გორგასალი — გაზ. „ერი“ 1992, 17-23 აპრილი.)

გ. გოლიაძის გამოთვლით, ქართლიდან მიქაელის გაძევების (468 წ.). შემდეგ, პეტრეს ჯუანშერი მხოლოდ „იორსა ზედა“ ირანელებთან ბრძოლის დროს (491 წ.) იხსენიებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პეტრე ქართლში 491 წლის წინა ხანებში ჩამოსულა. რადგან „მუშანიკის წამებაში“ (იწამა 475 წელს) ქართლის კათალიკოსი მოხსენიებული არაა, ამიტომ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების თარიღი 475-491 წლებს შორისაა საძიებელი. ანტიოქიაში 468 წლის შემდეგ მშვიდობიანი მდგომარეობა 482 წლიდან დამყარდა. ამის შემდეგ შეიქმნა ანტიოქიაში შესაფერისი პირობები ქართლის კათალიკოსად პეტრეს კურთხევისათვის. პეტრეს კურთხევა კი 487-488 წ. შედგა ანტიოქიაში პეტრე ფულონის პატრიარქობის დროს, რომელმაც 485 წელს დაიბრუნა ეს ადგილი. (ვ. გოლიაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 135, 178-185) ასეთივე თარიღს მიუთითებს მ. პაპაშვილიც. (მ. პაპაშვილი. საქართველო-რომის ურთიერთობა, VI-XX სს. თბ. 1995, გვ. 60)

გ. გოლიაძის ანგარიშით გამოდის, რომ პეტრე, რომელიც ვახტანგმა გაიცნო 453-456 წლებში, სულ ცოტა 33 წელი ელოდებოდა ქართლის კათალიკოსის ტიტულის მიღებას და მცხეთაში გამომგზავრებას, რასაც წყაროთა მონაცემები არ ეთანხმება, პირიქით, ჯუანშერთან აღნიშნულია, რომ გორგასლის სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე მომხდარა პეტრეს კურთხევა და გამომგზავრება საქართველოში.

ბ. კობახიძის აზრით, მეფე ვახტანგის მიერ ახალი საკათედრო ტაძრის აგება და შიგ პეტრეს კათალიკოსად და სამოელის ეპისკოპოსად დასმა 490-493 წლებში მომხდარა. (ბ. კობახიძე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 80 წლისათვის — „საქართველოს რესპუბლიკა“ 1997, 25 მარტი.)

ჩვენი აზრით, კათალიკოსის კურთხევის, სვეტიცხოვლის აშენებისა და შიგ კათალიკოსის დასმის გამოანგარიშებულ თარიღებს შორის დიდი სხვაობა იმიტომია, რომ ჩამოთვლილი გარემოებები ერთმანეთისაგან გაუმიჯნავი დარჩა. ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს პეტრეს კურთხევისა და მცხეთაში მოსვლის, მეორე მხრივ სვეტიცხოვლის აშენებისა და შიგ კათალიკოსის დასმის მოვლენების ერთი და იმავე თარიღით განსაზღვრა. ასევე ვერ გავიზიარებთ, შეხედულებას, რომ თითქოს ირანიდან დაბრუნებულ გორგასალს, რომელმაც პეტრე იმავე წელს მოიწვია, მისთვის გამზადებული „საჯდომი“ დაეხვედრებია. ვახტანგის ირანიდან სამშობლოში დაბრუნებას, რასაც პეტრეს „გამოძახება“ მოჰყვა ბიზანტიიდან და „ქუემო ეკლესიის“ აშენებას წყაროები განასხვავებენ დროში. ჩვენი აზრით, ამ ორი მოვლენის ერთმანეთში აღრევა შეცდომა იქნებოდა.

როგორც აღინიშნა, ვახტანგ მეფე ირანში 465 წელს წავიდა. იქ დაუყვია 7 წელი და მე-8 წელს სამშობლოში გამომგზავრებულა. სომხეთისა და ბიზანტიის საზღვართან მოსვლის შემდეგ ლეონ კეისართან (475-474 წწ) მოციქულები გაუგზავნია თხოვნით პეტრასა და სამოელის საკურთხევლად და ქართლში გამოსაგზავნად. ორივენი ჯერ კონსტანტინეპოლში ჩასულან, შემდეგ ანტიოქიაში, სადაც შემდგარა კათალიკოსისა და მთავარეპისკოპოსის კურთხევა. პეტრე და სამოელი კონსტანტინეპოლში გამოვლით მცხეთაში მოსულან. „ქართლის

ცხოვრების“ ამ მონაცემების გათვალისწინებით კათალიკოსის კურთხევისა და მცხეთაში მოსვლის თარიღი (465 +7+1) 473 წლით უნდა განისაზღვროს. (ს. გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, გვ. 137-139, 150.) ქართლის პირველი კათალიკოსის კურთხევას ასევე ათარიღებდა ვახუშტიც. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მას ეს თარიღი დღეისათვის დაკარგული რაღაც წყაროდან უნდა ამოედო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ მოვლენას 478 წლით დაათარიღებდა. როგორც ცნობილია, ვახუშტი ქართლის მოქცევას 417 წ. საზღვრავდა და 170 წლის დამატება ამ თარიღამდე მიგვიყვანდა.

მ. ჩხარტიშვილის აზრით, იაკობ ხუცესის სამოელი არის ის პირი, რომელიც გორგასალმა ბიზანტიიდან პეტრე კათალიკოსთან ერთად მოიწვია და მცხეთის საეპისკოპოსოს მეთაურად დასვა. (მ. ჩხარტიშვილი. „მოქცევა? ქართლისა?ს“ ერთი ანაქრონიზმის შესახებ „მნათობი“ 1990, №9 გვ. 149.) თუ ეს ასეა, მაშინ „შუშანიის წამების“ აღწერის დროისათვის (476 წელს, არა უგვიანეს 483 წლისა) სამოელთან ერთად მოსულ პეტრეს უკვე აქვს „კათალიკოსის“ ტიტული. ასე, რომ ნიშანდობლივი უნდა იყოს პირველი ქართველი კათალიკოსის განწესების თარიღად 473 წლის მიჩნევა. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ეს მოვლენა ასეა გადმოცემული: „და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევისთაგან რ-ო წელსა“. ჯუანშერის ცნობისაგან განსხვავებით აქ უნდა გვქონდეს „ქუემო ეკლესიის“ აშენებისა და იქ პეტრეს კათალიკოსად დასმის ცნობა. ამიტომ ეს უკანასკნელი მოვლენა 496 (326+170) წლით უნდა განისაზღვროს. „ქართლის ცხოვრებაში“ ამის შემდეგ მოთხრობილია ქართველთა ბრძოლა ირანელებთან, რომელიც გორგასალისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. ქართულ წყაროებში კათალიკოსის კურთხევა და მისთვის სვეტიცხოველში ბინის მიჩენა, როგორც ორი ისტორიული მოვლენა ერთმანეთს უკავშირდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ეს უეჭველია ვახტანგის მოღვაწეობის შესახებ მოკლე თხრობით და მხოლოდ „საეკლესიო ცნობების“ გადმოცემით უნდა იყოს განპირობებული. ჯუანშერთან ამ ორი მოვლენის შეერთების მიზეზი შესაძლებელია „ვახტანგის ცხოვრების“ მოგვიანებით შეკვეცის შედეგი იყოს, რომელმაც თავის მხრივ თხზულებიდან ამოაგდო 483-484 წლების აჯანყება. ლაზარ ფარპეცის ცნობით ვახტანგ მეფეს პეროზის ზეობის 25-ე წელს ბრძოლები უწარმოებია ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მაშასადამე, 473 და 496 წლების საეკლესიო რეფორმების შერწყმა ამგვარად უნდა იყოს გამოწვეული.

ამრიგად, ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით უნდა გაიმიჯნოს კათალიკოსის კურთხევა და სვეტიცხოვლის აშენება. ქართლის პირველი კათალიკოსის პეტრეს კურთხევა და მისი მცხეთაში მოსვლა 473 წლით, ხოლო სვეტიცხოვლის აშენება და პეტრეს იქ გადასვლა 496 წლით უნდა განისაზღვროს.

ოთარ გოვოლინოვილი

ინგლისელთა ბათუმი

(1918 წლის ნოემბერი — 1920 წლის 20 ივლისი)

პირველი იმპერიალისტური ომის დროს (1914-1918) ანტანტის ჯარების მიერ მინდერბერგის ფრონტის გარღვევის შემდეგ, მოკავშირეთა ფლოტმა არ დააყოვნა შავ ზღვაში შემოსვლა და გამოიწვია ბათუმის პორტში.

ინგლისელთა ხელმძღვანელმა შესთავაზა თურქეთის შტაბს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა აჭარა და თურქეთის ჯარი წავიდა. ინგლისელთა კოლონიური ჯარები (ძირითადად ინდუსები) სასწრაფოდ გადმოვიდნენ სანაპიროზე და დაიწყეს აჭარის საზღვრის დაცვა.

პირველი, რაც გააკეთა ინგლისელმა მხედართმთავარმა გენერალმა კუკ-კოლისმა ეს იყო ორგანიზაციის „ბათუმის ოლქის მართვლობის საბჭოს“ შექმნა. საბჭო შეიქმნა ადგილობრივი „მოსახლეობის“ წარმომადგენლობისაგან. მასში შევიდნენ: იურისტი მასლოვი — თავმჯდომარე, მახინჯაურელი და ციხისძირელი მოაგარკენი, გენერლები და მეფის ადმინისტრაციის მოხელეები. ასევე საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს ვინმე ვაჭარი კოლფენზონი და ალი ჯაფარიძე გონიოდან, როგორც არა თურქული ორგანიზაცია „სედაი მილეთის წარმომადგენელი“.

მეორე ღონისძიება, რომელიც ინგლისელებმა გაატარეს, ეს იყო წვრილმანი დამნაშავეების დასჯა, აზიზიეს მოედანზე ხალხის თვალწინ დახვრიტეს ჯიბის ქურდი.

ბაზარში გაჩნდა ფქვილი, ტკბილეულობა, შაქარი, ფეხი მოიკიდა ასევე სპეკულაციამ. ამ დროს გაჩნდა ბირჟა, სადაც ძირითადად მიმდინარეობდა ფულადი ერთეულების გაცვლა. გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, რა თქმა, უნდა ინგლისურ სტერლინგს. ადგილობრივი მაცხოვრებლები შეეცადნენ მორიგებოდნენ ინგლისელთა ხელისუფლებას. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „მღვდელმა მიხეილ ჩხიკვაძემ ინგლისელთა სამხედრო შტაბის კანცელარიაში სამუშაოდ მოაწყო თავისი ვაჟი და ქალიშვილი. მისი ქალიშვილი მითხოვდა ინგლისელ ოფიცერს, მაგრამ როდესაც ინგლისელებმა დატოვეს ბათუმი, ეს ოფიცერი სასწრაფოდ გაეცალა აქაურობას და ცოლი მიუტოვა მღვდელ ჩხიკვაძეს“.

კუკ-კოლისმა დაიწყო ინგლისური პოლიტიკის გატარება. მან შესძლო ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომლებსაც თურქული ორიენტაცია ჰქონდათ, შეექმნათ პარტია „სედაი მილეთი“. მასში შევიდნენ ქესკინ-ზადე, ალი ჯაფარიძე და სხვები. ამ პარტიას უნდა გაეწია აგიტაცია თურქეთის სასარგებლოდ, მაგრამ იცოდნენ ამ აგიტაციიდან არაფერი გამოვიდოდა, რადგან ამ დროისათვის თურქეთი თვითონ იყო დაუძლურებული და სხვისი გავლენის ქვეშ მყოფი. ბათუმში მოქმედებდა მენშევიკების გავლენიანი პარტია. მემედ ბეგ აბაშიძის ძლიერი ჯგუფი, სწორედ ამ დროისათვის გამოჩნდა სამოღვაწეო ასპარეზზე „სედაი მილეთი“ და გაჩაღდა პოლიტიკური დაპირისპირება.

გენერალი კუკ-კოლისის აქტიური მონაწილეობით დაიწყო ბათუმის ოლქში ჩამოყალიბება ეროვნულმა საბჭოებმა: ქართულმა, სომხურმა, რუსულმა, ბერძნულმა. ეს საბჭოები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ საქალაქო თვითმმართველობის სადავენი, რათა საქალაქო მეურნეობას დაჰპატრონებოდნენ. ასევე ცდილობდნენ გამოეყენებინათ თვითმმართველობის ტრიბუნა თავისი პოლიტიკური მიზნების მოსახლეობამდე დასაყვანად.

გენერალმა კუკ-კოლისმა მიზანს მიაღწია, მან შეძლო ყველა პოლიტიკური დაჯგუფების ერთმანეთისადმი დაპირისპირება. მაგალითად, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალებიდან ვგებულობთ, რომ „ამ გენერალმა შეძლო ისეთი პოლიტიკური დაპირისპირების შექმნა, რომ ზოგჯერ დამატებით ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ეყრდნობოდა მემედ-ბეგ აბაშიძის ავტორიტეტს, აწარმოებდა მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობასთან. ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადასაცემად. ინგლისელები საქართველოს მთავრობას ეუბნებოდნენ, სიტუაცია ამჟამად ისეთია, რომ ამის გაკეთება შეუძლებელიაო. ასეთი დიპლომატიური მსვლელობიდან რომ არაფერი გამოვიდა, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო ძალით დაებრუნებინა ბათუმის ოლქი. ამ მიზნით ერთმა სამხედრო ნაწილმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩიქოვანი, დაიწყო სამხედრო მოქმედებები. ერთი ნაწილი გაემართა ხულოსაკენ, ხოლო მეორე ცდილობდა ჩოლოქის გადალახვას.

გენერალმა კუკ-კოლისმა „სედაი მილეთის“ პარტიის წევრების მეშვეობით განიზრახა წინააღმდეგობის გაწევა. რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზეჟერია ლორთქიფანიძე, მოაწყო ლაშქრობა აჭარის მთებში, დაამარცხა შემოსულები და ტყვედ ჩაიგდო თვით ჩიქოვანიც კი. ამის შემდეგ დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები. რეზულტატი ასეთი იყო: ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები მიიყვანეს ნატანებში და ჩააბარეს დემოკრატიულ საქართველოს ხელისუფლებას.

ინგლისელები აქ ისე იქცეოდნენ, როგორც თავიანთ კოლონიებში: ერთ-ერთი მოგონებიდან ვგებულობთ, რომ „ინგლისელები ჩვენ გვიყურებდნენ ზემოდან, როგორც დაბალი რასის წარმომადგენლებს“.

თუ როგორ ექცეოდნენ ინგლისელები მოსახლეობას, მოვიყვან ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტს: „14 იანვარს ქართველი ჯალხი იხდიდა დღესასწაულს „ნინობას“. 1919 წელს საზოგადოებრივი კლუბის შენობაში გადაწყვიტეს დღესასწაულის ჩატარება. საღამოზე მიიწვიეს ინგლისელთა სამხედრო შტაბის მთელი შემადგენლობა კუკ-კოლისით სათავეში. კუკ-კოლისმა არ ისურვა დასწრებოდა და გამოაგზავნა რამდენიმე ოფიცერი. ოფიცრები დასხდნენ თუ არა, ფხვები შემოაწყვეს მაგიდაზე, იფურთხებოდნენ, კონცერტის დროს სტვენდნენ, ქართველები ამას ვერ იტანდნენ, მაგრამ ცოტა რომ დალიეს კინალამ უბედურება დატრიალდა. იმისთვის ხანჯლები და რომ არ ჩარეულიყვნენ, აუცილებლად სისხლი დაიღვრებოდა“.

ბათუმში იმ დროისათვის მომრავლდნენ რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლები. ისინი არ ეგუებოდნენ ინგლისელებს და აქაურობას უყურებდნენ,

როგორც რუსეთის ნაწილს. რუსები არ ჩამორჩებოდნენ ინგლისელებს დიპლომატიურ სფერებში და დაიწყეს მოქმედება. კერძოდ, მათ შექმნეს სამხედრო შტაბი, ყველა პოლიტიკოსის თანამდებობა ხელში ჩაიგდეს და ცდილობდნენ ბათუმის ოლქის კვლავ რუსეთის იმპერიაში დაბრუნებას. მათ გადაწყვიტეს აქედან დახმარებოდნენ რუსეთის სამხედრო ნაწილებს, რომლებიც იბრძოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მათ ქართველი გენერლის ნათიევის ხელმძღვანელობით გახსნეს სამხედრო პუნქტი, სადაც იკრიბებოდნენ ახალგაზრდები ლენინის არმიაში საბრძოლველად გასაგზავნად. გემებს ტვირთავდნენ ნავთობპროდუქტებით.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მათ გადაწყვიტეს მოსახლეობის საშუალებით, ინგლისელებთან დაახლოებული პირების გადაბირება, პირველ რიგში დაიწყეს „სედაი მილეთის“-გან, კერძოდ ქესკინ ზადე მიიწვიეს თბილისში სამუდამო საცხოვრებლად, რომელიც იქ ვილაძამ მოკლა.

სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს ტერორისტული აქტების მეშვეობით დაბნეულობა შეეტანათ ინგლისელთა რიგებში. საარქივო დოკუმენტებში კვითხულობთ, რომ ასეთ აქტებს ბოლშევიკები ატარებდნენო. მაგ. ცოლთან ერთად მოკლეს გენერალი ნათიევი, ააფეთქეს გემი, რომელსაც ხალხი მიჰყავდა ლენინის არმიაში. ააფეთქეს გემი „ვოზრაჟდენიე“, რომელსაც ნავთობი მიჰქონდა დენიკინელებისათვის მახინჯაურში. აგრეთვე თავს დაესხნენ გენერალ ლიახოვს, მაგრამ ვერ მოკლეს, ლიახოვი გამოასალმეს წუთისოფელს ბათუმში ინგლისელ გენერლებთან სეირნობის დროს. მკვლელობის ადგილზე დააპატიმრეს ბოლშევიკი (გ. მემმარიშვილი). ურებსში მოკლეს ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი რიაზანოვი, მკვლელობის საბაბი გახდა ის, რომ სტუდენტი აღმოჩნდა კუჟ-კოლისის აგენტი.

1920 წლის პირველ მაისს გადაწყვიტეს მიტინგის ჩატარება. მიტინგი ჩაატარეს აზიზიეს მოედანზე. მიტინგის დროს გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მიტინგის მონაწილეებისაგან შემდგარიყო კომისია, რომელიც უნდა მოსულიყო ინგლისელთა ბანაკში და კუჟ-კოლისისაგან მოეთხოვა გუბელი, რომელიც დაპატიმრებული იყო ლიახოვის მკვლელობის გამო. შეთანხმდნენ, რომ ის (გუბელი) მიტინგზე გამოვიდოდა და შემდეგ კვლავ უკან დაბრუნდებოდა. საკვირველია ის, რომ კუჟ კოლისი დაეთანხმება გუბელის განთავისუფლებას. გუბელი მიტინგზე გამოვიდა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა, უკან არ დაბრუნებულა, ქალაქიდან გააპარეს.

ამ ფაქტმა ინგლისელები ძალიან გააბრაზა და დაიწყეს პოლიტიკური მანიფესტაციებისა და მიტინგების აკრძალვა. დააპატიმრეს სოც. პარტიის წევრები, შეიპარნენ ბათუმის პროფ. საქმის შენობაში და ვინც კი ნახეს, დააკავეს. შემდეგ ჩასვეს ინგლისურ გემ „პიოლო როიალში“ და გაუყენეს კონსტანტინეპოლისაკენ გზას. მოგვიანებით კი მოხდა დატყვევებულების გაცვლა ინგლისელ ტყვეებში.

წერილები

გორა ტაკიძე

ზოგიერთი მოსაზრება დიდი მუხნის შესახებ

XII საუკუნის დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის აბუსერისძე ტბელის ცხოვრება და შემოქმედება უკვე ას წელზე მეტია ცხოველ ინტერესს იწვევს. მისი უმთავრესი თხზულებები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოიცა და ერთ უცხო ენაზეც ითარგმნა, კერძოდ, ფრანგულად.

რუსთაველის უმცროსი თანამედროვე და აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სისხლის შთამომავალი აბუსერისძე ტბელი თავისი დროის დიდი მწერალი და მოაზროვნეა. მისმა პიროვნებამ და შესანიშნავმა მემკვიდრეობამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში მიიქცია ისეთი დიდი მეცნიერის ყურადღება, როგორიც იყო მარი ბროსე. მარი ბროსემ შეისწავლა და ფრანგულადაც თარგმნა ტბელის კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი. ეს გარემოება პირველად ივანე ჯავახიშვილმაც შენიშნა. კეკელიძემ უფრო მოკრძალებულად შეაფასა აბუსერისძე ტბელის მოღვაწეობა: — ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი. ასეთად აფასებდა მას მუსხელიშვილიც. ეს კარგად ჩანს გიორგი კაპადოკიელის ცხოვრების მისეული აღწერიდან. სტილისტურად დახვეწილ ამ შესანიშნავ ნაწარმოებს უარესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი ორიგინალობა. აბუსერისძე ტბელის შემოქმედებაში გატარებული იდეები XIII საუკუნის ოციანი წლების ავტოდობაგამოვლილი ქვეყნის იდეებია. ახლა დიდია ინტერესი ტბელის ცხოვრებისა და მემკვიდრეობისადმი. სასიამოვნოა ითქვას, რომ ამ იდეების განახლების სათავეებთან ქართულ მწერლობაში სწორედ მისი ფიგურა დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ აბუსერისძის-ძენი XI-XIV საუკუნეებში საქართველოს დიდ ფეოდალთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ამ გვარის პირველი წარმომადგენელი, არტანუჯის ერისთავი ივანე აბუსერისძე ბაგრატ მეოთხის მეფობის პირველ წლებში იხსენიება. ბაგრატ მეოთხის დროს აბუსერისძე-ძენი ყოფილან კლარჯეთის (არტანუჯის) და ხიხათა (აჭარის) ერისთავები, აგრეთვე ციხისჯვრისა და აწყურის სამეფო ციხეების გამგებლები, მაგრამ XI საუკუნის II ნახევარში მათ დაკარგეს ჯერ არტანუჯი, შემდეგ ციხისჯვარი და აწყური. XII-XIII საუკუნეში იყვნენ ხიხათა ერისთავთ-ერისთავები. უკანასკნელად აბუსერისძე-ძენი იხსენიებიან მე-16 საუკუნის სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში. ამ საგვარეულოს უდიდესი წარმომადგენელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აბუსერისძე ტბელი დაიბადა 1190 წ. და გარდაიცვალა 1240 წ. იცოცხლა 50 წელიწადი, იყო ერისთავთ-ერისთავის ივანეს შვილი. ტბელი იყო ავტორი რელიგიურ-ისტორიული თხზულებისა, „სასწაულნი წმინდისა გიორგისანი და ანდრძი მთქუმელისაი“ და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატისა, „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა“. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მასვე უნდა ეკუთვნოდეს



„გალობანი სამთა ივანეთა“. რელიგიურ-ისტორიულ თხზულებაში აღწერა აჭარელი გლეხის სამშენებლო საქმიანობა. ეს თხზულება შეიცავს აბუსერისძეთა საგვარეულოს მატინანეს, აგრეთვე, იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების მნიშვნელოვან ცნობებს.

XI საუკუნის შუაზნებებიდან მოცილებული საკუთარი სახელი — „აბუსერი“ დიდად იყო მიღებული აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლში და თითქმის ყოველ მეორე თაობაში იძენდა ახალ სიცოცხლეს. როგორც ისტორიკოსი იური სიხარულიძე შენიშნავს „აბუსერი“ არაბული „აბუსარის“ ოდნავ სახეშეცვლილი ფორმა ყოფილა. იგივე მეცნიერ-მკვლევარი მიუთითებს, რომ როცა XI საუკუნის უცნობი ქართველი ისტორიკოსი კლარჯეთის პატრონს ასახელებს, წერს: „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერისა“. იმ მწვავე პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც იოვანე არტანუჯს ეუფლება, აჭარის პატრონის ღირსებებში ყველაზე მეტად „სიმამაცე“ ფასობდა და მასაც „აბუსერობა“ ანუ არტანუჯის ერისთავობა ამ სიმამაცით მოუპოვებია.

როდესაც იოვანე აბუსერისძის, როგორც ერისთავთ-ერისთავის ღირსებაზე ვლაპარაკობთ, თვალი გადავავლოთ საქართველოს ისტორიას. აღმოჩნდება, რომ ასეთი თვისება იმ დროს ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს ჰქონდა, მაგრამ მას ისინი საქართველოს ერთიანობისა და ძლიერებისათვის როდი იყენებდნენ, როგორც ამას იოვანე აბუსერისძე აცემებდა, თუნდაც გავიხსენოთ კლდეკარის ერისთავი, რომელი მისი თანამედროვე შეედრება ლიპარიტ ბაღვაში-კლდეკარის ერისთავს სამხედრო და პოლიტიკური სიქველითა და სიძლიერით, თავისი მამაცობით, მაგრამ მისი სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე საქართველოს გათიშვას და დასუსტებას ეწირებოდა, რისთვისაც იგი საკადრისად დაისაჯა კიდეც. აჭარის ერისთავის იოვანე აბუსერისძის ნიჭიერება, მისი სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე საქართველოს ერთიანობასა და წინსვლას ემსახურებოდა. სამეფო ხელისუფლება ღირსეულად აფასებდა ასეთი ერისთავების ერთგულებასა და სიმამაცეს და იოვანესაც მიეგო მისი ხედრი. მას პირველს ხვდა წილად გამხდარიყო არტანუჯის ერისთავი და საკუთარი სახელი ფართო პოლიტიკურ სარბიელზე გაეტანა. აბუსერისძეები და კერძოდ იოვანე აბუსერისძე რომ მამაცი და ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო, ეს იქედანაც ჩანს, რომ მან მიიღო ხიხათის ერისთაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაღალი ტიტულის მოსაპოვებლად მისთვის სიმამაცე, სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე არ იქნებოდა საკმარისი. ამისათვის, აგრეთვე, საჭირო იყო მეფისადმი ერთგულების გამოჩენა. აჭარის ერისთავის ორივე ეს თვისება განსაკუთრებით გამოჩნდა XI საუკუნის ათიან წლებში და შესაფერისად დაწინაურდა კიდეც.

თავისი ეპითეტი „აბუსერი“ იოვანე ერისთავმა საკუთარ სახელად მისცა მემკვიდრეს და იმათაც შთააგონა, რომ სიმამაცე და შეუპოვრობა, მეფისადმი ერთგულება და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა ყოველი პიროვნების უპირველესი მოვალეობაა. მამის კვალზე კარგა ხანს მართლაც მამაცურად მიდიოდა აბუსერ-პირველი, რომელიც გარდა არტანუჯისა და ხიხათისა, როგორც ზემოთ იყო თქმული, აგრეთვე იგი ციხისჯარის (დღევანდელი აბასთუმნის ხეობა) და

აწყვრის ციხის (მტკვრის ხეობა) პატრონიც. რა ბედი ეწია ამ მოღვაწეს იმ შფოთიან დროში, როცა საქართველოში დიდი შინაომები ბოობქრობდა, არ ჩანს. ის კი აშკარაა, რომ აბუსერ პირველმა და მისმა შვილმა გრიგოლმა ცხარე ბრძოლები გადაიტანეს. იოვანე აბუსერის შთამომავლებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხანა დაუდგა 1046 წელს, როცა საქართველოს მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა კლდეკარის ერისთავმა არტანუჯის დაპატრონება მოინდომა და აბუსერ პირველიც კარგა ხანს ჰყავდა ციხეში გამომწყვდეული. მართალია, ბაგრატ მეფემ გამოიხსნა ერთგული ერისთავი (ბაგრატმა გაათავისუფლა მძევლად აყვანილი ლიპარიტის შვილი და ამის სამაგიეროდ ლიპარიტ ბაღვაშმა მოხსნა ციხეზე ალყა), მაგრამ სასირეთის ბრძოლაში (შიდა ქართლი) აბუსერი მაინც ვერ აცდა ტყვეობას. ასე ბედუკლმართად დასრულდა აბუსერ პირველის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა. მალე მისი ბედი მისმა შვილმა გრიგოლ ერისთავთ-ერისთავმა გაიზიარა. არყის ციხესთან (ახლანდელი ახალციხის რაიონი) კლდეკარის ერისთავმა გრიგოლ აბუსერისძეს არტანუჯი გამოსტაცა და თავად დაიჭირა. გრიგოლ ერისთავმა ამ დათმობით სიცოცხლე შეინარჩუნა, მაგრამ მამა-პაპის დიდი ბრძოლებით მოპოვებული კლდეკარის ერისთავობა დასთმო. ეს მოხდა 1047 წ. აბუსერისძეებმა ვერც ყველის ციხე და თავისი ქვეყანა შეინარჩუნეს. თუ როდის დაკარგა ზემოთ მოხსენებული ქვეყანა, წერილობითი წყაროებით არ არის ცნობილი, მხოლოდ დასტურდება ის, რომ ყველის ციხე და ყველის ერისთავობაც XI საუკუნის 60-იან წლებშიც ჯაყელების ხელშია. ასე შემცირდა თანდათანობით აბუსერისძეთა სამფლობელო. ამის შემდეგ მათი აღზევების გზაზე გამოსვლა აღარ მოხერხდა, თუმცა არაერთხელ სცადეს.

მწერლის დედა ეკატერინე მეტად სათნო და განათლებული მანდილოსანი ყოფილა. იგი სულიერადაც ახლოს ყოფილა შვილთან, ეკატერინე ხვარაზმელების შემოსევასაც მოესწრო.

მწერლის მამა — ივანე ერისთავთ-ერისთავი თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულა. ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვობას იწვევს მწერლის დაბადების თარიღი. არის მოსაზრება, რომ იგი დაბადებული უნდა იყოს XII საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ, 1190 წ. ახლოს. თუ გონების თვალთ გადავხედავთ ყველა არსებულ არგუმენტს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჭეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოს აღნიშნული ვარაუდია.

ტბელის მემკვიდრეობიდან ჯერჯერობით რამდენიმე თხზულებაა ცნობილი, რომელთა შორის გამოირჩევა „ჯერ არს ხსენები შუენიერისა და დიდისა თხოვნისაი“, რომელშიც გადმოცემულია ქართველი ქვეთხური ბასილის ცხოვრება, რომელიც სამშობლო კუთხიდან ფოცხოვიდან წასულა“ ქვეყანასა სომხეთისასა მახლობლად თბილისისა“. ქვეთხურის თავისი სამშობლოდან სამუშაოდ წასვლას სიგლახავე აიძულებდა, რომელსაც თან ახლდა ცხმორისის (აჭარა) მკვიდრნი.

„ანდერძში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხიხანის წმინდა გიორგის ახალი (ქვის) ეკლესიის შენობას. აქ უკვე რეალური ამბავია მოთხრობილი. ჩანს, რომ ხიხანში ეკლესია ყოფილა, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. მისი შეცვლა ეტყობა, ადრე ჰქონდა განზრახული აბუსერისძეებს, მაგრამ ამისათვის



ვერ მოუცლიათ. აბუსერისძე ტბელმა მაშინ დაიწყო ეკლესიის განახლება, თუ ახლის აშენება, როცა თხზულების დაწერა მოუფიქრებია.

მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს იმ „დიდ ჭირს“, რომელიც ამ ეკლესიის მშენებლობაზე უნახავს, განსაკუთრებით მიუთითებს სოფელ ბაკოს მცხოვრებთა მიერ გადატანილ ჭირზე“. ეკლესიის აშენებისათვის სხვებსაც უზრუნიათ, მათ შორის ყოფილა მწერლის მეუღლე მაგული, რომელმაც საკმაო წვლილი შეიტანა ტაძრის მშენებლობაში.

მკითხველში დიდ ინტერესს იწვევს აბუსერისძე ტბელის კალენდარულ-ასტრონომიული თხზულება. ამ თხზულებაში ავტორი განიხილავს იმ განსხვავებასაც, რაც ქართულ და ბერძნულ წელთაღრიცხვებს შორის არსებობდა. სხვათა შორის, მან კარგად იცოდა „სპარსთა“ კალენდარის ცდომილება და ისიც, თუ რატომ მოძრაობს რამაზანი.

აბუსერისძე ტბელის კალენდარულ-ასტრონომიული თხზულება სახელმძღვანელოდ ყოფილა გამიზნული, მაშასადამე, იგი პედაგოგიურადაც გამართული უნდა ყოფილიყო. ტბელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან აქაც დიდ წარმატებას მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხაზით არაერთ ქართველს უმოღვაწია ტბელამდე (იოანე ზოსიმე, იოანე შავთელი) და სხვები, მაგრამ ისინი სასულიერო პირები იყვნენ, ხოლო აბუსერისძე ტბელი საერო პირი გახლდათ. საერო პირთა შორის იგი პირველია, რომელმაც ასეთ რთულ საქმეს მოკიდა ხელი და წარმატებითაც გაართვა თავი.

როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, მწერლის ცხოვრება და მისი შემოქმედება ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. მისი შესწავლა დროის საქმეა. ამ მიმართულებით მუშაობა არ წყდება, ჩვენი სახელოვანი მეცნიერები იმედია ჯეროვნად შეისწავლიან ამ სახელოვანი მამულიშვილის შემოქმედებას და ახალი ცნობებით შეავსებენ ამ დიდი ქართველის ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლებს.



3. გურიელის წარმომადგენელი პარისისაღმადმომწესი

საყოველთაოდ ცნობილია მე-19 საუკუნის საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა. შეჭირვებას ნაჩვევი ქართველი ერი შეაყვანა ცარიზმის გამარჯვებული პოლიტიკის სიმძაფრემ. მისი უპირველესი ნიშანი გახდა ერის სულიერი აქტიურობისა და ისტორიული განვითარების პერსპექტივის აღკვეთა (რადიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ. 1986, გვ. 6). ამიტომ იმ მძვინვარე ეპოქის პატრიოტ მამულიშვილთა უმთავრეს საგნად იქცა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნული თვითშეგნების გამოვლინება. ამ მიმართებით სამაგალითოა ერის ისეთი ღირსეული შვილების მოღვაწეობა, როგორც იყვნენ გრიგოლ დავითის ძე გურიელი (1819-1891) და რადიელ დავითის ძე ერისთავი (1824-1901), რომლებიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდნენ რუსულ ადმინისტრაციაში და თავად კარგად ზედგავიდნენ იმ კურსს და სიავსს, რასაც რუსეთის ხელისუფლება ადგა. ორივეს რუსული მუნდირი ეცვა, რომლის ქვეშ სამშობლოსათვის უძველესი გული და თავისი ხალხის სასიცოცხლო მისწრაფებების დამცველად დარჩნენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

ეს მძიმე საქმე იყო. ასეთ ადამიანებს დიდ ტაქტთან და ზომიერებასთან შერწყმული გამბედაობაც ესაჭიროებოდათ, რათა ცარიზმის ოფიციალისათვის სრულიად საწინააღმდეგო დაეპირისპირებინა (თემურ ჯაგოდნიშვილი, რადიელ ერისთავი, თბ. 1986, გვ. 20). გრიგოლ გურიელს და რადიელ ერისთავს საამისოდ ყველაფერი აღმოაჩნდათ: ბუნებრივი ზომიერების გრძნობაც, პიროვნული სიმტკიცეც, გამბედაობაც და, რაც მთავარია, ქართული ყოფის ღრმა ცოდნაც.

ყოველივე ეს კარგად ჩანს გრიგოლ გურიელის მიერ თავისი მეგობრისადმი, რადიელ ერისთავისადმი 1882 წლის 30 ოქტომბერს მიწერილი წერილიდან, რომელსაც ჩვენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მივაკვლიეთ და, რომელშიც დიდი მამულიშვილი გულისტკივილით ეხება რუსიფიკატორულ რეჟიმის შედეგებს, იმედგაცრუებული საქართველოს საველადო მდგომარეობას. ქართული ენის ბედს და სხვა. მკითხველს რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეს ამიტომაც გრიგოლ გურიელის წერილი სრულად მოგვაქვს.

„ჩემო კარგო ძმაო რადიელ!

გრძნობითა ძმათა მოყვარებისათა, ვისურვებ კეთილდღეობასა და წარმატებასა შენსა, კაცობრიობის ბრძოლასა შინა. მე ვითარცა მოხუცთ და დროთა უკუდმა ბრუნვისაგან უღონოდ ქმნილი, შემწეობისათვის მოყვასთა ჩვენთა, თუმცა მსურველ სულთა და გულთ. მაგრამ ხშირად ვისიამოვნებ წაკითხვითა ქართულსა მწიგნობრობასა შინა ერთგულთა მამულის შვილებისაგან გამოთქმულთა თან გრძნობასა წარმატებისათვის ჩვენის ტკბილისა დედა ენისა, რომელიც აქამდე

დროისაგან მიძინებული იყო საკუთარს ოჯახში, სიზმრებისაგან შეძფოთებული, რომლისგანაც ვგონებ თქვენის წყალობით ახლა კი გამოიღვიძა და თუმცა დადგა ფეხებზედ, მაგრამ ჯერ შიშისაგან გავლას ვერ ბედავს თავის სოფელშიდ გამომგზავრებას შვილების სანახავად, რადგან იჭენეულობს, ვაი თუ დამივიწყესო და აღარ მიმიღონო, არა ბატონო, მადლობა ღმერთს ჯერ საკუთარი შშობელი ჩვენში არავის დავისწყებია და არც შეიძლება, ჩვენი გურულები ნატრობენ და დიდის მხიარულებით ელიან მის მობრძანებას და მასთან ჩვეულებისამებრ მუსაიფობას და დარბაისლობას გალობით, მხოლოდ საჭიროა კარგი წინამძღვარი მცოდნე გზის კაცი, რომ მისი შვილები ყოველს კუთხეში აჩვენოს; მეტი არა უნდა რა. მერე თვითონ მან იცის რა ქნას — იცოდე, ვაი მას ვინ ხარ კაცი მოგვეხმარეთ ენა ამოგვაბმევენეთ!

ძმო რაფაელ, მინდა მოგახსენო იგი ფრიად ჩვენთვის მძიმე და დამჩაგრელი ჩვენი გარემოება, რომლითაც ჩვენ შემოზღუდლვართ ადამიანთა უმეცრებისაგან, განზრახულებით ქმნილ ჩვენთა მსაჯულებთაგან.

აგერ ოთხმოცი წელიწადი არის, რაც რომ საქართველოში მართლმადიდებელ რუსეთის მართებლობა სუფევს და არსებობს ვითარცა ერთ სარწმუნოებით ჩვენთანა შეკავშირებულნი ძმები; მაგრამ ყოვლად სანუგეშოდ ჩვენდა აქამომდე არას ვხედავთ: არცა ერთსა რუსთაგანსა არათუ მოუსურვებით ჩვენი დედა ენა, ჩვეულება, ზნეობა, ხასიათი, ადგილობრივ ბუნებიანი ჩვენი ეროვნების ცხოვრება, ძველ და ახალ ისტორიულად შეესწავლათ და მისდა შესაბამისად მართლმსაჯულება მიენიჭებიათ ჩვენთვის, არამედ ახლა კი ნათლად სჩანს განზრახულება და ხელოვნებითი მოქმედება მათი, ჩვენი დაჩაგვრისათვის წინააღმდეგ ბუნებისა ჩვენისა და მგონია საზოგადოთ კაცობრიობისა, ეს გარემოება სამწუხაროა. ფაქტია თუ არა? მაშ ნულარ გავიკვირებთ, რომ ჩვენი ეტლი დღეს უკუღმა ბრუნავდეს. მართალს ამბობს ჩვენი ანდაზა ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო კი მაკვირვებსო. დიახ, ბატონო, პირველად უეჭველად გვწამდა მათი ძმობის სიყვარული და მათგან ბოძებული პირობებიც, რომელიც წაიხილეთ კაცი. თურმე ბატონო შეჩვენებულის მაკიაველის მცნებაზედ იყო დაფუძნებული, რომლისაც ცნობა იმ დროებში არავის ჩვენს მეცნიერთაგანს არ შეეძლო, მაგრამ ეს გაგრძელებული ბოლო, ჭოროხამდი და ტაოს კარამდი, მხოლოდ რამდენიმე ოჯახის შვილებს საგრძნობლად თუ აკვირვებს თორემ სხვათა უმრავლესთა მემამულეთა ჩვენთა უმეტეს რუსულს ენაზედ და მათ შორის განვითარებულთა ყრმათა დედა ენის დავიწყება აღარ აკვირვებს და არცა საგრძნობლად და სასირცხოდ უჩანთ — მათ რომელთაც გავს საკმაოთ მიუერთმევით მოსკოვში, კვასი ბოლოკით შემზადებული და ურჩევნიათ კახურს ღვინოს და ჩვენს მწვანისლს, უფრო მისთვის, რომ უკეთ სლავიანურად ამოქარებინებს პირისაგან სხვადასხვა კატკოვის ადმინისტრაციულ ლექციებს მხოლოდ ქანქართა და ტალანტთა შემონებისათვის მსგავსად კარაპეტებ ავეტიკიანციებისა, მაგრამ არა მგონია რომ ესრეთი გრძნობის შებღალვა ჩვენთა ყრმათაგან და ოჯახის პარტახად დაგდება ბოლოს სანაღვლელოთ და მოსანანიებლად რომ არ დაურჩესთ, უფრო მათ, ვისაც ჰგონიათ ვითომც ევროპული განათლება მიიღეს და მით უფრო სიამოვნებით ვიცხოვრებთ ევროპის სასტუმროებშიო. ვაი ამ დღის მომსწრეს! ვაი

შენს ბუჭუას! განა სხვის სასტუმროში ნაყიდი სასმელ-საჭმელით, კიდე ვინ იცის ვისი და რისგან შემზადებული, სიამოვნებით ყოველთვის ცხოვრება შეიძლება ქართულ ბუნებისაგან? ეი, ადამ! არ შეიძლება, კარგი მამულისშვილისაგან სიამოვნებით ცხოვრება გარდა საკუთარის ოჯახისა, რომელსაც გონიერი მამულისშვილი არასოდეს არ დაშორდება თავის ბუდეს, რომელშიდაც გამოზრდილა და დიდის მსხვერპლით მამა-პაპათა მათა აუღიათ და მათ კეთილ ცხოვრებაშიდ დაუფუძნებიათ, ვითარცა ჩვენი შთამომავლობის ისტორია მოგვითხრობს“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქმე №469, ფ. 2-3).

გრიგოლ გურიელი თავის წერილში ყოველივე ზემოთ თქმულს ლექსის სახით ამთავრებს და რაფიელ ერისთავს ასე მიმართავს:

„ამასთანავე მომირთმევია ჩემი ნაჩხრეკ ალიან ჩალიანები ყმაწვილობის მოსაგონებლად, შეასწორ-შემოასწორე და გაასწორე თუ ივარგოს.

ღმერთმან იცის არ მინდოდა მოყვასთათვის მრუდეთ მეთქვა,

რაცა ვნახე მათგან ქმნილი დამეფარა არც კი მეთქვა,

მოთმინებამ შემაწუხა ვერ გავუძელ რომ არ მეთქვა,

მითხრა გრძნობამ ნუ დაფარავ, რაცა ნახე სჯობს რო სთქვა.

კინალამ სამთელი დაგვემსო და წავიდნენ ჩვენი ღღენია.

იმარხვება ვხედავთ რომელსა ვერც გაუღდნენ სხვანი ერია

მაგრამ ვსასოებთ უფალსა არ მოგვიძულებს მგონია;

ვიღვაწოთ ძმათა ჩვენთათვის, რომლისა აწ ნუ გრცხვენია.

მარად შენი ერთგული ძმა

გრიგოლ გურიელი

ოქტომბერს 30 დღ. 1882 წელსა, „ოზრახეთი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი, საქმე №469, ფ. 3).

როგორც თვით წერილიდან ირკვევა, გრიგოლ გურიელს, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს რუსეთის ხელისუფლების მოხელე იყო და ყოველივე კარგად იცოდა, დიდხანს არ უნდოდა თავის წერილში მოყვანილი ფაქტების გამხელა, მაგრამ როგორც თვით აღნიშნავს მოთმინებას შეუწუხებია, უთქმელობას თქმა უმჯობინებია და თავისი სათქმელი მეგობრისა და სამშობლოს დიდი გულშემატკივარისათვის რაფიელ ერისთავისათვის გაუნდვია.

წერილიდან აშკარად ჩანს გრიგოლ გურიელის შემფოთება და დიდი გულისტკივილი იმის გამო, რომ „ოთხმოცი წელიწადი არის რაც საქართველოში მართმადიდებელ რუსეთის მართებლობა სუფევს... მაგრამ ყოვლად სანუგეშოდ ჩვენდა აქომამდე არას ვხედავთ“. რომ ნათლად წარმოჩნდა მათი განზრახულება და მოქმედება ჩვენი დაჩაგვრისათვის, შევიწროებულია ქართული ენა, არავის რუსთაგანს არ მოუსურვებია შეესწავლა ქართველთა ზნე-ჩვეულება, ხასიათი, მათი ცხოვრება, მათი ისტორია და მის შესაბამისად მართლმსაჯულება მიენიჭებინათ ჩვენთვის — სამართლიანად წერს გრიგოლ გურიელი.

თითქოს სხვა ქვეყნის ბაზარზე და სხვის პროდუქციაზე შემყურე საქართველოს დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ ვითარებასაც ესადაგება დიდი მამულიშვილის



გაფრთხილება რომ „განა სხვის სასტუმროში ნაყიდი სასმელ-საჭმელით, კიდე ვინ იცის ვისი და რისგან შემზადებული, სიამოვნებით ყოველთვის ცხოვრება შეიძლება ქართულ ბუნებისაგან?“ და პასუხს თვითონვე გრიგოლ გურიელი სცემს: „ეი ადამ! არ შეიძლება“. ასევე საყურადღებოა წერილის ავტორის ბრძნული დარიგება, რომ „არ შეიძლება კარგი მამულისშვილისაგან სიამოვნებით ცხოვრება გარდა საკუთარის ოჯახისა, რომელსაც გონიერი მამულიშვილი არასოდეს დაშორდება თავის ბოლეს, რომელშიდაც გამოზრდილა“. **დასკვნა ერთია: ბედნიერება ადამიანში ახოლოდ**

საკუთარ ოჯახში, მხარეში, თავის ქვეყანაში უნდა ეძიოს, რომელსაც არასოდეს არ უნდა დაშორდეს. გულშემატკივარი მოძღვარი წერილში თავის მეგობარს მიანიშნებს იმაზეც რომ იგრძნობა კარგი წინამძღვრის, გზის მცოდნე კაცის დეფიციტი და დასძენს „საჭიროა კარგი წინამძღვარი მცოდნე გზის კაცი, რომ მისი შვილები ყოველს კუთხეში აჩვენოს, მეტი არა უნდა რა“. დიახ, საქართველოს ღირსეული მამულიშვილები ყოველ ეპოქაში და ყოველ კუთხეში ჰყოლია, მაგრამ მათს წარმოსაჩენად, მათთვის მწვანე შუქის ასანთებად, ნაკლებად გარჯილან და ეს პირველ რიგში კარგ წინამძღვარზეა დამოკიდებული. ეს ვერსიაც და შენიშვნაც დღევანდელ საქართველოს, მის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანწილად ეხება.

ასეთია მართლაც გონიერი მამულიშვილის გრიგოლ გურიელის პოლიტიკური მრწამსი, მისი ზემოთ მოტანილი წერილიდან დანახული მე-19 საუკუნის საქართველო და ის ბრძნული მითითებები, რომელთა გათვალისწინება დღესაც აქტუალურია.





აჭარლები კახეთში

1989 წლის აპრილის სტიქიური ბუნებრივი პროცესების შედეგად გაფართოვდა მიგრანტთა ჩასახლების გეოგრაფიული არეალი, დემოგრაფიული სპექტრი, რაოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრები. ჩამახლება მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი, სტიქიურ ბუნებრივ მოვლენებთან ერთად, მიგრაციულ პროცესებს გარკვეულწილად განაპირობებს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის სხვაობა, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია შრომითი დანახარჯების რეგიონული ეფექტიანობის დიფერენციით. ეს განსხვავება აშკარადაა გამოხატული რთული რელიეფის მქონე რეგიონებში, სადაც ტექნიკური პროგრესი ჯერ კიდევ დიდადაა დამოკიდებული გეოგრაფიულ ფაქტორებზე, რელიეფზე, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. სწორედ ამის შედეგია რომ საქართველოში, მრავალრეგიონიან ტერიტორიულ სისტემაში, ერთნაირი შრომითი დანახარჯებით მიიღება სრულიად განსხვავებული ეკონომიკური შედეგები, რაც პირდაპირ აისახება ცხოვრების პირობებსა და დონეში. ცხოვრების დონეთა სხვაობა კი მიგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი სტიმულატორია.

აჭარელთა განსახლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სტიქიითა და მცირემიწიანობითაა განპირობებული. ბუდეშლილი აჭარლები ისევ მშობლიურმა ქვეყანამ შეიფარა. აჭარელს შეგხვდებით სამცხეში, ჭავჭავაძეში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, ქართლში თუ კახეთში, მაგრამ მშობლიური კერიდან ყველაზე უფრო შორს ჩასახლება მაინც ისტორიულ ქიზიყში დამკვიდრებულთ ზედა წილად.

დედოფლისწყაროს რაიონი საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთია. 1998 წლის მონაცემებით რაიონის მოსახლეობის 78,4 პროცენტს შეადგენენ ქართველები, მათთან ერთად ცხოვრობენ რუსები (9,3%), აზერბაიჯანელები (5,9%) და სომხები (2,5%). აღნიშნული მონაცემები შეესაბამება ხალხთა მოსახლეობის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს და დემოგრაფიული თვალსაზრისით რაიონი გართულებას არ მოასწავებს, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ალაზნის მარჯვენა ნაპირის დაუსახლებელი მიწების იჯარით დამუშავების ნებართვა მოითხოვეს მაშინდელი საკავშირო მთავრობისაგან. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ სწორად შეაფასა ეს მდგომარეობა პერსპექტივის თვალსაზრისით და გადაწყვიტა იქ აჭარის მთიანეთიდან ჭარბი მუშახელის ჩასახლება, ამ მიზნით დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სამთაწყაროში, ცოტა მოგვიანებით ფიროსმანში.

დღევანდელი სამთაწყარო — ისტორიული ბედუქუდმართობის გამო გაუქაცრიელებული იყო. 1928-29 წლებში აქ საინგილოდან გადმოსახლდნენ ემრაშვილები, საკანელაშვილები, ბაბიაშვილები, ნადირაშვილები, სულ ათიოდე

ოჯახი. ლელეში სამი წყარო გამოდიოდა, ამიტომაც ახლადდაარსებულ სოფელს სამთაწყარო შეარქვეს. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას წააწყდნენ ქვევრებსა და სამარხებს, რამაც ახლადდამკვიდრებულ ინგილოებს ვენახის გაშენება აფიქრებინა.

ამ მიდამოებში რომ ადრე მჭიდრო დასახლება ყოფილა, მეტყველებს დღემდე შემორჩენილი ხალხური ლექსი:

„საბუელი ქალი ვიყავ, კორუმელი პატარძალი,
დილიჩას ჯვარი დამწერეს, ეკლესია სადაც არის“

გადმოცემით დღევანდელ დილიჩას ადრე ჯეირანის ველი ერქვა. აზერბაიჯანელები მას ახლაც „ჯეირანჩოს“ ეძახიან, ადგილობრივი კი „წინამინდორის“ სახელით მოიხსენებენ. (თ. ფუტყარაძე. განახლებული სამთაწყარო „საისტორიო მაცნე“ №4 1996 წ. გვ. 35). იგი ადრე ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა. 1979 წ. მევენახეობის მეურნეობის მშენებლობა დაიწყო.

1979 წელს აჭარიდან 30 კაცი ეწვია სამთაწყაროს, როგორც დამკვირვებლები. ისინი დარწმუნდნენ, რომ მშრომელ კაცს აქ უკეთ შეეძლო ცხოვრების მოწყობა, მით უმეტეს, რომ პავა და ბუნებრივი პირობები ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნიდა მიგრანტთა ფიზიოლოგიური ადაპტაციისათვის. მართალია, ჯერ არ დაეწყოთ საცხოვრებელი დაბის მშენებლობა (მაშინ მარტო პროექტი არსებობდა), მაგრამ აჭარლებმა გამოთქვეს აქ დასახლებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში მონაწილეობის სურვილიც.

პირველად სოფელში 1981 წელს დამკვიდრდნენ: ისმაილ, ალიოზა და ედუარდ დიმიტრაძეები, ხელაძეები, ბერსელიძე და სხვები. საცხოვრებელი ბინების აშენებამდე ისინი ვაგონებში ცხოვრობდნენ. დღეისათვის სოფლის 360 კომლიდან 170 აჭარულია ოჯახია. (ციგანი 1 ოჯახი, სომხები 2 ოჯახი, აზერბაიჯანელები 12 ოჯახი, ოსები 1 ოჯახი, ბალყარელები 1 ოჯახი და სხვა მათი დიდი ნაწილი გაქართველდა). სოფელში მოსახლე აჭარელთაგან ძირითადი ნაწილი ჩასახლებულია ხულოს რაიონიდან, ნაწილი კი შუახევიდან. კერძოდ: ხულოს რაიონიდან — კვატია, თხილვანა, ჩაო, ხიხაძირი, სკვანა, კალოთა, რაქვთა, ყინჩაური (აბაშიძეები, ბერიძეები, ბოლქვაძეები, გაბაიძეები, გუნდაძეები, დუმბაძეები, ზანდარაძეები, მახარაძეები, მამულაძეები, პაქსაძეები, სურმანიძეები, ქამაშიძეები, ღორჯომელაძეები, შაინიძეები...). შუახევის რაიონიდან — ნალვარევი, წაბლანა, შუბანი, ჟანიგორი, ნენია, კობალთა (ჭალაღიძეები, ცეცხლაძეები, ქარცივაძეები, ქათამაძეები, ფუტყარაძეები, ტარიელაძეები, მუჟანაძეები, მახარაძეები, ებრაღიძეები, თავდგირიძეები, ბაკურიძეები, ზოიძეები). სოფელში ჩასახლდნენ აგრეთვე ქედიდან (მერისი), ქობულეთიდან (ჩაქვი, დავვა) მაჭახლის ხეობიდან.

სამთაწყაროდან ათიოდე კილომეტრზე 1986 წელს აღორძინდა სოფელი, რომელსაც დიდი მხატვრის საპატივცემულოდ ფიროსმანი უწოდეს.

სოფ. ფიროსმანი რაიონული ცენტრიდან 60 კმ-ის (თბილისიდან 180 კმ-ზე) დაშორებით მდებარეობს. 1979-80 წლებში აქ დაიწყო ალაზნის არხის მშენებლობა, პირველად აქ გადმოსახლდნენ სოფ. სამთაწყაროდან ვალოდია და თემურ ქიძინიძეებისა და დათო თავდგირიძის ოჯახები (კობალთიდან) ძირითადი

ჩასახლება სოფელში დაიწყო 1986 წლიდან, პირველ ეტაპზე აქ 50-მდე ოჯახი დასახლდა. 1987 წ. სოფელს მოაწყდა მიგრანტთა ახალი ნაკადი. დღეისათვის სოფელში ცხოვრობს 158 ოჯახი, მათგან 152 აჭარული ოჯახია, დანარჩენები აქ ქვემო ქედიდან ჩამოსახლდნენ. (რომელთა წინაპრები აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან ჩამოსახლა ვაჟა ფშაველამ).

ფიროსმანიდან 12 კმ-ზე მდებარეობს სოფელი საბათლო, სადაც ორი ბაკოელი აჭარული ოჯახი ფიროსმანიდან ჩასახლდა მთავრობის მიერ შესყიდულ სახლებში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარელთა ჩასახლებას ლაგოდეხის რაიონში, საკუთრივ აზერბაიჯანისა და დაღესტანის მოსახლეზე ჰერეთისკარში. სოფელი გაშენებულია მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ადრე მას ჭიათური ერქვა, რუსთა კომპაქტური დასახლების შემდეგ კი — ივანოვკა დაურქმევიათ. გადმოცემით ლეკიანობის დროს მთელი ეს კუთხე აუოხრებიათ, მხოლოდ ჭიათური გადარჩენილა აოხრებას, ამიტომაც ამ ადგილისათვის „კარები“ უწოდებიათ, აქედანაა წარმომდგარი სოფლის დღევანდელი სახელწოდება — „ჰერეთისკარი“ — ჰერეთში შესასვლელი კარიბჭე.

სოფელში დღეისათვის ცხოვრობს 155 კომლი, მათგან 15 ოჯახი ადგილობრივია (ცისკარიშვილები, ჭიაურები, კასროშვილები), თორმეტამდე რუსული ოჯახია, შვიდი აზერბაიჯანული, სამი ლეკური, ორი ოსური ოჯახი. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, საკუთრივ აჭარლები — 85 ოჯახი, ასევე არიან იმერლები, რომლებიც აქ ასზე მეტი წლის წინ დასახლებულან.

1989 წლის სტიქიური მოვლენების შემდეგ ხულოს რაიონის სოფლებიდან (კვატია, ფუშკურაული, ვერნები, ღურტა) აქ ჩამოსახლდნენ ბერიძეები, დუმბაძეები, სურმანიძეები, აბაშიძეები, ხოზრევანიძეები — სულ 85 ოჯახი. მათი ნაწილი შესახლდა მთავრობის მიერ აშენებულ სახლებში. აღნიშნული საცხოვრებლები აჭარლებისათვის არ იყო აშენებული. ერთ დროს მოწინავე, ეკონომიკურად ძლიერი სოფელი 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაქვეითების გზას დაადგა. ხელისუფლებამ იზრუნა მოსახლეობის მომრავლებისათვის. ამ მიზნით ახლადდაქორწინებულთა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ააშენეს საცხოვრებელი სახლები. ამ პერიოდს დაემთხვა აჭარის მთიანეთში დატრიალებული სტიქიური მოვლენები, რამაც განაპირობა აჭარელთა აქ ჩასახლება.

თორმეტი აჭარული ოჯახი ჩასახლდა ლაგოდეხში. სოფ. ულიანოვკაში, ხულოს რაიონის სოფელ კვატიიდან და რაჭვითიდან (სურმანიძეები 4 კომლი, ბერიძეები 4 კომლი) ერთი ოჯახი კი ამავე რაიონის სოფ. ვარდისუბანში. უკიდურესი აღმოსავლეთის სასახლეგრო ზოლში ქართველთა დამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიღნაღის რაიონში კიდევ ერთი ქართული სოფლის — ერისიმედის აღორძინებას. სიღნაღის რაიონში ზემო აჭარიდან ჩამოსახლებულთა საერთო რაოდენობა 81 კომლია, ხულოს რაიონიდან 65 ოჯახი, 260 სული. შუახევიდან 16 ოჯახი, 67 სული). სოფელ ერისიმედში ხულოს რაიონის სოფლებიდან (ვერნები, უჩხო, ფაჩხა, დეკანაშვილები) ჩასახლდა სურმანიძეების, თავართქილაძეებისა და ძირკვაძეების 30-მდე ოჯახი.

აჭარელთა მცირე ჯგუფი — 24-მდე ოჯახი ჩასახლდა ყვარლის რაიონის სოფელ

თივში. ძირითადად ხულოს რაიონის სოფ. მთისუბნიდან და ბაკოდან (ცეცხლაძეები 3 ოჯახი, მიქელაძეები 2 კომლი, შანიძეები 4 კომლი, ბერიძეები 3 კომლი, დუმბაძეები 1 კომლი).

დღეისათვის სოფელ თივში 7 აჭარული ოჯახია, სამი კომლი ცხოვრობს აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ ქინძმარაულში.

მთლიანად ყვარლის რაიონში ცხოვრობს 34 აჭარული ოჯახი (137 სული). ლეკებთან კონფლიქტის გამო ნაწილი კახეთის სხვა სოფლებში გადავიდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან დაბრუნდა.

აჭარლები შედარებით უფრო კომფაქტურად ჩაასახლეს საგარეჯოს რაიონის სოფლებში: ნინოწმინდა, პატარძელი, ხაშში, გიორგიწმინდა — 300-მდე სული, (მათგან 17 კომლი დამკვიდრდა სოფ. ნინოწმინდაში, ძირითადად ხულოს რაიონის სოფელ ჭერიდან, ერთი ოჯახი (ბერიძე, ბარათელი) შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოდან (სულ 74 სული) ჩაასახლება განხორციელდა 1990 წელს). ნინოწმინდა მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, ადგილობრივთა გადმოცემებით აქ დასახლება წარმართულ ხანაშიც არსებობდა. ადრე ამ სოფელს „ბოდო“, „ბოდისი“, „ბოდავი“ რქმევია და ნიშნავს ციცაბო, შვეულ მთას. სოფლის სიამაყეა V-VI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ნინოწმინდის ეკლესია. ადრე ამ ეკლესიაში სამიტროპოლიტო ყოფილა. შემდეგ საბა ტუსიშვილის სასახლედ ქცეულა. იგი ხელმძღვანელობდა კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, ბოლო ხუთი წელია აქ დედათა მონასტერი მოქმედებს, ეკლესიის ეზოში XII საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჩამოვარდნილი გუმბათის ქვაა. მას შემდეგ არავის უცდია მისი აღდგენა. მონასტრის გუმბათზე არის 9 მოციქულის ფრესკა. ეზოში არის აგრეთვე ჭა, რომელიც ადრე ტაძარს უკავშირდებოდა გვირაბით, რაც ლეკიანობის დროს წარმოადგენდა საიდუმლო გასასვლელს.

რაიონული ცენტრიდან ორიოდე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი გიორგიწმინდა, სადაც სამი აჭარული ოჯახია დამკვიდრებული (2 ხულოს რაიონიდან — აბულაძე და მახარაძე — ძმაგულადან და ვაშლოვანიდან) და ერთი შუახევიდან (შუბანი, ებრაღიძე).

თოთხმეტი აჭარული ოჯახი ცხოვრობს ამავე რაიონის სოფელ ხაშმში. ისინი აქ ჩამოსახლდნენ ხულოს რაიონის სოფელ ჭერიდან, ძმაგულიდან, ვერნებიდან (მახარაძეები, გორგილაძეები, ბოლქვაძეები, სურმანიძეები, მიქელაძეები...).

ძველი ხაშში ანუ კაწარეთი ადრე გაშენებული იყო სამება-კაწარეთის მახლობლად, ხოლო შემდეგ მდ. ლაფიან ხევის მარცხენა სანაპიროზე. კაწარეთის მიდამოები, განსაკუთრებით „ლაფიან ხევის“ გაყოლებით მდებარე ადგილები ჭაობიანი იყო და მალარიის ბუდეს წარმოადგენდა სულხან საბა ორბელიანის განმარტებით ხაშში ავ (ი) ჰაერო (ვ)ანი სოფელია.

სოფ. ხაშმმა განვლო ბედუკუდმართობითა და ქარტახილებით აღსავსე გმირული გზა, ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ხაშში და მისი მიდამოები სავსეა თავდაცვითი ნაგებობებითა და ეკლესია-მონასტრებით.

ხაშმის მშვენებაა სამება-კაწარეთის კათედრალი, ფეოდალ ჩოლოყაშვილების რეზიდენცია და მრავალი სხვა.

ძველი ხაშში ანუ კაწარეთი IV ს-ის შუა წლებში კუხეთის პროვინციის — სუჯეთის საერისთაოს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და იგი ქართლის მეფეთა ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

აღრეული ფეოდალიზმის პერიოდში ხაშში დიდ როლს ასრულებდა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან გეოგრაფიულად განლაგებული იყო კახეთ-ჰერეთის ბუნებრივ საზღვარზე და იმდროინდელ სავაჭრო გზის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტზე — უჯარმის მახლობლად.

დღევანდელი სოფელი ხაშში მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე. მდ. ივრი ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს, დასავლეთით მას ესაზღვრება სოფ. უჯარმა, სამხრეთით სართიჭალა, აღმოსავლეთით სოფ. პატარძეული, ხოლო ჩრდილოეთით შემოსაზღვრულია ციგვომბორის ქედით.

ხაშში დღეისათვის 703 კომლი ცხოვრობს (1917 სული). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველებია, მათთან ერთად ცხოვრობენ რუსები (3 ოჯახი) აზერბაიჯანელები (3 ოჯახი), ლეკები (ერთი ოჯახი).

1990-91 წლებში ხულოს რაიონის სოფლებიდან: ძირკვადეებიდან და ვაშლოვანიდან ხაშში ჩასახლდა 29 ოჯახი (196 სული), (შავაძეები — 5 ოჯახი, ჯორბენაძეები — 1 ოჯახი, აბულაძეები — 3 ოჯახი, თავართქილაძეები — 9 ოჯახი, კახაძეები — 1 ოჯახი).

პატარძეული ერთ-ერთი უძველესი სოფელია საქართველოში. სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს საინტერესო ხალხური გადმოცემები. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, მონღოლთა ეპოქაში, როცა მამაკაცები მტერს ებრძოდნენ, სოფელში მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები დარჩენილან. სოფლიდან მოშორებით, გაჩინეთში (რუსთავთან ახლოს) დაბანაკებული იყვნენ მონღოლები, რომლებიც დროდადრო თავს ესხმოდნენ სოფელს და აწიოვებდნენ. მოთმინებიდან გამოსული ქალები შეიარაღებულან ცულებით, ნამგლებით, სხვა სამუშაო იარაღებით და მორიგი შემოსევისას მონღოლები გაუწყვეტიათ, მხოლოდ ამბისმომტანი დაუტოვებიათ, რომელსაც ყაინისათვის უცნობებია ეს თავზარდამცემი ამბავი. იგი თურმე თხრობისას ამ ქალებს პატარძლის სახელით იხსენიებდა და ამიტომ ეწოდა სოფელს ეს სახელი.

მეორე ვერსია კი ასეთია: ერთ-ერთ მეფეს უმცროსი ძმისათვის მიუცია საჩუქრად დაუსახლებელი ტერიტორია, რომელიც სახაზინო მიწა ყოფილა, პირველად აქ მხოლოდ ერთადერთი კომლი ჩამოსახლებულა — გვარად ყურჩიტაშვილი, იგი პატარა ტანის კაცი ყოფილა და ამიტომაც მას „პატარაკაც“ ეძახდნენ. შესაძლოა სოფლის სახელიც ამ ზედწოდებას უკავშირდებოდეს.

მესამე ვერსიის მიხედვით, სოფელს თავს ესხმოდნენ ლეკები, ერთ-ერთი თავდასხმის დროს ლეკებს გაუტაცნიათ ულამაზესი პატარძალი, სოფელსაც ამიტომ ეწოდა ეს სახელი. აღნიშნული ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს დღემდე შემორჩენილი ხალხური ლექსი:

„პატარძეულო ნაქებო, ვაჟკაცი იღეთიანო,
ქალო და ძალო ლამაზო, საყდრებო გუმბათიანო,
მანდ რომ ქალი მომიტაცეს, განჯას თათარსა ვყევარო,

დღისით ბორკილსა მადებენ, ღამით ორშუა ვწევარო,
მოკრიფეთ თითო შაური, დამისხნეთ თქვენი ტყვე ვარო“.

ეროვნული
ნიშნითა

აჭარელთა ჩასახლება კახეთში დაკავშირებული იყო ძირითადად სტიქიურ ბუნებრივ მოვლენებთან, თუმცა მათ 1980-ნი წლების დასაწყისში იწყეს აქ დასახლება. აღნიშნული მიგრაცია ეკონომიკური დაინტერესებით იყო განპირობებული, ამავე დროს აჭარლებს გათავისებული ჰქონდათ აქ დამკვიდრების ეროვნული მნიშვნელობაც. სასაზღვრო ზოლში (დედოფლის წყაროს, ლაგოდეხის რაიონები) ქართული ეთნიკური ჯგუფის კომპაქტური ჩასახლება, ეროვნულ-დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. აჭარლები გამოირჩევიან შობადობის მაღალი ტემპებით, ოჯახთა საშუალო სიდიდე 7-8 სულია. მრავლადაა 8-9 და 10 შვილიანი ოჯახები, მიგრანტთა საშუალო ასაკი კი საშუალოდ 30-35 წელია, რაც ალახნის სანაპირო ზოლის ქართველებით დასახლების შესანიშნავ პერსპექტივას იძლევა.

სანაპირო ზოლში აჭარელთა ჩასახლება გამართლებული იყო რელიგიური თვალსაზრისითაც. ქრისტიანული მოსახლეობის აქ დამკვიდრება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით გარკვეულ უხერხულებას გამოიწვევდა, ამიტომ ჩვენი აზრით სწორი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება. როცა მუსლიმანური აღმსარებლობის ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი დაასახლა. აჭარლებმა აქ შეაჩერეს აზერბაიჯანელთა მოწოლა, ნასოფლარებს კი შეექმნა აღორძინების პერსპექტივა.

ჩასახლებული მიგრანტები აღმოჩნდნენ პირველსაცხოვრისისაგან განსხვავებულ, სოციალ-ეკონომიკურ, ეთნოკულტურულ და ბუნებრივ-კლიმატურ გარემოში. კახეთი ერთ-ერთი ცხელი, მცირეწყლიანი რეგიონია და ხასიათდება მეურნეობისა და კულტურის სპეციფიკით. მიუხედავად ამისა ეთნოკულტურული ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს გართულებების გარეშე. მიგრანტთა 82% 1960-1965 წლების შემდეგაა დაბადებული, რაც ადვილებს ახალ გარემოსთან შეგუებას, ამასთან დამხდურმა მოსახლეობამ აქაც სითბო და სიყვარული უჩვენა ახალჩასახლებულებს. შემდგომში თანამცხოვრებმა კიდევ უფრო გააღრმავა მათი ურთიერთობა.

მთიანი აჭარის მოსახლეობას შორის, რომელთა მიგრაციაც განხორციელდა თავისივე ეთნიკურ გარემოში, გაძლიერდა კონსოლიდაციის პროცესი, შესუსტდა დიალექტური თუ ეთნიკური თვითშეგნების ზოგიერთი ლოკალური თავისებურებანი. გამოიკვეთა ტენდენცია ყოფითი კულტურის ზოგიერთი ელემენტის ნიველირებისა. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ადაპტაციის საწყის ეტაპზე და ამდენად ჯერ კიდევ სუსტად ჩანს სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესები.

საერთოდ, ახალ გარემოში ეთნოკულტურული ადაპტაციის პროცესი კომპლექსური ხასიათისაა. იგი მოიცავს აგრეთვე ფსიქოლოგიურ, დემოგრაფიულ თუ სამედიცინო-ბიოლოგიურ თავისებურებებს — განსხვავებული ინტენსივობით. ამავე დროს ცალკეულ სფეროში აღნიშნულ პროცესს თან ახლავს ავტონომიურობა. ამიტომ ეთნიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტების შესწავლისას, საჭიროა

დიფერენცირებული მიდგომა.

მოსახლეობის მიგრაციის თანამედროვე მრავალწახნაგოვანი პროცესის საფუძველი მაინც წარმოებაა, ჩვენს შემთხვევაში სოფლის მეურნეობა. კახეთში ნოყიერი მიწა და მორწყვის პირობებში კარგ მოსავალს იძლევა, მიგრანტებმა სწრაფად აითვისეს და განავითარეს დამხვდურთა სამეურნეო გამოცდილება. კახეთში მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობაა.

მიგრანტებმა ვენახის გაშენების ერთადერთ სწორ გზად აღრინდელისაგან განსხვავებით მიიჩნიეს ფართო რიგები, რაც საშუალებას აძლევს მცენარეს განავითაროს მძლავრი ფესვთა სისტემა და შეინარჩუნოს ტენიანობა. სამთაწყაროს სახელმწიფო მეურნეობის ყოფილი დირექტორის ბეჟან გონაშვილის თქმით „აჭარლებმა მოგვისმინეს და ჩვენზე უკეთ ისწავლეს ვაზის მოვლა“.

ვენახის ჯიშებიდან კახეთში გავრცელებულია: რქაწითელა, ადესა, წაბლიანი, საფერავი, ჭუმი, შხუმი, თითა, საჩირე, მავანი, უწამლია, (ჩოხატაურიდან ჩამოუტანიაო) და სხვა.

აჭარლებმა შეითვისეს ვაზის მყნობის ადგილობრივი წესები, ცალკე არის გამოყოფილი ფართობი ველური ჯიშის — („მწარე“) ვენახისათვის. გვიან შემოდგომაზე აიღებენ ვაზის სალ რქას, დაამყნაინ მოჭრილ სალ საძირე მწარეზე. 2-3 დღის განმავლობაში წყალში ჩააწყობენ, რომ „კარგად ჩაჟდეს მწარე ტკბილში“, მერე შეკრავენ 30-50 ძირის რაოდენობით და აწყობენ წინასწარგამზადებულ ადგილას, თავზე ახურავენ ფიცარს, დააგებენ თივას, რათა შეუნარჩუნონ ნორმალური ტემპერატურა. გაზაფხულზე, როცა დათბება, გადაარგვენ ზვარში. 10-15 სმ-ის სიღრმეზე ამოიღებენ მიწას, შიგ ფხვიერ მასას ჩაყრიან, ზედ გადააყრიან საქონლის პატის და ისე ჩარგავენ. დამყნობი ვაზი უნდა ჩანდეს. 20-30 დღის შემდეგ კვირტი იღვიძებს.

მიგრანტებმა ისწავლეს ვაზის მყნობის მეორე წესიც, რომელსაც ადგილობრივნი „გადაწინგვას“ ეძახიან. გაზაფხულზე ვაზის გასხლეხისას, ძველ ლერწს ააცლიან, ღონიერ ლერწს გადმოხრიან და მიწაში ჩამარხავენ, ისე რომ ლერწი არ უნდა მოტყდეს დედა ძირს, თავი კი უნდა ჩანდეს მიწის ზევით და მიმაგრდეს ჭიგოზე. რაც წეხება მეხილეობას, ჩასახლებულთ პირველსაცხოვრისშიც ჭკონდათ მეურნეობის ამ დარგის განვითარების ტრადიციები. მიგრანტებმა გადაიტანეს ხეხილის გამრავლების წესები, რომელიც არც დამხვდური მოსახლეობისათვის იყო უცხო. კერძოდ, კალაშში მყნობა ხდება შემოდგომაზე, სანამყენე ხეს გადაჭრიან, ზედაპირს კარგად გამოასუფთავენ, შემდეგ სანამყენე დანით ზედაპირს ჩაჭრიან 1-1,5 სმ-ის სიღრმეზე და ისე ჩააყენენ მწარეში დაძინებული კვირტის მქონე კალაშს. შემდეგ ჭრილობას ამოავსებენ თაფლის სანთლით და გარედან ნაჭერს შემოახვევენ. ადრე გაზაფხულზე კვირტი გაიღვიძებს. გაზაფხულზე ხდება კვირტის მყნობაც. შეარჩივენ კვირტს, წინასწარ მომზადებულ სანამყენე მწარეში კანის ქვეშ შეაცურებენ და მაგრად მოუჭერენ ძაფით, რომ მჭიდროდ ჩაჟდეს. შემდეგ კი პოლიეთილენს შემოახვევენ, წყალი რომ არ ჩადგეს — 3 წლის შემდეგ ხეხილი ნაყოფს იძლევა, აქაური რწმენით ნაყოფი პირველად იმან უნდა შეჰამოს, ვინც დაამყნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მცენარე მოუსავლიანი იქნებაო.

ახალ პირობებში ცხოვრებამ შეცვალა როგორც განახლების ფორმა (საკარმიდამო, სერული დასახლება სწორხაზოვანი ფორმით), ისე დასახლების პატრონიმული პრინციპი. ახლა მიგრანტისათვის მთავარი გახდა თავისი ან ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსახლებულთა გვერდით დასახლება, ასე წარმოიშვა აქ კვატიელების, შუბნელების, ფაჩხელების და სხვათა უბნები.

მიგრანტებმა ახალ პირობებში გაიყოლეს მათთვის დამახასიათებელი კერძები. დამხდურთა დიდ მოწონებას იმსახურებს ბორანო, ერიშტა, სინორი, ღოშორვა, ხაპიშოვრა და სხვა.

დამხდურებმა აჭარლებისაგან გადაიღეს რძის პროდუქტების: კარაქის, ნაღების, ყველის, დოს, ნაღულის და სხვა პროდუქტების დამზადების ხალხური ტექნოლოგია. თავის მხრივ აჭარლებმაც განიცადეს დამხდურთა გავლენა და გაამდიდრეს აჭარული სამზარეულო ნივრის მწნილით, ხაჭოსა და ცომის ხინკალით, ვაზის ფოთოლში შეხვეული ტოლმით და ა.შ.

საინტერესოდ მიმდინარეობს ეთნოლინგვისტური პროცესები, რაც ძირითადად დიალექტური ხასიათისაა. ადგილობრივი ინგილოების გავლენით დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში ჩასახლებულია აჭარლების მეტყველებაში შევნიშნეთ ინგილოების მეტყველების ელემენტები: „წაასლელი“, „მაასლელი“, „ლაფლამაზი“ (ძალიან ლამაზი) და ა.შ. თუმცა არის უკუგავლენაც. ჩვენ შეგვხვდა ინგილო მანდილოსანს, რომელიც წმინდა აჭარულ დიალექტზე მეტყველებდა. ზოგიერთმა მიგრანტმა ისწავლა აზერბაიჯანული ენაც.

ეთნოენობრივი პროცესების ცვლილებებზე გავლენას ახდენს შერეული ქორწინებაც. სულ რაღაც ათიოდე წლის მანძილზე 20-მდე ბიეთნიკური (ბერძნულ-ქართული (აჭარული) ქართულ (აჭარული)-ოსური და ა.შ.) ოჯახი შეიქმნა.

ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა ქორწინებებს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის, კერძოდ, შეიქმნა რამოდენიმე კახურ-აჭარული, აჭარულ-კახური, აჭარულ-ინგილოური ოჯახები.

რაც წეება მიგრანტთა საოჯახო ყოფას, საქორწინო ტრადიციებს, დაკრძალვის წესებს თუ საზოგადოებრივი ყოფის ანალოგიურ საკითხებს, იგი ჯერჯერობით უცვლელია.

მართალია ჩამოსახლებულებმა გახსნეს ახალი სასაფლაო, მაგრამ მაინც ცდილობდნენ მიცვალებულის აჭარაში ჩამოსვენებას. განსაკუთრებით მოხუცებისას, ფართო ხასიათი მიიღო მიცვალებულის ოჯახის მიმართ ფულადმა დახმარებამ, რაც უცხო აღარ არის აჭარის მთისათვის.

ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიურმა სირთულეებმა ზოგიერთ მიგრანტს გაუძლიერა უკან დაბრუნების სურვილი. მართალია ადაპტაციის პროცესი შედარებით ნელა და ამავე დროს უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, მაგრამ ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო დროულად ვერ ახერხებდნენ ვაზის შეწამვლას, არ ყოფნით თესლი, ტექნიკა, გაძნელდა აჭარასთან სატრანსპორტო მიმოსვლაც.

მიგრანტთა დამაგრება-დამკვიდრებას საქართველოს აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლში აქვს უდიდესი ეროვნულ-დემოგრაფიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. სწორედ ამიტომაც საჭირო ამ პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა.

ჯურაბ ჳირცხალწვეილი

შტრიხები ხელოვანის პორტრეტისათვის

შტრიხი პირველი

დაბადების დრო და ადგილი: 1941 წლის 3 ივნისი, ქ. ბათუმი

ეროვნება: ქართველი.

მოწოდებით — ქორეოგრაფი, პროფესიით — ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

პირველი მასწავლებლები ქორეოგრაფიაში: საქართველოს დამსახურებული არტისტი თემელ მიქელაძე, საქართველოს სახალხო არტისტები ენვერ ხაბაძე და ალექსანდრე ჳიჯიეშვილი.

კომენტარი პირველი

როცა თამაზ ბეჟანიძე ქალაქ ბათუმის №1 საშუალო სკოლაში მიიყვანეს, ომის მრისხანე წლები ახლად ჩათავებული იყო და ბუნებრივია, შემოქმედებითი ნიჭითა და ნათელი გონებით დაჯილდოებული ყმაწვილის ცხოვრებაც უშფოთველად წარმართა. თამაზი კარგი ინჟინერი, მათემატიკოსი ან ფიზიკოსიც შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ განსაზღვრა მისი მომავალი.

შემთხვევა პირველი

ბეჟანიძეების ოჯახთან მეგობრობდა შესანიშნავი ქორეოგრაფი თემელ მიქელაძე, რომელიც პატარა ბიჭის სიმკვირცხლით, მოქნილობითა და დახვეწილი მანერებით მოიხიბლა და მშობლებს შესთავაზა, თქვენს ვაჟს ქორეოგრაფიაში გაეწაფავო. სწორედ აქედან იწყება გზა ხელოვნებისაკენ. მალე თამაზი ბათუმის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ვარსკვლავეთში“ ჩაირიცხა. აქ კიდევ უფრო დაიხვეწა და წარმოჩნდა მისი შესაძლებლობები, რადგან ანსამბლს ნიჭიერი შემოქმედი ალექსანდრე ჳიჯიეშვილი ხელმძღვანელობდა. პედაგოგებში ნამდვილად სწყალობდა თამაზს ბედი. თემელ მიქელაძეს და ალექსანდრე ჳიჯიეშვილს, ამ ორ უაღრესად თავისთავად და თვითნაბადი ნიჭის ხელოვანს, დიდი წვლილი მიუძღვის თამაზის შემოქმედებით ფორმირებაში.

შტრიხი მეორე

მაგრამ მოხდა ისე, რომ ორი წლის შემდეგ იგი „ვარსკვლავეთს“ გამოეთხოვა. მიზეზი? მისი ხშირი ავადმყოფობა და ექიმების კატეგორიული მოთხოვნა,

ქორეოგრაფიას აღარასოდეს დაბრუნებოდა. ტრაგედია თუ გინდათ, ჩვენს ქვეყანაში იყო, ძალიან უჭირდა ბიჭს იმის დაჭერება, რომ თავისი ცეცხლოვანი ილეთებით აუდიტორიას ველარ აღაფრთოვანებდა. თამაზი ბედს ადვილად როდი დამორჩილდა, ცეკვის ტრფივალს მის გულში ღრმად გაედგა ფესვები. იგი შესაფერის შემთხვევას ელოდა ფრთების გასაშლელად. შემთხვევამაც არ დააყოვნა.

შემთხვევა მეორე

1952 წელს „ვარსკვლავეთის“ ხელმძღვანელობა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარმა ქორეოგრაფმა ენვერ ხაბაძემ გადაიბარა. მან აქ სრული რეორგანიზაცია მოახდინა და დაიწყო განსაკუთრებული მონაცემებისა და ნიჭის მქონე გოგო-ბიჭების შერჩევა ფაქტობრივად ახალი ანსამბლისათვის, რომელსაც „გაზაფხული“ დაარქვეს. მალე მან უძლიერესი საბავშვო ქორეოგრაფიული კოლექტივის სახელი მოიპოვა საქართველოში.

კომენტარი მეორე

ნიჭიერი ადამიანის ცხოვრება ზოგჯერ უკვალოდ ჩაივლის, თუ შესაბამისი მონდომებაც თან არ ახლავს. ერთ პროცენტ ნიჭს პლიუსს 99 პროცენტი მუყაითი შრომა და მონდომება, ასეთია ზოგადი ფორმულა ნიჭიერებისა. საბედნიეროდ, ღმერთმა თამაზს ერთიცა და მეორეც მომეტებულად დაანათლა, რაც მხედველობიდან არც ცეკვის დიდოსტატ ენვერ ხაბაძეს გამორჩენია.

შემთხვევა მესამე

1957 წელი უბედნიერესია თამაზის ცხოვრებაში. ერთ მშვენიერ დღეს ენვერ ხაბაძემ იგი გვერდზე გაიხმო და ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს აჭარის სახელმწიფო ანსამბლში გადასვლა შესთავაზა. წინადადება სიხარულით იქნა მიღებული, აქედან იწყება მისი პროფესიული მოღვაწეობა ქართულ სცენაზე.

შტრიხი მესამე

აჭარის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლში საბოლოოდ დაიხვეწა თამაზ ბეჟანიძის საცეკვაო სტილი, მან აქ თავისი ორიგინალური ხელწერა შექმნა — ელევანტური და ცეცხლოვანი — ასე აფასებენ თანამხილველნი მის საცეკვაო მანერას. შემდეგ მოდის შემოქმედებითი აღმავლობის წლები, გასტროლები ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ქვეყნების სცენაზე. უცხოელი მაყურებელი აღფრთოვანებით უკრავს ტაშს ქართველ მოცეკვავეებს, ქართულ ხელოვნებას, „ქართულ გენიას, როკვით განდევნილს“. იგი თავისი ქორეოგრაფიული ნამუშევრებით მაყურებლის სამსჯავროზე წარსდგა ისეთ პრესტიჟულ სცენებზე როგორიცაა: კრემლის ყრილობათა სასახლე, ოპერისა და ბალეტის დიდი

აკადემიური თეატრი, კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი, პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი, ოდესის, ლვოვის, პერმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური, სვერდლოვსკის (ეკატერინბურგი), ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკის დრამატული თეატრები და სხვა.

თამაზი მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალში (მოსკოვი, 1957 წელი). იგი ბურგასის (ბულგარეთი), ბოპორტის (კანადა), ფრიბურგის (შვეიცარია), მარმარის (თურქეთი), სკოპიეს (მაკედონია), მინსკის (ბელორუსია), კიშინიოვის (მოლდავეთი), ათენის (საბერძნეთი), ფოლკლორის მსოფლიო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატია. განახორციელა ბრწყინვალე ქორეოგრაფიული დადგმები: მოსკოვის სახალხო ანსამბლ „კოლხიდაში“ და სკოლა-სტუდია „ივერიაში“, სომხეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლებში, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და თოჯინების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში. თუ ამას დავამატებთ მჭიდრო შემოქმედებით კავშირებს ქართველ კინო-რეჟისორებთან, თამაზ ბეჟანიძე წარმოგვიდგება ფართო დიაპაზონის შემოქმედად.

შტრიხი მეოთხე

1975 წელს თამაზ ბეჟანიძე აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში მეთოდისტ-ქორეოგრაფად, შემდეგ კი თავმჯდომარის მოადგილედ და სამხატვრო ხელმძღვანელად იწყებს მუშაობას. აქ მან ჩამოაყალიბა ხალხური ცეკვის ანსამბლი „მაჭახელა“ და ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლი, რითაც ხელი შეუწყო ფოლკლორული ანსამბლების აღორძინებას ამ ძირძველ კუთხეში. ამჟამად იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი და ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელია, თავის მდიდარ გამოცდილებას უმურველად უზიარებს სტუდენტ ახალგაზრდობას.

შტრიხი მეხუთე

კომენტარი მეოთხე, შემთხვევა მეოთხე ანუ ყველაფერი ერთად

თამაზ ბეჟანიძე სათავეში ჩაუდგა ბავშვთა იმ ანსამბლს, სადაც კმაწვილობაში თავად მოსიწვა თავისი ქორეოგრაფიული შესაძლებლობები, ანსამბლს, რომელსაც თავის დროზე ხელმძღვანელობდნენ მისი დიდი მასწავლებლები ალექსანდრე ჯიჯიშვილი და ენვერ ხაბაძე. ეს მოხდა 1976 წელს და ამ ანსამბლს ერქვა ჯერ „ვარსკვლავეთი“, ხოლო შემდეგ „გაზაფხული“. 1991 წლიდან თამაზი აჭარის ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. მანამდე კი — 1981 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.



კიდევ ერთი ნიუანსის შესახებ: ამერიკის პრეზიდენტი ვერ გახდება კაცი, რომელსაც არ აქვს მოწესრიგებული ცხოვრება, უპირველესად კი ტრადიციული, შეხმატბილებული ოჯახი და არ ჰყავს შვილები. მართალია, თამაზ ბეჟანიძე ამერიკის პრეზიდენტობას არ აპირებს, მაგრამ საქართველოს ჭეშმარიტი შვილი ნამდვილად არის — ქართული ოჯახით, შესანიშნავი მეუღლით და ასევე შესანიშნავი შვილებით.

ქორეოგრაფია თამაზისთვის ჰობია, ოჯახი — სიყვარული, საქართველო ერთი და მეორეც, შეიძლება უფრო მეტიც.

ეპილოგი

... და დადის ჩვენს ქალაქში ასეთი კაცი — სახელოვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი, თმებდათოვლილი და დარბაისელი, ღიმილიანი და კეთილმოსურნე, კვლავაც ქართულ ხელოვნებაზე მოფიქრალი, პოეტის თქმისა არ იყოს: იაროს! იაროს! ამინ!



რეცენზია

სანდრო გერიძე

ოცნების სავლიანი გენერალი

ვახტანგ ღლონტის ჯადოგადაცმულმა ლექსებმა სახტად დატოვა როგორც რიგითი მკითხველი, ისე ლიტერატურული წრეებიც. ჩვენი გაუხეშებული ცხოვრება, გაგულგრილებული ატმოსფერო, ასე მგონია, თითქმის ელოდა კიდეც ასეთი დიდი სიტბოს მომტანი პოეტის გამოჩენას. მისმა წიგნმა „სევდიანი სიმღერა“ ყველანი გაგვათბო, გაგვახარა, სულის უხილავი სიმები შეგვირჩია. წიგნის თვალისმომკრებლმა შეუქმა იმდენი რამ გაგვაგებინა და დაგვანახა ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილიდან, რომ თვალახილულები ლამის ბრმებად გამოვჩნდით. ეს არ არის გადაჭარბება, არც ზედმეტი კეთილგანწყობილი კაცის უზომო ზომიერება.

დღეს, როცა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში თითქმის ყველაფერი ზედმიწევნით ახსნილი და გათვლილია, როცა აღაზრდები დარჩა ადამიანისათვის გასაკვირალი და გასაოცარი, პოეტები ამგვარ ლექსებს აღარ წერენ, უფრო სწორად და მართებულად რომ ვთქვათ, ვეღარ წერენ, ვეღარ წერენ იმიტომ, რომ...

„... გაუფასურდა სიტყვა,
რომელიც იყო ღმერთი,
რომელიც იყო პირველი
და იყო ღმერთისა თანა...
გაუფასურდა ყოფნა,
დაღვრილი სისხლის ტბებით,
სამშობლო, სიყვარული
და დედის იავნანა“—

აღბათ ბუნებაც დრო და დრო იმიტომ ბადებს დიდი შინაგანი პოტენციისა და უშრეტეი ენერგიის პოეტებს, ადამიანურ ყოფით ეჭვს ზღვარი რომ დაედოს და უღმობელი დროის მდინარებით გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ, გაუფასურებულმა სიტყვამ ფასი შეიძინოს.

ვახტანგ ღლონტი უაღრესად დიდი ტემპერამენტისა და დიდი შთაგონების პოეტია.

80-იანი წლებიდან დღეის ჩათვლით, იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი მდიდარი პოეტური კულტურის, მკაფიო ნიჭის მატარებელი, თვითმყოფადი ტალანტი, როგორიც ვახტანგ ღლონტია. მისმა გაბედულმა ნათქვამმა სიტყვამ, შეურყეველმა პირდაპირობამ თავისებური ხიბლი შესძინა ლექსს, ჯადოსნური ცეცხლის სევდიანი პერანგი ჩააცვა მას და მკითხველიც გააოგნა, გაახარა.

მის ლექსებში გამაღივებელი შუშითაც რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ, ვერ იპოვით, ვერსად წააწყდებით გაბზარულ, მოცუტრებულ, შემთხვევით წამოცდენილ ან წამოსროლილ სტრიქონს, სიტყვას, ბგერასაც კი. ისინი იმდენად ბუნებრივი და

თვითმყოფადებია, თითქოს მათ შექმნაში მარტო უფლის მოციქულის — პოეტის კი არა, თავად უფლის ხელიცაა გარეული. მართალი პოეტის მართალი სიტყვა ბასრი და ელვარება, გულიანი გულის ბინადარია.

„მე მართალი ვარ, არა იმიტომ,
რომ სიხარულით მომისმენს ყველა,
რომ შემძლია ვაქციო თითქოს
ჩემი ტკივილის თანამზრახველად.
ხალხი, რომელსაც ღუმელზე მეტად
დიდი ხმაური სწამდა ყოველთვის.
ანდა სახელი რომ მერგო ბედად
მოუსყიდველი, სუფთა პოეტის“.

ვახტანგ ღლონტი ლექსის კაცია. როგორც იტყვიან ხოლმე, მას აკვანშივე აკოცა შუბლზე მუზამ და მარადი ბავშვის ბედისწერა დაანათლა. მე არაფერს ვალამაზებ, ყოველივე ამის თქმის საფუძველს მისი ნერვიულად მთრთოლვარე ბუნება, ჭკვიანი, ბასრი, შეშფოთებული, იკვიანი მზერა, მოუსვენარი, დაუდგრომელი სული და ყოვლად დაუმშვიდებელი ლექსები იძლევა, რომელთა სტრიქონებში ედემის ბაღიდან გამოდევნილი ადამის ჯიშის მარადგანუყრელი სევდა ბოხოქრობს, მისი სავალი გზის მანათობელი ცეცხლი ანთია, თავბრუდამხვევი გრძნობების ნიაღვარი მიედინება.

„ის ზე, დარდი რომ ასხია, გეთსიმანიის ბაღშია,
მაინც რალაცით მსგავსია, ბედი უფლის და მგონის,
რას ჩავჭიდო, რაც კია, ირგვლივ ქარი და ხავსია,
ლაწვზე ჭრილობა გამხსნია, ალბათ იუდა მკოცნის.
უფალო, შენს ნაფეხურებს, როგორც აფრენილ ბელურებს,
გაჩენის დღიდან შევყურებ, მაინც ბრმა ვარ და ყრუ ვარ,
ჩემი კაემნით შეძრულებს, ველოდი ციურ მეგზურებს,
ბოლოს თვით გამოვეშურე... მოვდეგ ცაშარას უვალს“...

აჯანყებული სევდა, აბოხოქრებული ლირიზმი, — ეს ორი ყველაზე მეტად საჩინო თვისება ახასიათებს ვახტანგის პოეზიას. ყოფით სინამდვილესთან მისი დაუბრებელი დავა იმდენად მძაფრ და დამაბულ იერს იძენს, რომ მკითხველი, ყოველგვარი გულგრილობის გარეშე, ამ პროცესის უნებლიე თანამონაწილეც კი ხდება.

ცხოვრებით დაღბინებული პოეტი არავის უნახავს. ცის ბინადართა ეს უმძიმესი ბედისწერა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემატიკის, საწუთროული იდუმალების ბოლომდე აუხდენელი საფარველისა და აუხსნელი გამოცანის გამოისობითაა გამოწვეული. ადამიანთა გონისა და გრძნობის მარადიული საწუხარი თავისებურ ინტერპრეტირებას პოულობს ვახტანგ ღლონტის ლექსში:

„მხოლოდ სიკვდილს შეუძლია
სიკვდილი რომ გადაგვაფიქროს...
თვით სიყვარულიც—
ყველაზე დიდი ორთაბრძოლა
მის წინააღმდეგ —

იმარჯვებს, — ოღონდ
 საკუთარი სიცოცხლის ფასად“...

პოეტის თითქმის ყოველი მხატვრული ქმნილება ტანჯვითა და აუტანელი შინაგანი წვითაა შექმნილი. მისი მაღალზნეობრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუნდობელია ყოველგვარი სიყალბის, გულგრილობისა და სიძაბუნის მიმართ. იგი გარესამყაროს წამრტაც ფერთა ზედაპირული სილამაზის ჭკერებით კი არ ტკბება, არამედ საგნის, ობიექტის ბუნებაში დაფარული არსის ამოცნობითა და გამოუმჯერების ცნობისწადილითაა შეპყრობილი.

მთვარის სხივებით ნაქსოვი სევდიანი ლექსების გვირგვინი თავად მას — მთვარის რაინდს ჰგავს გრძნობად-ემოციური სისტემის დიადი შეჯერებითა და შეუნელებელი ტრაგიზმის სიცხველით.

ვახტანგ ღლონტი პელიკანივით ეწირება ლექსს, გულიდან ამოღებული სისხლის წვეთებითა და აალებული სულის დამშანთავი მხურვალეობით კვებავს მას.

„მისუსტებული სექტემბრის ტემბრი,
 აკრთობს ოქტომბერს ოქროს ოქტავით,
 დღე-ღამის რემას, ზოლიან ზებრებს
 ვერ გავესწორე მზერა მოკვდავი,
 ეხება ხელი ხუთივე ხემით,
 ხსოვნას ხავსებში მოარხეინეს
 და მოცახცახე ქარსავარცხელი,
 შემხმარ სახეებს ახევს ხეივნებს.
 ჩამოიშლება ვუალი ღრუბლის,
 ჩამოიღვრება მღვრიე წვიმებად,
 მე დაქცეული ცრემლი ვარ უფლის
 და ვცდილობ ზეცას ისევ მივება“ —

ვახტანგ ღლონტმა სევდას ლექსში სხვანაირი ელფერი და გაქანება მისცა. მიუხედავად ყოველი ლექსის შესამჩნევი სევდიანი ტონალობისა, მას პესიმიზმს ვერ მიუსადაგებ. იგი ხელჩაქნეული, ბედისწერასთან შერიგებული პოეტი არ არის. მისი სევდა ლაგამაწყვეტილია, ბობოქარია, დაუდგრომელია და დაუმორჩილებელი. ლექსში ზოგადადამიანური ყოფითი სევდა იმდენად გათავისებულია, რომ მკითხველს კი არ ბეზრდება, ერთგვარ ტკბობასა და სიამოვნებას ანიჭებს, რაღაცნაირად ამოუხსნელ შვებას გვრის მას.

„... ბედნიერება? — არა,
 ტანჯვა თუ მშურდა სხვისი“...

ეს არ არის ჩვეულებრივი პოეტური რეფერენი ან გამოთქმა. ამ სტრიქონებში ვახტანგ ღლონტის საოცრად მართალი და გულწრფელი შინაგანი ბუნების, მისი, როგორც ადამიანის, მოქმედებისა და ცხოვრების კრედიო გაცხადებული. ვინც მის პიროვნებას კარგად იცნობს, არ შეიძლება არ გასჩენოდა ძნელად პასუხვასაცემი კითხვა: საიდან აქვს ამ ჩვეულებრივ ადამიანს ის არაჩვეულებრივი ენერგია, ამდენ სითბოსა და სიკეთეს რომ ანაწილებს? ალბათ არ გამემტყუნება, მარინა ცვეტაევის მიერ ბორის პასტერნაკისადმი ნათქვამი ცნობილი სიტყვები რომ გავიმეორო:

„რამდენი ადამიანი უნდა გაეჭურდა ბუნებას, რომ ერთი ასეთი პიროვნება შეექმნა“.

ვახტანგ ღლონტის სულიერი ტკივილი, განცდილი მწუხარება, როცა იგი სამშობლოს თემითაა გამოწვეული, პირადი ინტიმის, ვიწრო სუბიექტური განწყობის არეალი კი არა, ფართო ეროვნული განცდის მკაფიო გამოსატულებაა. ამ მომენტისათვის მისი სათქმელი შელამაზებულ ფერადოვნებას არ ყაბულდება, იგი პირდაპირი და რეალურია:

„ყაღბი პოეზიის ეთიკასთან
 ახლა უკანასკნელ რაუნდს ველი,
 აღმაშენებელი ერთი გვყავდა,
 დამანგრეველი კი დაუთვლელი.
 ძმებთან ძმობაზე უარი ვთქვით,
 მტრებთან სუფრაზე წავუთვევით,
 თვითონ ვფლანგეთ და ვაპარტახეთ,
 რაც სხვებს გადარჩათ წაურთმევი“...

მკითხველზე შეუნელებელ ზემოქმედებას ახდენენ იშვიათი პოეტური მელოდიის ენაზე შექმნილი ლექსები, რომლებშიც უნატიფესი სიყვარულის წრფელი განცდაა გადმოცემული. მათი ზემოქმედების ძალა დამატყვევებელია მაშინაც კი, როცა მკითხველს ლექსი მისი ყოველნაირი შემცველობით გათავისებულ-დასაკუთრებული აქვს:

„მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
 შენ რომ ცრემლიანი მომიშორე...
 შეგზვდი უამრავი ომის მერე,
 მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
 შენ რომ ცრემლიანი მომიშორე“...

ვახტანგ ღლონტის ლექსი გამორჩეულია მხატვრული გამოსახვის მრავალფეროვნებით. მას საამისოდ წერის თავისებური ხერხი, საკუთარი მანერა გააჩნია. მან სრულყოფილი სახე მისცა ტრადიციული ლექსის რიტმიკას, რამდენიმე ლექსით ფორმის სფეროში ერთგვარი ნოვაციაც კი შემოიტანა. ამასთან, როგორც საოცარი სმენის პოეტმა, ლექსი მელოდიის ინტონაციური გამორჩეულებით აახშიანა. მკითხველს ორიგინალური მელოდიური ჟღერადობითა და შინაარსობრივი თვალსაზრისით იბყრობს და ხიბლავს ლექსი „ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც“:

„ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც,
 მზე სამზეს ამზეურებს უმზეობით დაღლილს,
 აღარ დევნის მადევარი დევნილს მოსაკლავად,
 და ტალღებში ტალღა ტალღას ტალღასაც არ ახლის.
 უნაპირო ნაპირებთან განაპირა ვდგავარ,
 მარტოსული მარტოობას მარტოობით ვებრძვი.
 სიყვარულო, შემაყვარე ვინც მიყვარდა კვლავაც,
 სიძულვილო, შემიძულე მძულვარების მსხვერპლი,
 მახსოვრობავ, გამახსენე სახსოვარი ძველი,

საპოვნელავ, მაპოვინე უპოვნელი კაცთა,
 მოლოდინის მომლოდინე ველოდი და ველი,
 სიცოცხლეო, გამიცოცხლე უსიცოცხლო განცდა.
 დავბრუნდი და უბრუნებლის დაბრუნებას ვცდილობ,
 წასასვლელი წასულა და წაუსვლელიც წავა,
 დე, სიკვდილმა სასიკვდილო მომკლას უსიკვდილოდ,
 ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც“.

მუსიკა მხოლოდ შიშველ ჟღერადობას კი არ ძლევს პოეტის უჩვეულო თვალით დანახულ გარესამყაროს, მის ღრმა შინაარსობრიობას მაცოცხლებელ სუნთქვას ანიჭებს. ამ შემთხვევაში ორივე თანაბარმხვედრი სილამაზით ერწყმებიან ერთმანეთს და პოეტური ხედვაც ერთობ შთამბეჭდავ ელფერს ღებულობს მკითხველის შემეცნებაში.

„ხარ ამბოხ აზრთა ამირბარი, საარი სირთა,
 ბრბომ მოსისხართა ბრმათა შხამში ნამა ისარი,
 საით იარო ზარნამბობმა სამარის პირთან,
 საით ხმიანობს სიმთა სიო ნამაისარი“ —

ამგვარი ფორმის ლექსს ქართულ პოეზიაში ვერ ნახავთ. ლექსი მხოლოდ ხაზზემოთ დასაწერი ასობგერებითაა შექმნილი.

მე აღარ შეგუდგები კარგი ლექსების ჩამოთვლას. ყველა ლექსს თავისი ღირსება გააჩნია. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ წიგნი „სევდიანი სიმღერა“ უნიკალურ ჩამონათვალთა სიას განეკუთვნება. ეს წიგნი ადამიანის სულის ულამაზესი ნეტარებაა.

წიგნში შესული პოემები „წვიმა და ოცნების გენერლები“, „ძველ აბანოში“ და პოემის „მოგონებათა ქუჩაბანდებში“ ნაწყვეტი, უაღრესად საინტერესო ნაწარმოებებია, როგორც შინაარსობრივი, ისე ლექსის შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისითაც.

სამივე პოემა ნაღდი პოეტური ქმნილებაა, მათში დახატული სურათები, გადმოცემული ამბები, როგორც თხრობიდან ჩანს, პოეტის ბიოგრაფიის ნაწილია. ნათლად და მძაფრად დახატული ცხოვრების ფსკერი, მისი თანმხლები ჭეშუპითა და გაუკუღმართებული წეს-ჩვეულებებით, მიმზიდველი ხიბლითა და გაუცხოებული სილამაზით.

პოემები კონვენციური და ველიბრის ფორმის ლექსების ურთიერთშერწყმითაა შესრულებული. ამიტომაც მათში გრძნობისმიერი მეტყველება სჭარბობს, რის გამოისობითაც დაძლეულია რაციონალიზმის სიმშრალე და სქემატურობა.

დარწმუნებული ვარ, ვახტანგ ღლონტის მართალი სიტყვის ძალმოსილებისა და მისი ნიჭის მასშტაბურობისა, ეს არის მართო ლიტერატურულ წრეებს, არამედ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას სჯერა.

შინაარსი

”ლიტერატურული აჭარა“ — №1, 1999 წელი

პროზა, პოეზია

1. ზურაბ გორგილაძე — ლექსები ----- 3
2. რეზო ქეიშვილი — უკვდავი კაშიე (რომანის „პოლიტიკური დეკამერონის“ შესავალი) ----- 13
3. დავით მჭედლოური — ლექსები ----- 19
4. რევაზ მიშველაძე — ნოველები ----- 25

ვინ მოდის მოგაველიდან

5. ინგა აბაშიძე — ლექსები ----- 41

თარგმანი

6. ტრისტან ცარა, ბლეზ სანდრარი — ლექსები
(ფრანგულიდან თარგმნა ბ. თევზაძემ) ----- 44

პრიტიკა, პუბლიცისტიკა

7. შოთა ზოიძე — სიკვდილ-სიცოცხლისა და მარადისობის
პრობლემა ანა კალანდაძის შემოქმედებაში ----- 48
8. ელგუჯა მაკარაძე — ხალხური პოეტური სიტყვის კვლევის
მეთოდოლოგიური ასპექტები ----- 56
9. იური ბიბილეიშვილი — ალექსანდრე სამსონია - დრამატურგი ----- 67
10. ერმილე მესხია — ქართული პერიოდიკის შესანიშნავი ფურცელი ----- 80
11. დიანა ვარშალომიძე — ახალი სალიტერატურო
ქართულის სათავეებთან ----- 83

ისტორია

12. სიმონ გოგიტიძე — პირველი ქართველი კათალიკოსის კურთხევა ----- 87
13. ოთარ გოგოლიშვილი — ინგლისელები ბათუმში ----- 92

წერილები

14. გოჩა ტაკიძე — ზოგიერთი მოსაზრება დიდ მეცნიერზე ----- 95
15. ავთანდილ დიასამიძე — გრ. გურიელის წერილი
რაფიელ ერისთავისადმი ----- 99
16. თამაზ ფუტყარაძე, ხატია ანანიძე — აჭარლები კახეთში ----- 103
17. ზურაბ ფირცხალაიშვილი — შტრიხები ხელოვანის პორტრეტისათვის ----- 111

რასუნია

18. სანდრო ბერიძე — ოცნების სევდიანი გენერალი ----- 115

კომპიუტერული უზრუნველყოფა — გენადი კომპიძე

ოპერატორი — მანანა ჩაველეშვილი

კორექტორები — მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 30. 12. 98.

ხელმოწერილია დასახელებად 22. 1. 99.

ქაღალდის ზომა 60X84 1/8.

პირობითი ნაბეჭდი თაბასი 15,75.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბასი 15,5.

პირობითი საღებავგატარება 16.

შეკვეთის № 344.

ტირაჟი 400.

ჟურნალი აიწყო, დაკაბდონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბა"-ში
დ. თავდადებულის ქ. №16 ☎ 7-37-31